

# სოდომიდან სოდომამდე

ანუ ზანკის პრეზიდენტის სიკვდილის ამბავი

რედაქტორი: ლია შერვაშიძე  
მხატვარი: სპარტაკ ცინცაძე

«მერანი»  
თბილისი 1999

*«როცა ხალხს აღარავისი და აღარაფრის სჯერა, ეს უკვე ქვეყნის ნგრევას მოასწავებს. მმართველმა პარტიამ უკიდურეს შემთხვევაში შეიძლება გადადგას ის ნაბიჯი, რასაც ოპოზიცია აპირებს – სოდომი ასე დაინგრევა. ორივე ძალას მიზანმიმართულად დალუპვისკენ მიჰყავს ქვეყანა.»*

*პარლამენტისა და მთავრობის წევრები: კაგებეს აგენტები. ფსიქიკურად დაავადებული პროკლე ღამით გავამპირდება. ყველაფერი, რაც ამ ქვეყანაში არსებობს უნდა გამომუშავდეს და კანალიზაციას გაატანონ: ადამიანები, ბუნება, კულტურული ფასეულობები, წარსული, აწმყო და მომავალი, რომელსაც აწმყოშივე ხოცავენ.»*

«შეუძლებელია ვინმეზე ვთქვათ, რომ იგი  
ბედნიერია, ვიდრე არ დადგება მისი აღსასრული»...  
ოვიდიუსი

ბავშვი პირველად მიუახლოვდა როიალს, პირველად შეახო თითი კლავიშს და პირველად გადააბა სამი ბგერა ერთმანეთს: სოლ-დო-მი... ლეგატო შემთხვევითი იყო და უფრო იმ შინაგან მოკრძალებას გამოხატავდა, რასაც თორმეტი წლის ბიჭი განიცდიდა. ბგერასთა ხმოვანება მეორე ოთახში მარტოობაში დარჩენილ მამას შემოესმა. სმენა დამაბა, იქნებ სხვა ბგერებიც გაჟღერებულიყო სამარისებრ დუმბილში, აქამდე რომ სუფევდა სახლში, მაგრამ ამაოდ. ბიჭი ისევე უჩუმრად მოშორდა როიალს, როგორც მიუახლოვდა. სასტუმრო ოთახიდან ჰოლისკენ გაუხვია, კარი გამოაღო და სადარბაზოში გავიდა. არც კარის მიხურვის ხმა იყო მკვეთრი, როგორსაც მამა ელოდა. დუმილი დუმილადვე დარჩა – ხელშეუხებელი და ვრცელი, თავის თავში არსებული, იმ კედლებისა და საგნების მომცველი, რაც იქ იყო, სამოთახიან სტანდარტულ ბინაში – კარადები, სკამები, მაგიდა, წიგნის თაროები, ჩამქრალი ჭალი, ფანჯრის რაფებზე ჩამომწვრივებული ქოთნის ყვავილები. დუმილში გაჟღერებული სამი ბგერა – სოლ-დო-მი – მექანიკურად მეორდებოდა მამის მეხსიერებაში. რამდენჯერმე სცადა, ყური არ ეთხოვებინა ამ არცთუ ისე კეთილხმოვანი აკორდისათვის და ბოლოს შეძლო კიდევ, მაგრამ ახლა უკვე სამი ბგერის სახელები აეკვიატა მუსიკალური ჟღერადობის გარეშე – სოლ-დო-მი... სოლ-დო-მი... ასე დაუსრულებლად, ვიდრე ერთ-ერთი ფონეტიკური ბგერა, და არა მუსიკალური, კერძოდ ლ-ასი არ გაუქრა და ასე არ ჩამოყალიბდა: სო-დო-მი. ახლა მამა წამოდგა, როიალს მიუახლოვდა და იგივე აკორდი აკრიფა, რაც რამდენიმე წუთის წინ ბავშვმა, ოღონდ კიდევ უფრო რბილად, ძლივს გასაგონად: სოლ-დო-მი. შეეცადა სწორად გაემეორებინა, მაგრამ ლ-ასი ისევ გაუსხლტა, თავისით წაიშალა და ჩურჩულით რომ სცადა ამ სამი ბგერის სახელწოდების წარმოთქმა, ისევ სოდომი გამოუვიდა. შიში თანდათან რომ ეუფლებოდა, ისე ბუნებრივი იყო, ამ უბრალო ფონეტიკურ ალქიმის არც აბრალებდა, რაღაც ბედისწერულს გრძნობდა და მისი ყოველი მოძრაობა იმდენად მგრძნობიარე გახდა, რომ ჰაერის ოდნავ ქროლვასაც აღიქვამდა, როგორც

ნიშანს მოახლოებული უბედურებისა. ფანჯარა მიხურა, დაბალ ხმაზე ჩართული ტელევიზორი გამორთო, მაცივარიც გამოთიშა და როიალისკენ ისე გააპარა თვალი, როგორც მთავარი დამნაშავესკენ. ბოლო დროს არქივარიუსს, მისი ნამდვილი სახელი თვითონაც აღარ ახსოვდა, მეხსიერება ღალატობდა, ან იქნებ არც ღალატობდა და არც ახსოვდა, არც იყო სინამდვილე. ეს პირველად მაშინ შენიშნა, როცა რამდენიმე დღის წინ საკუთარ შვილს სხვისი შვილივით შეჰყურებდა. ცოლშიც, ღიმილით როვ შეეგებებოდა სამსახურიდან შინ მობრუნებულს, რატომღაც იმ პატარა გოგოს ხედავდა, თოთხმეტი წლის წინ რომ გაიცნო და ის ქალი, რომელიც ახლა მის წინ იდგა, უბრალოდ სხვა იყო, იმდენად სხვა და უცხო, რომ მასთან არათუ სუბრის წამოწყებას, ტანსაცმლის გამოცვლასაც ერიდებოდა. როიალი, სასტუმრო ოთახში რომ იდგა თავისთვის, თუმცა ნამზითვი იყო, მაგრამ არქივარიუსი მთელი არსებით გრძნობდა, რომ მისი ნამდვილი პატრონი, ვინც დიდი ხნის წინ მშვენივრად უკრავდა სტუმრების პატივსაცემად, ახლაც ცოცხალი იყო და იმ ბგერებში სუნთქავდა, რომელთა გამოხმობასაც არაფერი უნდოდა თითქმის, შეხების გარდა. არქივარიუსი დიდი ხანია ოცნებობდა შინ დაბრუნებაზე, მაგრამ მიახლოებითაც არ იცოდა, სად იყო ეს ნამდვილი «შინ». არ იცოდა მანამ, ვიდრე მისმა შვილმა, თუ უბრალოდ პატარა ბიჭმა რამდენიმე წუთის წინ კლავიშებს არ შეახო თითები და არქივარიუსს არ მოემდა ის ტოპონიმი, მისთვის რომ გაჟღერდა: სო-დო-მი...

ავტოვარიუსის შემდეგ სამკვირიანმა მკურნალობამ თავისი შედეგი გამოიღო, ფეხზე წამოდგა, ჩვეულებრივ ცხოვრებას შეუდგა, მაგრამ არავის უმხელდა, რომ თითქოს ყველა საკუთარი სახელი, ჯერ კიდევ რომ ახსოვდა, მისთვის მხოლოდ პირობითი იყო და ამასთანავე უცხო. იმ სახლშიც, რის ვაი-ვაგლახით რომ მიიღო, მდგმურვით ცხოვრობდა და საყრდენს ვერ პოულობდა. საყრდენი სადღაც, შორეულ წარსულში იყო და იქიდან უნდა გაეგრძელებინა არსებობა, სადაც შეწყვიტა. შეწყვეტილ და განახლებულ ცხოვრებას შორის ნაცრისფერი, უგრძობელი, გაუცხოების ბურუსი იწვა და ამ ბურუსში ერთადერთი, რაც გამოიკვეთა, ის აკორდი იყო, ახლახან რომ გახმიანდა სიჩუმეში. მას შეეძლო, ბინიდან წაუსვლელად წასულიყო შინ და ის საქმე გაეგრძელებინა, რომ შეწყვიტა თუ შეაწყვეტინეს ოდესღაც. აღარც არავინ უყვარდა, არც არავინ სძულდა აწმყოში, იგი წარსულში დარჩენილ საკუთარ თავს ეძებდა გამალებით და იქიდან ხელახლა სურდა მოეღწია დღევანდლამდე, რათა ნათლად შეეგრძნო ის, რის გახსენებასაც ცდილობდა.

ექიმი ჩვეულებისამებრ ხუთ საათზე მოვიდა, ჩანთიდან დაადრო ვერცხლისფერი ჩაქუჩი. არქივარიუსმა უკვე იცოდა, რომ თვალი უნდა გაეყოლებინა რკინის საგნისთვის, ფეხი ფეხზე შემოედო ისე, რომ ჯერ მარჯვენა, მერე მარცხენა მუხლისთავის ქვეშ ჩაქუჩის მსუბუქი დარტყმა ძალუმად ეგრძნო, შემხტარიყო, მერე პირი გაეღო, თვალი ფართოდ გაეხილა და ასე შემდეგ. ექიმმა რეცეპტი ამოამკრინა და ვიდრე წერას შეუდგებოდა, როიალს გახედა და ეს უკვე მერამდენედ ჩაიბურტყუნა:

– მშვენიერი ინსტრუმენტი, თანაც გერმანული, კარგადაცაა შენახული, მაგრამ რად გინდათ, ახლა ისეთი დრო დადგა, გაყიდვა რომ მოინდომოთ, გროშებს შემოგთავაზებენ. აწყობილია? – იკითხა ექიმმა.

საწერ-კალამი მაგიდაზე დადო, როიალს მიუახლოვდა და დო მაჟორის არპეჯიო მოსინჯა, მცირე პაუზის მერე მანაც სოლ-დო-მი გაიმეორა, ოღონდ ლეგატოს გარეშე, სტაკატოთი და არქივარიუსმა ახლა უკვე მკაფიოდ გაიგონა სო...დო...მი... სოდომი.

– ბარემ წამოწეკით და ნემსიც გავიკეთოთ, – დაუყვავა ექიმმა და დივანისკენ მიუთითა.

არქივარიუსი დივანზე წამოწვა, ჯერ შარვალი, მარე საცვალი სანახევროდ ჩაიწია, სმენა დაძაბა და გაგონილი ბგერების მეშვეობით ზუსტად წარმოიდგინა, რას აკეთებდა ექიმი. ჯერ ერთჯერადი შპრიცის გახსნის ხმა შეივსო, მერე ამპულის თავს რომ ხერხავდა, იმასაც მიხვდა – ხანმოკლე დუმილი გამეფდა მაშინ, როცა ამპულიდან ნემსით წამალს იღებდა, მერე ჩვეული მოძრაობა, წამოდგომა, ორიოდ ნაბიჯი და ნემსი ზუსტად მაშინ უჩხვლიტა დუნდულზე, როცა მოელოდა. სითხე მტკივნეულად შედიოდა კუნთში. ამ დროს არქივარიუსს თვალეზი დახუჭული ჰქონდა და გულში ილოცებოდა.

– ხომ არ გატკინეთ, – ექიმი იღიმებოდა, – ახლა მშვიდად იწექით, კარგ რამეზე იფიქრეთ და თანდათან ჩაგეძინებათ. ძილია თქვენი წამალი, ძილი...

ცოლი იქვე ფუსფუსებდა, ცოლი თუ უცხო ქალი – საშუალო ტანის, ქერათმიანი, ნაღვლიანი თვალეზით დაჰყურებდა ქმარს, ქმარს თუ ვიღაც კაცს, რომლის მოვლა-პატრონობა ბედმა არგუნა. არქივარიუსმა შარვალი აიწია და დივანზე გაიმოტა, ვერ ხვდებოდა რას აგონებდა ექიმის ღიმილი. მერე, როცა ექიმი წავიდა, გვიანდა მიხვდა, რომ სწორედ ასე იღიმებოდა ლოჯიის თაროზე შემოდებული კაქტუსი, ამდენ ეკლებში რომ ერთადერთი ყვავილი უჩანდა. არქივარიუსი კაქტუსის აყვავებას სულმოუთქმელად მოელოდა. ცოლს თუ უცხო ქალს ხშირად უჯავრდებოდა – კაქტუსს ხშირი მორწყვა არ უყვარს, გაახმობო. ისე ლამაზად ყვავდა კაქტუსი ლოჯიის რაფაზე, რომ ვერაფერს შეადარებდა კაცი, ეს იყო ხშირი ეკლების სიმკაცრიდან ამოსული წითელი სინათლის სფერო – ეკლებიც და ყვავილებიც იმ შეწყვეტილ დროსაც და ოთახში გაჟღერებულ აკორდსაც რაღაცით უკავშირდებოდა, მაგრამ არქივარიუსი ჯერჯერობით ვერ აკონკრეტებდა, რა საერთო ჰქონდა ყველაფერ ამას ერთმანეთთან.

არქივარიუსმა იგრძნო, როგორ მოუდუნდა კიდურები, ქუთუთოები, მერე მთელი სხეული. ერთხელ კიდევ შეავლო თვალი კაქტუსის ყვავილს, რომელიც თითქოს უხმოდ იმეორებდა შემთხვევით აკორდს: სო-დო-მი. ასობგერა ლ-ასი ისევ იკარგებოდა თავისით, უნებლიეთ, როგორც არქივარიუსის მეხსიერება, დრო და სივრცე, პირობითი წუთიდან პირობით წუთამდე, პირობით წლიდან პირობით წლამდე, პირობითი საუკუნიდან რომელიღაც საუკუნემდე და ამ ორ, უცნობ წერტილს შორის იყო მხოლოდ ნაწყვეტ-ნაწყვეტი აზროვნება, დაუკავშირებელი ფრაზები, ლეგატოს მაგვარი გადასვლები ბგერათა შორის და უვრცესი დუმილი, მოულოდნელ სიტყვებს რომ ამწიფებს თავის თავში, ვიღაცის ენით რომ ამეტყველდება ოდესმე.

### არქივარიუსის პუბლიცისტური სიზმარი პირველი ინიექციის შემდეგ

ა) ბიბლიური თემის გათანამედროვეება. მთავარი პერსონაჟი არქივარიუსი, იგივე ლოტი, იგივე ეროვნული ბანკის პრეზიდენტი – საიდუმლო დავთრის მფლობელი. ამ დავთრის ხელში ჩაგდებაზე ნადირობს ხაზინის ყველა ქურდი, რომელნიც მაღალ თანამდებობებზე მუშაობენ – ისინი ლოტის დროსაც «რჩეულთა» კასტას ეკუთვნოდნენ, არქივარიუსის დროსაც ყოვლისშემძლენი არიან, მისი ეროვნული ბანკის პრეზიდენტობისას კიდევ მეტი ძალაუფლება აქვთ. ისინი იყვნენ, არიან და იქნებიან. ლოტიც იყო არის და იქნება, არქივარიუსი და ეროვნული ბანკის პრეზიდენტი იყვნენ, არიან, მაგრამ არავინ იცის, იქნებიან თუ არა მომავალში (ლოტი+არქივარიუსი+ეროვნული ბანკის პრეზიდენტი). გადარჩება ერთი, მხოლოდ

ლოტი. დანარჩენ ორ სახეს შეინარჩუნებს თუ არა იგი, ვინც ახლა ერთ სხეულში შერწყმულია – არავინ იცის?! მისი ბედი საიდუმლო დავთარზე ჰკიდია. დავთარში წვრილადაა ჩამოთვლილი, ვინ რამდენი ფული გაიტანა სახელმწიფო ხაზინიდან, ვისი რეზოლუციით, ვისი ხელშეწყობით, ვინ რამდენი არ დააბრუნა და შეიტყაპუნა. არქივარიუსი გულდასმით მალავს ამ დავთარს, მაგრამ მუქარა გამკაცრდა, წამდაუწყემ იბარებენ საიდუმლო ორგანოებში, დაკითხვებზე აწანწალებენ. უკანასკნელად «შემთხვევითი» ავტოავარიის შემდეგ გააფრთხილეს: დავთარს მოიტან, თორემ გააქრობთო. დავთარი არ მიჰქონდა. იცოდა, თუ დავთარს მიიტანდა, სწორედ მაშინ გააქრობდნენ – ტყვიით, საწამლავით, ათასი ჯანდაბით – მოკვდინების რა ხერხი აღარაა მოგონილი.

ბ) ხავსის დამამზადებელი. რასაც ისინი ამზადებდნენ, ბუნებაში არსებული ხავსი კი არა, მათი გონებიდან აღმოცენებული დახავსებული აზრებია. ხავსის დამამზადებელი თავიანთ ნააზრევს საზოგადოებრივი აზრის ჩამოსაყალიბებლად თხზავენ, რათა შეინარჩუნონ პრივილეგირებული მდგომარეობა. აქვე არსებობს ნარცისთა საბჭო, სადაც მხოლოდ თავის თავს უსმენენ და ერთმანეთი სძულთ, მაგრამ ერთად ყოფნის აუცილებლობას უმაღლეს კატეგორიად მიიჩნევენ, რადგან მხოლოდ ერთად ყოფნით შეუძლიათ შექმნან გადარჩენის ილუზია.

გ) სოდომში არსებული ათასობით საროსკიპოდან პარლამენტარები და მთავრობის წევრები ყველაზე პრესტიჟულსა და ძვირადღირებულს ირჩევენ. ინტერვიუს ბოზებთან ანონიმი ავტორი იღებს. ბოზები პარლამენტარების გვარებს არ ასახელებენ, მაგრამ აღწერენ მათ სექსუალურ შესაძლებლობებს, უფრო ხშირად, სიცვედნეს.

დ) ხალხი პროვინციებიდან სოდომისკენ დაიდრა. მხოლოდ სოდომში, აქ, შეიძლება ორიოდ გროშის მოპოვება, სხეულით ვაჭრობა, აფერისტობა, ბაზრობებზე ათასი წვრილმანის გაყიდვა, ლუკმაპურის შოვნა.

ე) ერთ-ერთ პარლამენტარს განზრახული აქვს ილიას ხელმეორედ მოკვლა. განაჩენი გამოაქვთ საიდუმლო შეკრებაზე.

ვ) ნარცისთა საბჭო კვლავ საკუთარი თავის მოვლითაა დაკავებული, იგი ხავსის დამამზადებელთა არტელს კი გამოეყო, როგორც მცირე, ელიტარული ჯგუფი, მაგრამ ისიც იმავეს აგრძელებს: სოდომის ხელისუფლებას დითირამებს უძღვნის და საკუთარი პირობების გაუმჯობესებაზე ზრუნავს. ეს არის სახელმწიფო, სადაც არც ერთ საღ აზრს მნიშვნელობა არა აქვს, ამიტომაც გათავისუფლებულ მონებს თავისუფლება სძულთ და ისევ მონობას მისტირიან.

ზ) დიდი ხანია, მეფე შიშველი აღარ არის, რადგან იგი აღარ არსებობს და ის, ვინც აღარ არსებობს, შეუძლებელია ჩაცმული ან შიშველი იყოს. დარჩა მხოლოდ მისი სახელი, გვარი და პოპულარული ჰაბიტუსი – ფოტოებზე აღბეჭდილი, ტელევიზორის ეკრანში ჩამალული. ჩართავ თუ არა, გამოჩნდება. მუდამ იმავეს ლაპარაკობს, მაგრამ იგი მაინც არსებობს, მხოლოდ თავისი გარემოცვისათვის. ამ სოციალურ ფონზე შეიძლება გაიმარჯვოს ყველაზე უფრო რეაქციულმა ძალებმა. როცა ხალხს აღარავისი და აღარაფრის სჯერა, ეს უკვე ქვეყნის ნგრევას მოასწავებს. მმართველმა პარტიამ უკიდურეს შემთხვევაში შეიძლება გადადგას ნაბიჯი, რასაც ოპოზიცია აპირებს – სოდომი ასე დაინგრევა. ორივე ძალას მიზანმიმართულად დალუპვისკენ მიჰყავს ქვეყანა.

თ) პარლამენტისა და მთავრობის წევრები: კაგებეს აგენტები. ფსიქიკურად დაავადებული პროკლე ღამით გავამპირდება. ყველაფერი, რაც ამ ქვეყანაში არსებობს, უნდა გადამუშავდეს და კანალიზაციას გაატანონ: ადამიანები, ბუნება,

კულტურული ფასეულობები, წარსული, აწმყო და მომავალი, რომელსაც აწმყოშივე ხოცავენ.

ი) მისი გარდაცვალების შემდეგ მხოლოდ ბებია დარჩა ცოცხალი. იგი სახლის ერთადერთი მემკვიდრე იყო და შთამომავლები განსაკუთრებული პატივით ექცეობდნენ. მოკრძალება და ყურადღება, მის მიმართ რომ იჩენდნენ, მოჩვენებითი იყო, და ყველა შთამომავალი ანდერძის შინაარსზე უფრო ფიქრობდა, ვიდრე ოთხმოცს მიტანებული ბებუის ჯანმრთელობაზე. ამ ოჯახური დრამის ფონზე იკვეთება არქივარიუსი, შემდგომში ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, წარსულში ლოტი. იგი ნაკლებად ერევა იმ აკალმაყალში, ანდერძის გამო რომ წარმოიშვა ბებუის გარდაცვალების შემდეგ. ის ძირითადად დაკავებულია სოდომელთა ცხოვრების არქივის შედგენით, პრესის მიმოხილვით, შემდგომში კი, როცა ბანკის პრეზიდენტი, საიდუმლო დავთარს ადგენს. დავთარში ყველა ცნობილი გვარი ფიგურირებს. იგი ამ მასალებს არ აქვეყნებს და დიდ სეიფში ინახავს, იმის იმედით, რომ ოდესმე ვინმე წაიკითხავს. არქივარიუსი, იგივე ბანკის პრეზიდენტი, შორეულ წარსულში ლოტი, ერთი შეხედვით, გარეგნულად გულჩათხრობილი და პასიური კაცია, თითქოს არავისთვის არაა საშიში, მაგრამ მისი საიდუმლო დავთრის არსებობის შესახებ როგორღაც შეიტყობს მეფის საიდუმლო სამსახური და იწყება მისი დევნა. არქივარიუსი სოდომიდან გაქცევას ცდილობს. სწორედ მაშინ დააჯახებენ მანქანას და ბეწვზე გადარჩება.

\* \* \*

საკუთარმა ყვირილმა გამოაღვიძა. თვალი გაახილა, მაგრამ ვერ მიხვდა, სად იყო. ოთახი შეათვალიერა. ყველა საგანი, ნივთი, საწოლი, ფარდები, საწერი მაგიდა, სკამები, როიალი სრულიად უცხო იყო და თითქოს პირველად ხედავდა, მაგრამ ამასთანავე ბუნდოვნად ახსენდებოდა ის დღეები, თუ ის მონაკვეთები, მის ცხოვრებას რომ აქაურობასთან აკავშირებდა რაღაცით. სიზმარი, სადაც უფრო რეალურად გრძნობდა თავს, თითქოს სიზმარი არ იყო და უფრო სინამდვილეს ჰგავდა, ხოლო ეს გარემო, რომელშიც მოხვდა, იმდენად იყო რეალური, რამდენადაც საკუთარ კიდურებს გრძნობდა, თვალსაც ჩვეულებრივ ახელდა და ყველაფერს, რაც მის ირგვლივ განლაგებულიყო თუ განფენილიყო, აღმართულიყო თუ დაჰყურებდა, გულგრილად აკვირდებოდა. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს უდაბნოს კარვიდან ეს-ესაა დაბრუნებულიყო და ერთადერთი რამ, რაც ყველაზე მეტად მშობლიურივით ეცნო, ლოჯიის რაფაზე შემოდგმული კაქტუსი იყო.

კაქტუსის ყვავილი ისევ წითლად ანათებდა და რაღაცით იმ დროსთან აკავშირებდა, რომელიც მასში იყო და არ გადიოდა. თავის დახსნა სცადა ამ გაუგებრობიდან, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. კარგად ახსოვდა, როგორ გარბოდა საკუთარ ცოლ-შვილთან ერთად, როგორ გააღწია ქალაქს, მაგრამ ამის შემდეგ მეხსიერების ძაფი წყდებოდა – თითქოს საუკუნეთა ხანგრძლივობის წამი იყო გამოტოვებული და ახალ ნავსაყუდელში მოყურებული თავს იმდენად უცხოდ გრძნობდა, რომ ქუჩაში გახედვისაც ეშინოდა, წამოდგომაც გადაიფიქრა. წყურვილი კლავდა და წყლის დასაღებად ხელის გაშვერა არ შეეძლო წყლით სავსე ჭიქისკენ, იქვე, ლამბაქზე რომ იდგა. ქუჩაში დიდი მანქანების ჩავლისას სახლი ზანზარებდა, ჭიქაში წყალი წვრილ რგოლებს იკეთებდა და ამ რგოლებით ქალაქის ზუზუნის უხმო ექოს იმეორებდა. ხელი მაინც გაიშვირა ჭიქისკენ, – წყალი ბაგესთან მიიტანა, ხარბად მოსვა, მაგრამ არ ესიამოვნა, იმდენად გამთბარიყო.

მაგიდაზე მცირე მოცულობის წიგნი შენიშნა, აიღო, გადაფურცლა, ჯერ ბოლოში ჩახედა, მერე პირველი გვერდი შეათვალიერა.

ავტორი: ვახტანგ ახურებული

სათაური: «სიყვარულის გაკვეთილები»

პირველი აზნაცი ჩაიკითხა: «*შე გათახსირებულო, \_ შეჰკვივლა ჟენიამ და წიხლი ისე მძლავრად ამოსცხო საზარდულოში, რომ ვალერიანს სუნთქვა შეეკრა და ოთხად მოიკეცა. \_ იმ ქალებთან თუ შეგიძლია, ჩემთან რატომ არ შეგიძლია, რით ვარ მათზე უარესი, თუ გაგიუქმდა ეგ საოხრე?! \_ ჟენიამ ჩაცმა დაიწყო.*»

\* \* \*

არქივარიუსმა დაკეცა წიგნი და უაზროდ გაუშტერა თვალი კედელს. საათს დახედა და წამოდგა. სამსახურში რომ მიდიოდა, ეჭვობდა, მართლა მიდიოდა თუ არა. ცდილობდა არ შეემჩნია, რომ თითქმის აღარაფერი ახსოვდა, და თუ რამ ახსოვდა, ნაწყვეტ-ნაწყვეტ, დაუკავშირებლად, ულოგიკოდ. საკუთარი სახელისადმი გაუცხოება, ამ დილით გაიღვიძა თუ არა, მყისვე აღმოაჩინა, ოღონდ ისე კი არა, როგორც ადრე \_ სევდა რომ შემოაწვებოდა და იფიქრებდა: ეს მართლა მე ვარ თუ არაო?! \_ არა, ახლა სხვაგვარად იყო საქმე. არც კი ეეჭვებოდა, რომ «იგი» ის «იგი» აღარ იყო, და რომ «იგი» სულ სხვა, ახალი «იგი» იყო, რომელსაც ფერმკრთალი წარსული გააჩნდა და განსხვავებით პირველი «იგისაგან» მხოლოდ ეს მკრთალი წარსული თუ წარსულის სიმკრთალე აიძულებდა ეფიქრა ამგვარად. სახელიც ეუცხოვა, იმდენად ეუცხოვა, რომ პირადობის მოწმობაში ჩაიხედა, თავისი გვარი და სახელი დამარცვლით ამოიკითხა, სურათსაც დახედა, საიდანაც უცხო ვინმე შემოჰყურებდა. მერე სარკეშიც შეათვალიერე თავისი ორეული, რომელიც ისეთივე არ იყო, როგორც მას თავისი სახე ახსოვდა. თითქოს ეს ცხვირი, თვალები, თმა, სახის ნაკვთები სარკის სიღრმიდან ამოიზიდა, შეკოწიწდა და ისე დალაგდა. «ინტერფერენცია», \_ გაახსენდა ექიმის სიტყვები. ლექსიკონი მოძებნა, გადაფურცლა და ამოიკითხა: \_ მეხსიერების გაუარესება (ერთი ცოდნითი მასალის მეორით გადაფარვა) \_ ეს უკეთეს შემთხვევაში, \_ უარესი ვარიანტი კი, რომელიც უფრო სავარაუდოა: \_ ამ დროს ექიმი დაიხარა და არქივარიუსის ცოლს ყურში რაღაც ჩასჩურჩულა \_ ცოლს თუ მომვლელ ქალს, რომელიმეს, რომელიღაცას... ქალს, საერთოდ.

არქივარიუსმა ტანსაცმლის კარადა გამოაღო, ვიღაცის პიჯაკი გამოიღო. დარწმუნებული იყო, რომ ეს პიჯაკი მას არ ეკუთვნოდა. გაქათქათებული პერანგიც შეათვალიერა, საშინაო ტანსაცმელი გაიხადა და ჩაცმას შეუდგა. ამ დროს ოთახში ცოლი შემოვიდა, ცოლი თუ ვიღაც ქალი, მომვლელი ან ზოგადად \_ ქალი.

\_ სად მიდიხარ, თემურ?! ხომ გაიგონე, ექიმმა რა თქვა, ჯერ სახლიდან არ გაუშვათო?! უნდა იწვე, ცოტა წამკურნალება ისევ დაგჭირდება, სულ ცოტა ხნით, რაღაც ორიოდე კვირა.

\_ სამსახურში მაგვიანდება, \_ ჩაიბურტყუნა კაცმა.

\_ რომელ სამსახურში?! რა ხანია ბანკში აღარ მუშაობ, დროებით დაგიტხოვეს ავადმყოფობის გამო. წამოწეტი, წამოწეტი. ახლა ფენაზეპამის დალევის დროა. ჯერ ვისაუზმოთ და წამლები მერე მიიღე, ცოტა ვისაუბროთ, წამოწეტი და დაგეძინება. ახლა წავიდეთ, ჩაი დავლიოთ. \_ ქალმა ხელი მოჰკიდა და სამზარეულოსკენ წაუძღვა. \_ აბა, დაჯექი, \_ სკამი გამოუჩოჩა ქმარს. \_ ცოტა ჭამე, გეხვეწები, ჭამე და მერე წამლები დავლიოთ. აი, ნახე, მალე კარგად იქნები.

არქივარიუსმა პური და ყველი გალოღნა, კარაქზე სასტიკი უარი უთხრა ცოლს თუ უცხო ქალს, ქალს საერთოდ. ჩაი მოსვა, ცხელი იყო, მაგრამ იგრძნო, როგორ

მოშიებოდა. მურაბასაც მიეტანა. მეორედ მოითხოვა ჩაი, უფრო მაგარი, რაზეც ცოლის უარი მიიღო, ცოლის თუ უცხო ქალის, საერთოდ დედაკაცის \_ ოღონდ მზრუნველი დედაკაცის. წამლების დაღევეზე გაძალიანდა, მაგრამ ბოლოს დაყაბულდა, აბები გადაყლაპა და წყალი დააყოლა, წყალი ზრიალს რომ იმეორებდა მაგიდაზე, ჭიქის ხელში ალებისთანავე დამშვიდდა. სასტუმრო ოთახში შებრუნდა \_ როიალის სიახლოვეს დივანს დაუბრუნდა. მოინდომა აღედგინა სოლ-დო-მი აკორდის ჟღერადობა, მაგრამ არ გამოუვიდა. არქივარიუსმა არ იცოდა, რომელი დღე იყო \_ თითქოს იგივე დღე გადიოდა, იგივე რიტმით, ისეთივე უაზრობით და სიუცხოვით. ცოლი თუ უცხო ქალი მურაბას ხარშავდა. ღოღონოშოს მურაბის სუნით გაჟღენთილიყო სამოთახიანი ბინა და არქივარიუსსაც გაახსენდა, რომ ცოლმა თუ ზოგადად ქალმა როცა მიმართა, თემური დაუძახა. რატომ დაუძახა სხვისი სახელი, ვერ მიხვდა. თვითონ ხომ დარწმუნებული იყო, რომ არქივარიუსი ერქვა და ეს თემური \_ ახალ მეტსახელად მოეჩვენა. გონება დამაბა და მიხვდა, რომ გვიანი ზაფხული ან ადრეული შემოდგომა იყო \_ ის კარგად ახსოვდა, ღოღონოშო როდის მწიფდა და ღოღონოშოს მურაბას რადგან აკეთებდა ცოლი თუ მომვლელი ქალი \_ ე.ი. ადრეული შემოდგომა იყო. ფანჯარასთან მივიდა და ქალაქს გახედა. ქალაქი უცხო იყო, იმდენად ნაცნობი და უცხო, რომ სამსახურში წასვლა გადაიფიქრა. ისევ საშინაო ტანსაცმელი გადაიცვა და დივანზე წამოკოტრიალდა. თვალში ისევ ვ ა ხ ტ ა ნ გ ა ხ უ რ ე ბ უ ლ ი ს წიგნი შეეჩხირა: «სიყვარულის გაკვეთილები» და კითხვას შეუდგა:

*«კაცს ტკვილმა თანდათან გაუარა, წელში გაიმართა, სული მოითქვა და დამშვიდდა.»*

*\_ მოიცა, ჟენია, სალაპარაკო მაქვს, არ წახვიდე, მოიცა რა?!*

*ქალი კართან შეჩერდა, თან ისე, რომ სარკისათვის თვალი არ მოუშორებია და გამოსცრა:*

*\_ რა გინდა?!*

*\_ დაიცადე, წავიხემსოთ, ყავას მოგიდუღებ, ცოტა დავლიოთ, ბიზნესის საქმეზეც ვილაპარაკოთ, ათასი რამე გვაქვს გასარკვევი. ნუ გაფხუკიანდები. მარცხი ვის არ მოსვლია?! მე რა გამონაკლისი ვარ?! დაჯექი, დაჯექი, გენაცვალე. \_ ეს «გენაცვალე» ისე საცოდავად წარმოთქვა, რომ ქალს შეებრაღა კიდევ. სამზარეულოში შებრუნდა და ვალერიანის შეთავაზებულ თუ გამოჩოჩებულ სკამზე ერთი ადგილის მესამედი ჩამოდო.*

*\_ გისმენ, ბატონო!*

*\_ მოიცა რა, «პაჟარია»?!* \_ ვალერიანმა შამპანურის ბოთლს საცობი მოხსნა, მოკოლადი და ხილი შემომამატა სუფრას და ყავის მოდუღებას შეუდგა.

*\_ რა ქენი, ის შარვლები გაყიდე?*

*\_ თითქმის!*

*\_ რამდენი დავრჩა?*

*\_ ორასი.*

*\_ ნახევარზე მეტი გაგიყიდია და ეგ არის. საქმე თუ ასე წავიდა, ცოტა ფულს ვიშოვით... მართლა, მაგიდის ფული გადახდილია?!*

*\_ კი.*

*ჟენიას გაბრაზებამ თანდათან გაუარა. მართლა რას ერჩოდა ამ კაცს, მარცხის მეტი რა იცოდა, მაგრამ ის ვერ მოენელებინა, რომ თავის დაქალ, გაჩხინულ თინასთან დაძვრებოდა ვალერიანი. უფრო იმის ეშინოდა, რომ იგი საერთოდ არ მოეტეხათ საქმიდან. ამიტომ უფრო შეიკავა თავი, თორემ ვალერიანის «ის» სულ არ ადარდებდა. იმის მეტი რა ენახა ქვეყანაზე?! სადაც ჩაივლიდა ჟენია, თავის კლიენტს ყველგან*

შოულობდა, მაგრამ ქუჩაში დაბრუნება ჭირვით სძულდა, აღარ უნდოდა, ასე ერჩივნა, ბაზარში დახლთან ცხენივით მდგარიყო და ვალერიანის საქონლით ევაჭრა, ყოველდღიური გასამრჯელო მიეღო და ხანდახან ვალერიანი თუ სახლში წაათრევდა, ესეც დიდ დანაშაულად არ მიაჩნდა. შენას მოხუცი დედა და ჩვიდმეტი წლის ქალიშვილი ჰყავდა საპატრონო და ყველაზე უფრო ამას დარდობდა. გაუკვირდა კიდევ, როგორ გაბედა და როგორ წაეჩხუბა ვალერიანს ამ უმნიშვნელო საკითხზე. ენა მუცელში უნდა ჩაეგდო და პირიქით, მოფერებოდა, დაეყვავებინა. მართლა რომ გამაგდოს, რაღა მეშველება?!

– ვალერიან, დამისხი შამპანური! ცოტა კი გამაბრაზე, მაგრამ არა უშავს, წავიხემსოთ და თავიდან ვცადოთ, თუ გინდა, რა თქმა უნდა.

ვალერიანმა ჭიქა სანახევროდ შეუღვსო, შოკოლადი ახლოს მიუწია და ისე გაიღიმა, მსუნაგი და კმაყოფილი ადამიანები რომ იღიმებიან.

– დალიე, შენიჩკა, დალიე, ყავაც ახლავე იქნება... რამდენია ნავაჭრი?

– სამი ათას-ნახევარი – ორ კვირაში ცოტა არაა!

– აბა, დააძრე მაყუთი და შენს «დოლიასაც» მოგცემ, – ვალერიანმა ბოლო სიტყვას შამპანური დააყოლა, სულ ერთი ყლოუბი, ზრდილობის გამო მოსვა ან იქნებ იმ სიამოვნებისთვის, რაც სამი ათას-ნახევარის გაგონებამ გამოიწვია.

– კარგად გიმუშავია, კარგად, ასე მიაწეჯი.

შენამ ჩანთა გახსნა, დასტებად შეკრული ფული ვალერიანს გაუწოდა და უაზროდ გაუშტერა თვალი. ფულის თვლა რამდენიმე წუთს გაგრძელდა. ვალერიანმა ოსტატურად გადათვალა ფული – კალკულატორზე შენას «დოლია» გამოაკლო, ოცდაათი ლარი დაამატა და ქალს მრავალმნიშვნელოვნად გახედა:

– ესეც შენი ყავა. შამპანურსაც ხომ დალევი?!

შენია აშკარად კმაყოფილი ჩანდა, შოკოლადს შეექცეოდა და ნელ-ნელა ყავას აყოლებდა, ბოლოს შამპანურით სავსე ჭიქა მწყურვალევიტ გადაყოლურწა და ყასიდად წამოიწია წასასვლელად, ვითომ საქმეს უკვე მორჩა, ეს შესტი და უგულოდ ნათქვამი ორი სიტყვა: წავალ ახლა მე – იმის შესამოწმებლად უფრო დასჭირდა – მართლა გაუშვებდა თუ არა ვალერიანი შინიდან ისე, რომ ხელს არ ახლებდა თუ...

– სად წახვალ, შე ქალო! – ვალერიანი წამოდგა, ქალს ზურგიდან მოუარა და ჩაეხუტა, დიდხანს კოცნიდა კისერში, ყელში, ტუჩებში, მერე როცა ვალერიანი მიხვდა, რომ მზად იყო საბრძოლველად, ქალი ხელში აიტაცა და საწოლ ოთახში გააცუხცუხა.»

\* \* \*

კარზე ზარის ხმა გაისმა. არქივარიუსმა კითხვა შეწყვიტა. ცოლი თუ ვიღაც ქალი ექიმს შეეგება, – მობრძანდით მობრძანდითო!

– როგორ არის? – იკითხა ექიმმა.

– უკეთ, უკეთ! რაც მთავარია, მშვიდად ეძინა, კარგადაც ისაუზმა, მხოლოდ სამსახურში წასვლა დააპირა ამ დილით, მაგრამ გადავაფიქრებინე. ახლა რაღაცას კითხულობს. თავისთვის ზის და კითხულობს.

– კარგია, კარგი. ოღონდ ზედმეტი კითხვა არ შეიძლება, არ გადაიღალოს.

არქივარიუსი ნაბიჯის ხმით ხვდებოდა, რომ ექიმი საცაა შემოაღებს კარს. მისი ღიმილიანი სახეც გაახსენდა. წიგნის ფურცელი ჩაკეცა და ისე დახურა. წიგნის ფურცლის ჩაკეცვა ჩვევად არ ჰქონდა, კითხვისას ყოველთვის სანიშნებელს ან ასანთის ღერს ხმარობდა, მაგრამ ამ წიგნის ფურცლის ჩაკეცვა დიდ ცოდვად არ ჩაუთვლია. დღეს პირველად მიხვდა, რომ ექიმის მოსვლას ელოდა, მასთან

შეხვედრას ელოდა. ვიღაც ბითურის წიგნსაც იმიტომ კითხულობდა, რომ დრო შეუმჩნევლად გასულიყო.

ექიმი: გამარჯობა, თემურ, გამარჯობა! დღეს უკეთ გამოიყურებით, დასვენებული სახე გაქვთ. კარგია, კარგი.

არქივარიუსი: თქვენ რა, სახელი შემიცვალეთ?საიდან მოიტანეს ეს თემური, მომწონდეს მაინც?! მე არქივარიუსი მქვია.

ექიმი: არ გეკამათებით, ჩავთვალეთ, რომ მართლაც არქივარიუსი გქვიათ, მაგრამ თქვენ ავარიამდე თემური გერქვათ. თუ გინდათ, თქვენს კარზე გაკრული ფირნიში წაიკითხეთ: თემურ დვალი, რუსულადაც და ქართულადაც ასე წერია: თემურ დვალი. ახლა მთავარია, თანდათან აღიდგინოთ ყველაფერი. მეხსიერების აღდგენას კი დრო სჭირდება, მკურნალობა, ძილი და დრო. ყველაფერი დალაგდება. ღოღონოშოს მურაბას ხარშავთ?! (გასძახებს ექიმი არქივარიუსის ცოლს თუ უცხო ქალს, ზოგადად ქალს).

ქალი: დიახ, დიახ, გუშინ ვერ დავამთავრე და დღეს ვაგრძელებ ხარშვას. თემურს ძალიან უყვარს და...

ექიმი: (არქივარიუსს მიმართავს) ახა, ფეხი ფეხზე გადაიდეთ, ახლა მეორე – კარგია, საკმარისია. თვალი გააყოლოთ ჩაქუჩს – ასე, ასე – ახლა მეორე მხარეს, პირი გამიღეთ, უფრო ფართოდ, გამიღეთ, გამიღეთ! – ენა გამოყავით! კარგია, კარგი. – არქივარიუსი ვერ ხვდებოდა, რა იყო კარგი, რადგან ექიმის ნათქვამი «კარგი» უფრო შორისდებულს წააგავდა, ვიდრე იმ სიტყვას – რაიმეს ან ვინმეს სიკარგეს რომ აღნიშნავს.

ისევ ექიმი: (როიალს გახედავს) მართლაც მშვენიერი ინსტრუმენტია. თქვენ უკრავთ, არქივარიუს-თემურ?!

არქივარიუსი: არა, მე არ ვუკრავ, ზოგჯერ მგონია, საერთოდ პირველად ვხედავ ამ ხის ყუთს... თავის დროზე ვუკრავდი, ოღონდ სალამურზე.

ექიმი: სალამურზე?საინტერესოა, საინტერესო. თუ ნებას დამრთავთ, რამდენიმე აკორდს მოვსინჯავ, ხომ არ შეგაწუხებთ?!

არქივარიუსის ცოლი თუ ზოგადად ქალი: რას ბრძანებთ, პირიქით, გაგვახალისებთ.

ექიმი როიალს მიუახლოვდა, სკამზე ჩამოჯდა და კლავიშებს შეეხო. მშვენივრად შეასრულა რომელიღაც კომპოზიტორის რომელიღაც ნაწარმოების რომელიღაც ნაწილი. დაკვრა რომ შეწყვიტა, ერთხანს გაყუჩდა. იმ სიჩუმეს მიუგდო ყური, ბგერები რომ შეიწოვა და დუმილად აქცია, თუმცა მის სმენაში ისევ გრძელდებოდა აკორდების ჟღერადობა. მერე ისევ მრავალმნიშვნელოვნად გაიღიმა და იგივე აკორდი აიღო, რაც პატარა ბიჭმა წინა დღით და ბიჭის მერე ექიმმა მოსვლისთანავე. სოლ-დო-მი. არქივარიუსმა ისევ დაკარგა ლ-ასი და ნოტების სახელწოდება გულში გაიმეორა – «სოდომი». არ იცოდა, საიდან ახსოვდა, რომ ყოველ ბგერას თავის სახელწოდება ჰქონდა. სო-დო-მი... სო-დო-მი... მექანიკურად იმეორებდა და ეს სახელი, ეს ქალაქი, ფანჯრიდანშემოჭრილი პეიზაჟი, პატარა ბიჭი საწერ მაგიდასთან რომ იჯდა თავისთვის და რაღაცას კითხულობდა, ცოლი თუ ზოგადად ქალი, ექიმი თავისი პატარა ხელჩანთით, ოთახში განლაგებული საგნები – იმდენად ეუცხოვა, რომ კინაღამ ატირდა. მზერა ისევ თაროზე შემოდებულ ქოთნის ყვავილებზე გადაიტანა და ერთადერთ ნაცნობს, რასაც ჩაეჭიდა, კვლავ კაქტუსის ყვავილი იყო წითლად მოღიმარი, ეკლებს შორის მოღიმარი, ოთახის ჰაერსაც რომ უცვლიდა ელფერს, არქივარიუსსაც რაღაცაზე მიანიშნებდა, იმ რაღაცაზე, მასში რომ ჩამქრალიყო, სიბნელებში რომ ჩანთქმულიყო მთლიანად.

ექიმი: არქივარიუს-თემურ, აბა, ერთი ნემსიც გავიკეთოთ. ჯერ ეს აბები ჩაყლაპეთ, წყალი მიაყოლეთ, წყალი... ასე, ასე, ახლა გვერდულად დაწეით და გადმობრუნდით, მაშინდელივით არ გატკნეთ.

არქივარიუსმა ზუსტად შეასრულა ექიმის დავალება, უხალისოდ ჩაიწია შარვალი, მერე საცვალი და კვლავ სმენა დაძაბა. ერთჯერადი ნემსის გახსნა, ამპულის თავის მოხერხება, მერე გატეხის ხმა, სრული დუმილი, მერე ნაბიჯები და ჩხვლეტა. არქივარიუსს მოეჩვენა, რომ ექიმმა ჩხვლეტა დააგვიანა და ერთი წამით შეყოვნდა დივანთან. ისე აღარ ეტკინა, როგორც წინა დღით. შარვალი უფრო მოხერხებულად აიწია და წამოჯდა.

ექიმი: ზედმეტი კითხვით თავს ნუ გადაიღლით, ახლა მთავარია სიმშვიდე და ცხოვრების ჩვეული რიტმი. სამსახურში წასვლაზე ნუ იფიქრებთ. ჯერ ადრეა. გამოკეთდებით და მერე წახვალთ. ქვეყანა არ დაიქცევა, ისედაც დაქცეულია, მეტად არ დაიქცევა. აბა, ხვალამდე გემშვიდობებით. \_ ექიმმა ხელჩანთაში ჩაალაგა, რაც მანამდე ამოაწყო, წამოდგა, თავის დაკვრით და ღიმილით კიდევ ერთხელ გამოემშვიდობა ყველას და წავიდა.

ზოგადი ქალი: თემურ, ხომ არ წაიხემსებ?! ახლავე სუფრას გავშლი.

არქივარიუსმა თანხმობის ნიშნად თავი დააქნია, წამოდგა და სასადილო ოთახისკენ გაემართა.

უხალისოდ შეექცეოდა, ყოველი ლუკმის დაღეჭვა აღიზიანებდა, თან გრძნობდა, სხეული როგორ უდუნდებოდა, როგორ უმძიმდებოდა ქუთუთოები. წყალი მოსვა, სანახევროდ თვლემდა. ცოლი თუ ვიღაც ქალი წამოდგომაში მიემშველა, შარვლის გახდაში მიეხმარა, ჩუსტებიც იქვე დაუწყო და მსუბუქად წამოაწვინა. ფანჯრიდან წვიმის ხმა შემოესმა. ესეც ერთი ნაცნობი \_ ამდენ უცნობს შორის, გაიფიქრა არქივარიუსმა და მარჯვენა გვერდზე გადაბრუნდა.

### არქივარიუსის სიზმარი მეორე ინიექციის შემდეგ

ვითვისებ იმ კონტურებს, ჩემში რომ შემოიჭრა: ვიწრო ქუჩები, ერთმანეთთან მიჯრით მიწყობილი სახლები, ნახევრად ბნელი ოთახები, თიხის ჭურჭელი, განიერი და გრძელი ტახტები, მთელი ოჯახი რომ თავსდება.

მათი ძირითადი საქმიანობა აღებ-მიცემობაა, ხელოსნობა და ჯარში სამსახური. ქალაქი გადაჭედებულია საროსკიპოებით. საროსკიპოების მეპატრონეებს ხშირად ნახავთ ქალაქის თავის ამაღლაში, მის სუფრასთან, როგორც ყველაზე მდიდარ წარმომადგენლებს \_ მეზაჟეებთან და ბაზრის მეპატრონეებთან, საგადასახადო ინსპექციის მსხვილ ჩინოვნიკებთან, კარის პოეტებსა და მატრახაზებთან ერთად.

აქ არ იგრძნობა დროის გასვლა, დრო აქ დამუხრუჭებულია, რადგან არაფერი ხდება, არაფერი, არაფერი, სულ არაფერი \_ უსაგნო ლაყბობის გარდა. ყველა თავისებურად ყიდის ქვეყანას, \_ დიდიც და პატარაც, მდიდარიც და ღარიბიც, ერი და ბერი \_ ყველა, ყველა.ამ ქალაქში ათიოდე მართლმორწმუნეც არ შეგროვდება. ცხოვრება დამიწებულია \_ ან მეძავთა საწოლებზეა მიკრული, ან საღრეობო სუფრებთანაა მიჯაჭვული.

ხაზინის ქურდები \_ დეპუტატები და მთავრობის წევრები თავს ლალად გრძნობენ, რადგან თვითონ არიან ხელისუფალნი და კანონმდებელნი. დანარჩენი მოსახლეობა ქალაქის ნასუფრალით იკვებება. მოხელეები, მეზაჟეები, ჯარისკაცები, მაწანწალები, ბოზები \_ ყველა ქურდობს, ვისაც რამდენი და როგორ შეუძლია. მეძავიც იპარავს

თავისი გაყიდული დროიდან რამდენიმე წუთს და დამატებით გასამრჯელოს ითხოვს. თან იცის, როდის და როგორ მოიპაროს. ყოველდამე იმართება ორგები არა მხოლოდ ქალაქის თავის სასახლეში, არამედ ყველგან – შესაბამისი მასშტაბით და სიძლიერით, ღამით რომ ყური მიუგდო ქალაქს – გაოგნდები: ერთმანეთშია შეზედილი სასახლეთა ფანჯრებიდან და მომცრო ბუდრუგანების ერთი ციდა სარკმლებიდან გამომდინარე უნებლიე ბგერები, კვნესა, ხითხითი, ხარხარი, ბილწისტყვაობა, უეცარი შეკვივლება, ღმუილი, კბილთა ღრჭიალი და ვნებით გახელებულთა ამოძახილები, მშვიერთა თვალებიდან ამომავალი ღამე უფრო ბნელია და ღრმა, უფრო ნაღვლიანია და მიუსაფარი, ვიდრე თვით ღამე, ყველაფერი რომ მოუცავს და თავის წყვილიადში ჩაუმაღავს.

ჩვენი გმირი – შუახნის არქივარიუსი – ქალაქის თავის კარზე მსახურობს, მთელი საკანცელარიო არქივი მას აბარია, მაგრამ არავინ იცის მის გარდა, რა მამხილებელ დოკუმენტებს ინახავს თავისი ხელით შედგენილ სქელ დავთარში. ეს არის სრული ნუსხა, დოკუმენტური მასალა, რომელშიც ზუსტადაა ასახული ის კომმარული ყოფა, სოდომში რომ გამეფებულა. და რაც ყველაზე მთავარია, ანბანის მიხედვითაა ჩამოწერილი გვარები, ვინ რამდენი მილიონი წაიღო და ვისი რეზოლუციით. ამ სიის ყოველი წარმომადგენელი გარკვეულ მდგომარეობას ინარჩუნებს ქალაქ-სახელმწიფოს ხელისუფლებაში. ხაზინის ქურდებზე საკმაო კომპრომატი არსებობს და ისინი მანამ იქნებიან ერთგული მონები მთავრობისა, ვიდრე მამხილებელი მასალა საიმედო ხელშია.

ერთ მშვენიერ დღეს საიდუმლო სამსახურში იგებენ არქივარიუსის ნამდვილ საქმიანობას, ანუ იმ ფაქტს, რომ არქივარიუსი საკანცელარიო დოკუმენტების ასლებს ერთ დავთარში ინახავს და თან სხვა ცნობებსაც იმავე დავთარში იწერს – ანბანის მიხედვით, სკრუპულოზურად, ლირიკის გარეშე – გვარები, სახელები, თანხის ოდენობები – რეზოლუციის ავტორთა ვინაობა. რეზოლუცია უმთავრესად ერთ კაცს ეკუთვნის, ზოგჯერ გამოერევა რანგით დაბალი ჩინოვნიკი, მაგრამ გაცემული თანხაც შესაბამისად მცირდება.

გენერალი გაცოფებულია:

– მაშ, შთამომავლობას უნახავს სინამდვილეს, არა?! დღესვე შეამოწმეთ და გაჩხრიკეთ, თუ რამეს აღმოუჩენთ, წაართვით და ჩემთან მოიტანეთ, სხვას არ აჩვენოთ, თვითონ კი აქ ამოათრიეთ! – გაცემს ბრძანებას.

არქივარიუსი წინა დღით შეიტყობს მოსალოდნელი ჩხრეკის ამბავს. ბერი ამბაკო, საიდუმლო სამსახურის აგენტი, სინდისის ქენჯნას განიცდის. გაიგებს თუ არა არქივარიუსის მოსალოდნელი ჩხრეკის ამბავს, რამდენიმე საათით ადრე აფრთხილებს მას.

არქივარიუსი: სად გადავმალე ეს დოკუმენტები. სად ჯანდაბაში წავიღო, თითქმის ყველა მოქალაქე მოსყიდულია და გამცემი.

ბერის ინფორმაციაშიც ეჭვი ეპარება, მაგრამ ბოლოს დაიჯერებს, როცა შენიშნავს, რომ მის სახლს უთვალთვალევენ. ღამით, როცა ქალაქი ჩვეულ კომმარში ჩაეფლო, როცა ვერც ფანჯრიდან გამომავალი შუქი და ვერც კანტიკუნტად დანთებული ჩირაღდნები წყვილიადს ოდნავადაც ვერ აფერმკრთალებდა – არქივარიუსი ჩუმად გაიძურწება შინიდან. ცარიელი ტომარა წელზე აქვს შემორტყმული – გარედან ჯუბა აცვია და ბინდს მისცემს თავს. კანცელარიის შენობაში მალულად შეაღწევს და თავის საიდუმლო დოკუმენტაციით ავსებს ჯვალოს ტომარას, ფეხაკრეფით ჩაივლის ქუჩას და გარეუბნისკენ ქურდულად მიაბიჯებს. გზიდან ძლივს ჩამოიცილებს კახპას, კისერზე რომ ჩამოეკიდება და სადღაც წათრევას უპირებს. ეს კახპაც მოსყიდულია

ალბათ, ფიქრობს არქივარიუსი და მის მკლავებს თავს აღწევს. გარეუბნამდე შორი მანძილია. ჯერ უნდა ჩაუაროს ხავსის შემგროვებელთა კავშირს – მთავრობის ყველაზე ერთგულ უწყებას, ღამდამობით რომ შეიარაღებული ჯარისკაცები იცავენ. როგორმე გვერდი უნდა აუაროს ამ შენობას. მთავარია, შენობის დაცვამ არ შენიშნოს, არ შეაჩეროს, არ გაჩხრიკოს, არ დააკავოს. ვიწრო ჩიხი იპოვა, იქით გაუხვია. სახლების წინ გაფენილ თივაზე მაწანწალები მიყრილან – ვერ გაარჩევ ქალსა და კაცს ერთმანეთისაგან. არქივარიუსი ფრთხილად მიიკვლევს გზას, ვინმეს შემთხვევით არ წამოჰკრას ან არ დააბიჯოს ფეხი, ვინმე არ გააღვიძოს, თორემ აქედან ველარ გააღწევს. ეს გატენილი ჯვალოს ტომარა შეიძლება რამე სიმდიდრე ეგონოთ, თანაც ნაქურდალი, ნამდვილად წაართმევენ, მერე კი აუცილებლად დაიღუპება. ამათ წერაკითხვაც არ იციან, თანაც საშინლად აგრესიულები არიან, შეიძლება ცოცხალმაც ვერ დააღწიოს თავი. როგორც იქნა, ჩიხის აღმართი აათავა, სხვა ქუჩაზე გავიდა, აქედან გარეუბნის მინდვრებამდე მცირე მანძილია რჩებოდა. ეს ქუჩა ბუდრუგანებით იყო გადაჭედებული. აქა-იქ ჭრახის შუქი გამოკრთოდა. სარკმელთან ჩავლისას წელში იხრებოდა, ასე ჩაყუნცული მილოდავდა, შიგნიდან, სახლიდან ვინმეს რომ არ შეენიშნა და არ გამონთებოდა, არ გამოვარდნოდა, არ დაინტერესებულყო მისი ვინაობით. როგორც გითხარით, ყველა სოდომელი საიდუმლო აგენტი ან უბრალო დამსმენი იყო.

როგორც იქნა კვიპაროსების ჩაბნელებული კენწეროები გამოჩნდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ ქალაქის სასაფლაო ხელის ერთ გაწვდენაზე იყო. რატომღაც ღამეში ღამეზე უფრო ბნელი კვიპაროსები, შემოგარენის გორაკები, ნებისმიერი შენობა თუ საგანი, რაც კი ღამეში იკვეთება უფრო ბნელია, ვიდრე ღამე. საიდანღაც ფშატის სურნელი მოჰქონდა ნიავს. ეს იმ ფშატის სურნელი მოჰქონდა ნიავს. ეს ის ფშატია, დედაჩემის საფლავზე რომ დავრგე ათი წლის წინ – დაასკვნა არქივარიუსმა, თუმცა დარწმუნებული არ იყო, მაგრამ რა მნიშვნელობა ჰქონდა, რომელი ფშატის სურნელი აღწევდა აქამდე, დედამისის საფლავზე დარგული თუ სხვა, არქივარიუსს მაინც დედის საფლავი ედგა თვალწინ, დაიჩოქა, ბალახში თავი ჩარგო და მგლური ყმული ამოუშვა.

\* \* \*

დილით რამაც გამოაღვიძა, ისევ წყურვილი იყო. წამოიწია, გრაფინიდან ჭიქაში წყალი დაისხა და სულმოუთქმელად დალია. ოთახი შეათვალიერა: ყველა საგანი, ყველა ნივთი, საწოლი, კარადა, საწერი მაგიდა – ყველაფერი უცხო იყო; პირველად ხედავდა. – ეს სიუცხოვე ადრინდელს არ ჰგავდა, ადრე წამიერ გაუცხოვებას რომ შეიგრძნობდა, სევდა შემოაწვებოდა და იფიქრებდა: ეს მართლა მე ვარ თუ არაო?! არა, ახლა სხვაგვარად იყო საქმე, იმდენად სხვაგვარად, რომ არც ეეჭვებოდა, რომ «იგი» აქამდე არსებული «იგი» აღარ იყო და, რომ «იგი» სულ სხვა, ახალი «იგი» იყო, რომელსაც მხოლოდ შორეული წარსულია გააჩნდა და განსხვავებით პირველი «იგისგან» სწორედ ეს შორეული წარსული თუ წარსულის სიმკრთალე აიძულებდა ეფიქრა ამგვარად. საკუთარი სახელიც ეუცხოვა, იმდენად ეუცხოვა, რომ პირადობის მოწმობაში ისევ ჩაიხედა და თავისი სახელი და გვარი დამარცვლით ამოიკითხა, სურათსაც დახედა, საიდანაც უცხო ვინმე შემოჰყურებდა, მერე სარკეშიც შეათვალიერა თავის ორეული – სურათიც ისეთივე იყო, როგორც სარკეში არეკლილი სახე, ოდნავ ნაღვლიანიც კი ჩანდა, ვიდრე «პოლაროიდი» აღბეჭდილი სტანდარტული სიფათი, რომლისგანაც სარკეში არეკლილი სახე მხოლოდ

სიცოცხლის ნიშანწყლით გამოირჩეოდა, დანარჩენი ყველაფერი ერთმანეთს ემთხვეოდა, მაგრამ, რაც მთავარია, შინაგანად იყო სხვა, სრულიად სხვა, ძალიან ძველი, უაღრესად ძველი ამ აბსურდულ სიახლეში მოხვედრილი, სადაც ექიმი, ვიღაც ბიჭი – მამას რომ ეძახის, – ვიღაც ქალი, ზოგადად ქალი თუ ცოლი, თავს დასტრიალებს! კაქტუსის ყვავილი იყო მხოლოდ მშობლიური და წვიმის ხმა, – წინა ღამით რომ შემოესმა.

«შიშია ჩემი არსებობის საფუძველი» – ეს კი არ გაუფიქრია – თითქოს გარედან შემოესმა ვიღაცის ნათქვამი, ასე რომ ემთხვეოდა მის სათქმელს, გულში ჩაგუბებულს და გარეთ ვერ ამოელწია. «დიახ, შიში» – დაასკვნა თავისთვის. არ იცოდა, რა ეკეთებინა, ვინ იყო და სად იყო, რა უვალეობადა, საერთოდ რატომ არმებობდა, არც მიზანი გააჩნდა და არც რაიმეს რწმენა. ყველაფერი შორეულ წარსულში დალექილიყო, ანუ იმ დროში, ახლაც რომ გრძელდებოდა – და თუ რამ მკაფიოდ ახსოვდა წარსულიდან, თავის არსებობას არ წყვეტდა აწმყოშიც. იგი იმ სურათს ჰგავდა, მხოლოდ გარდასული დრო რომ გააჩნდა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მას მოძრაობა შეეძლო, კითხვაც არ დავიწყებოდა, შიმშილსაც ბუნებრივად გაჰყავდა სამზარეულოში; ცოლს თუ უცხო ქალს, ამ დილით მუშტრის თვალი შეავლო, მზერით მოუსინჯა გულმკერდი, თემოები, სახე, თვალეზმაც ჩახედა უნებლიე ღიმილით.

არქივარიუსი: იქნებ ვისაუზმოთ, ძალიან მომშივდა. ცოლი თუ უცხო ქალი ანუ ზოგადად ქალი დაფაცურდა, რაც გააჩნდა, ყველაფერი მაგიდაზე ჩამოალაგა, ბორჯომიც გაუხსნა, ჩაი თერმოსიდან დაუსხა – მერე კაცს მიუახლოვდა და ნაზად ჩაეხუტა.

ზოგადი ქალი ან იქნებ ცოლი: ცოტა უკეთ ხარ ხომ?! სულ მალე კიდევ უფრო უკეთ გახდები. აი, ვნახოთ თუ არა?! არქივარიუსმა რაც ქალის შეხებისას იგრძნო, ნაცნობი განცდა იყო, თითქოს დაშლილი სხეული გაუმთლიანდა, გაუმტკიცდა, თვითონაც მოჰხვია ხელი, ცოლს, ცოლს თუ უცხო ქალს, ფაფუკს და თბილს, მოფერებას დანატრებულს და აკოცა ლოყაზე.

ცოლი თუ უცხო ქალი: ახლა არა, თემურ! ბავშვი შინ არის, სკოლაში წავა მალე და...

ცოლმა თუ უცხო ქალმა მსუბუქად გაითავისუფლა თავი ქმრის თუ ვიღაც კაცის მკლავებისაგან. უხერხული პაუზის შემდეგ საუზმობას შეუდგნენ. არქივარიუსი მადიანად ილუკმებოდა. ბიჭი მოგვიანებით შეუერთდა მშობლებს, მაგიდასთან მოკალათდა და მამას ჰკითხა:

ბიჭი: წუხელ ღამით რა გაყვირებდა, ცუდი სიზმარი ნახე?!

არქივარიუსი: ბოლო დროს უცნაურ სიზმრებს ვხედავ.

ბიჭი: მე კი მეგონა მიწისძვრისა შეგეშინდა.

რა მიწისძვრის?! – გაიკვირვა არქივარიუსმა.

ბიჭი: შენ რა, ვერ იგრძენი?! წუხელ მიწა იძრა, კინალამ საწოლიდან გადმომაგდო. ამ დილით ტელევიზორითაც გამოაცხადეს, ოთხნახევარი ყოფილა. ნგრევა და მსხვერპლი არ არისო. ეპიცენტრი თბილისიდან სამხრეთით – სადღაც თურქეთის საზღვართან იყო.

არქივარიუსი: მოგეჩვენა ალბათ, ეგენი ყველაფერს ტყუიან.

ბიჭი: მომეჩვენა კი არა, საწოლიდან კინალამ გადმომაგდო. ისე შემეშინდა, რომ დედასთან გადავწევი. ძლივს ჩამეძინა.

არქივარიუსმა არ დაიჯერა ბიჭის ნაამბობი, იფიქრა: რაღაცას იგონებსო და ბიჭის დედას ჰკითხა:

– მართლა იყო მიწისძვრა წუხელ? მე არაფერი მიგრძენია.

ცოლი თუ უცხო ქალი: მკვდარივით გეძინა, შენ რას გაიგებდი. იყო მცირე ბიძგები.

არქივარიუსი: ხედავ შენ, მცირე ბიძგები...

წინათაც ყოფილა ამ ქალაქში მიწისძვრები, ღამით მთელი ხალხი რომ ქუჩაში გაცვივდებოდა – არქივარიუსი შინ რომ რჩებოდა, რაც მოსახდენია მოხდესო, ფიქრობდა, ოღონდ შინ, სადაც იგი რჩებოდა, სხვა სახლი იყო და სხვა ქალაქი, სხვა დროსა და სივრცეში, გამომწვარი აგურით ნაშენებ პატარა ბინაში, ალიზით რომ იყო გარედან შელესილი. თიხის ჯამში წითელ ღვინოს ჩამოასხამდა და ნელ-ნელა წრუპავდა, რაც მოხდება მოხდეს, ღვთის რისხვას მაინც ვერსად გავექცევითო.

ბიჭი: (სხარტად წამოდგება, ჩანთას ხელს დაავლებს) მე წავედი, ბოლო ორი გაკვეთილი ალბათ ისევ გამიცდება. ვალერიან მასწავლებელი სულ ბაზრობაზეა და სკოლაში მოსვლას ვერ ახერხებს.

დედა: მერე სკოლის დირექტორი რას ამბობს, რატომ აჩერებს სკოლაში მაგ ვაჭრუკანას?

ბიჭი: რა ვიცი, ეტყობა, ქრთამვას.

დედამ კარამდე მიაცილა ბიჭი, თავზე ხელი გადაუსვა და ლოყაზე აკოცა. ასე გრძელდებოდა ყოველდღე. სკოლაში წასვლისას ისე ეფერებოდა დედა, თითქოს ჯარში ისტუმრებდა შვილს. როცა უკან მობრუნდა არქივარიუსის ცოლი თუ უცხო ქალი – არქივარიუსი სამზარეულოში ადარ დახვდა. ქალმა მაგიდა სასწრაფოდ აალაგა და ქმრის თუ უცხო კაცის სამებნელად გაეშურა. არქივარიუსი დივანზე იჯდა და ფიქრობდა: თუ მართლა ჩემი ცოლია ეს ქალი, დიდი დანაშაული არ იქნება, რომ... ამ დროს შემოვიდა მისი ცოლი თუ უცხო ქალი, გვერდით მოუჯდა ქმარს თუ უცხო კაცს და გამომწვევად მიეფერა. ისევ გაუმთლიანდა არქივარიუსს დაშლილი სხეული, გაუმკვირვდა კუნთები და იქით გადაეშვა, სადაც არაერთხელ გადაშვებულა. ქალი ფეთიანივით იქცეოდა, არქივარიუსს განუწყვეტლივ კოცნიდა და თავშეუკავებლად ბორგავდა.

დაწყვილების სცენა ბანალური იყო, მაგრამ ძლიერ ჰგავდა იმ განცდას, ღამის რომ დავიწყებოდა არქივარიუსს. შუა თამაშში არქივარიუსი გაითიშა და ღამის გონება დაკარგვა, ქალსაც იგივე დაემართა იმავდროულად. მოგვიანებით არქივარიუსი მიხვდა, რომ რამდენიმე წამით შეეხო იმ დროს თუ დროის იმ სივრცეს, ხელიდან რომ გასხლტომოდა და სამუდამოდ დაკარგულიყო. ცოლი თუ უცხო ქალი აბაზანისკენ გაემართა, არქივარიუსი იქვე დარჩა თვალმილულული, თითქოს ნეტარების წამებს იხანგრძლივებდა, – თვალშიც ფერადი ხილვა განეფინა, სხვა სინამდვილიდან ამოტივტივებული, სხვა სინამდვილის ნაყოფი, ძილ-ბურანით მოცული, არსებულ რეალობას მოწყვეტილი, სხვა, სულ სხვა დროის გაგრძელება. რაღაც კი ახსოვდა ბუნდოვნად, მაგრამ რა, ვერ იგონებდა. ცოლის ხმამ გამოარკვია, ცოლი თუ უცხო ქალი, აბაზანიდან გამოსულიყო, მოკლე ხალათი მოესხა, თმას ისწორებდა. ისევ აქ დაბრუნდა – სამოთახიან ბინაში – ამ სიუცხოვეში და გაიფიქრა: აი, კიდევ ერთი ნაცნობი, ოღონდ არა ეს ქალი, არამედ ის წამები, რამაც ძილ-ბურანში გამხვია. იგივე წიგნის კითხვის გაგრძელება დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა, – წამოდგა, ჩაიცვა და ფანჯარასთან მივიდა, უცხო ქუჩაში უცხო ხალხი ირეოდა, მანქანები დაქროდნენ გამალებით, მაღლა აიხედა, ცა ეპატარავა – სახურავებს შორის ჩამოჟონილი სივრცე შემოდგომის მზეს გაეჩახჩახებინა, აივანზე ამოცოცებული ვაზის მტევნები შენიშნა და კიდევ ერთი ნაცნობი აღმოაჩინა. შემოდგომის მზეს ძალუმად ისრუტავდნენ მწიფე მარცვლები და ქარვისფრად ელავდნენ – მზე ცაზე არ ჩანდა,

მტევნებში ჩამალულიყო. თეთრი ღრუბელი, ქალაქის მაღლივი შენობების გაგრძელებას რომ წააგავდა, სადღაც მიცურავდა უმისამართოდ და ღრუბლის ჩრდილი მიზოზინებდა კედლებზე, ასფალტზე, ბაღებზე – მიდიოდა სადღაც, სადაც ოდესღაც არქივარიუსი ცხოვრობდა თავის აგურის, ალიზით შელესილ სახლში – იმ ფანჯრისკენ, ღია რომ იყო მუდამ და საიდანაც სულ სხვა პეიზაჟი მოჩანდა – ციხე-გალავანი, სასახლის ქონგურები, ფერადმინიანი სარკმლები, გასაყიდად შემორეკილი საქონელი, ხეებქვეშ წამოწოლილი ორკუზიანი აქლემები, ფარშუბიანი ჯარისკაცებით გადაჭედული მოედანი – შორეული სოფლიდან შემოხიზნული გლეხები, დედაწულიანად რომ აყრილიყვნენ და სოდომში ეპოვათ თავშესაფარი. ძველ მაგიდაზე თიხის დოქი იდგა წითელი ღვინით სავსე – მისი ცოლი და ქალიშვილები მეორე ოთახში ფუსფუსებდნენ. არქივარიუსმა ჯამში ღვინო ჩამოასხა და მოწრუპა. ქალაქი ჩვეული რიტმით ცხოვრობდა, ჩვეული ცოდვებით, გაუტანლობით, ღალატით, ღვთისმგმობელობით, მაგრამ მაინც ცხოვრობდა. არქივარიუსმა ღრუბელს მოსწყვიტა თვალი და ფანჯარას ზურგი შეაქცია. იმავე რეალობაში დაბრუნდა, სადაც მისი სხეული იყო. მაგიდიდან იგივე წიგნი აიღო, ჩაკეცილი ადგილი მოძებნა, სკამზე ჩამოჯდა და კითხვა განაგრძო.

### **ვახტანგ ახურებული: «სიყვარულის გაკვეთილები»...**

– შენიჩკა, ხვალ სკოლაში უნდა შევიარო და არ მეცლება. აბა, შენ იცი, როგორ მიხედავ საქმეს.

– სკოლაში რა ჯანდაბა გინდა?!

– ორ კვირაში ერთხელ მაინც უნდა ჩავატარო გაკვეთილები, არ მინდა სტაჟი გამიწყდეს, ვინ იცის მომავალში რა ხდება. ხომ ხედავ, რა ჩათლახი ცხოვრება დადგა, – უფროსი ბიჭი ჯარში ირიცხება, მაგრამ სინამდვილეში შინ მიზის, ნაწილის მეთაურს ვამაყუთებ, – სკოლის დირექტორსაც ფულს ვჩუქნი და გაკვეთილებს ხანდახან ვატარებ, სტაჟი მაინც მინდა. ყველა ხელებში შემომყურებს პოლიციელიც და სკოლის დირექტორიც, ნაწილის მეთაური და სხვაც ბევრი.

– პოლიციელს რაღა ჭირი უნდა?!

– რა უნდა და თავისი წილი, ბაცაცებს რომ ფული მოაქვთ ჩემთან, იქიდან წილს თხოულობენ. მე რომ მიყურებ, ნულიდან ლავიწყე ცხოვრება, უბედური მამაჩემის სახლს მამიდაჩემი და მისი ქმარი მართავდნენ. მე და ჩემი და ღია ცის ქვეშ უნდა დავრჩენილიყავით, უკეთეს შემთხვევაში, ერთოთახიან ბინას მოგვაშავებდა ჩათლახი მამიდაჩემი თვითონ მამაჩემის კერძო სახლს დაითრევდა. სიკვდილამდე კარგა ხნით ადრე პასპორტიც მან ამოცალა ბეზიაჩემს და საბინაო წიგნიც თვითონ მოიპარა, ერთხელ, ვითომ პალტოს შესაკერად წაიყვანა გადაღრძუებული ბებერი, თურმე ნოტარიუსში მიუბრძანებია – ანდერძი შეუდგენია თავის ჭკუაზე და მერე უკვე დედამისის სიკვდილს ელოდა. მამაჩემი რომ ცოცხალი ყოფილიყო, ამას შეარჩენდა თავის დას და სიძეს – ფულის ტომარა ღუტუს და მის ტრავკასიებულ ცოლს?! მაგრამ მამაჩემი ადრე გარდაიცვალა, ჯერ პროსტატის ოპერაცია მჭირდებოდა, დაიჩემა და მისმა დამაც სასწრაფოდ დააწვინა საავადმყოფოში. ოპერაციის მერე ერთხანს ბოთლჩამოკიდებული დადიოდა. ხო იცი, რა ბოთლზე გეუბნები? იქიდან ველარ ფსამდა, შარდი რეზინის მილიდან ბოთლში ჩადიოდა თავისით. ოპერაციის მერე დიდი დრო არ გასულა, რაც უფრო და უფრო უარესად შეიქნა, ონკოლოგიურში დავაწვინეთ. საღამოობით მოწმენდილ ცას აკვირდებოდა, მწუხრის ვარსკვლავი რომ

ამობრწყინდებოდა, ჩემს დას ეუბნებოდა: გადასწიეთ ფარდა, ის ვარსკვლავი მე მიყურებს, ჩემი წაყვანა უნდაო. ჩემი დაც წამოდგებოდა, ფარდას გადასწევდა, ვარსკვლავიც აღარ ჩანდა, მაგრამ ერთ დღეს სიკვდილი მაინც მოვიდა, არც კარიდან შემოსულა, არც ფანჯრიდან, არც არავის დაუნახავს, ის მამაჩემის სხეულში იყო და იქიდან ამოვიდა – თვალები ღია დაუტოვა, პირიც. გადახდილი ზეწრიდან მოჩანდა აქეთ-იქით მიყრილ-მოყრილი დაჩონჩხილი კიდურები. ორმოცდაათს ძლივს იყო გადაცილებული და ბებერი მეგონა. ვფიქრობდი, ამის ხნის ქვა აღარ დაგორავს-თქო დედამიწაზე. მერე იმარჯვა თუ იმარჯვა მამიდაჩემმა – ანდერძი ნოტარიუსთან მერე გააჩალიჩებინა გამოყრუებულ ბებიაჩემს. რძალს და ძმისშვილებს ქუჩაში გვყრიდა, მაგრამ ცოდვამ უწია, მამიდაჩემი შეიშალა, დიახ, შეიშალა. არ ვიცი, რამ გააგიჟა, სინდისის ქენჯნამ თუ სიხარბემ, სულ დაკარგა ჭკუა, თითქმის ვერავის ცნობდა – ვერც ქმარს, ვერც შვილებს, დროდადრო მამაჩემს – თავის ძმას იხსენებდა, დედამისი კი, ანუ ბებიაჩემი, მკაცრი სიდინჯით იჯდა სამზარეულოში გამლილ ტახტზე და პურის გულს ილოღნებოდა. მამიდაჩემის სიკვდილის მერე ბებიაჩემმა კიდევ რამდენიმე წელი იცოცხლა და ასე შეინარჩუნა ჩვენი კერძო სახლი დედაჩემმა. მერე უკვე ბინაზე მოდავე აღარავინ გვყავდა – არც მამიდაშვილები, არც მამიდის ჩათლახი ქმარი, მეტსახელად ფულის ტომარა, ერთი გაიფხაკურეს, მაგრამ დედაჩემმა კუდიით ქვა ასროლინა. კაი ფასში გაიყიდა ის ბინა, დაწყევლილი სახლია, აქ ცხოვრება არ შეიძლებაო. მაგრამ ამ შტერმა დედაჩემმა მულისშვილებსაც იმდენივე წილი მისცა, რაც ჩვენ, მის საკუთარ შვილებს. ეს სამოთახიანი ბინა იმ ფულით ვიყიდე. მეტი არაფერი გამაჩნდა ჩემი ყისმათის გარდა, ახლა ხომ ხედავ, საქმის კაცი ვარ, მაგრამ უცოლო, უფრო სწორად ნაცოლარი. ცოლს თუ შევირთავ, ოც წლამდე უნდა იყოს, ოდნავ უფროსიც არ მინდა. იფიქრე, შენიჩკა, იფიქრე, ცუდი სასიძო არ ვარ. ჩვენი ერთად კოტრიალი რა ხელს შეუშლის, შენი ქალიშვილი რომ მომათხოვო. თუ გინდა, რომ მომათხოვო, მაშინ მომათხოვე, სამივენი მეგობრები ვიქნებით.

ჟენია წამოწითლდა, თვალები გადმოკარკლა და მჭახედ შეჰკვივლა – რას ბოდიალობ, შე გათახსირებულო, ჩემი ანგელოზივით გოგო მოგივიდა თვალში?! არ გაიმეორო ეგ სიტყვები, თორემ რამეს ჩაგარტყამ თავში.

– მოკეტე, ჟენიჩკა, შენ მაგის მომვლელი მაინც არა ხარ, მალე გაგივარდება ხელიდან და შენს გზას დაადგება. დედიშენისამ, ახლა არ დაძვრება თუ?! ყოველდღე ნაირ-ნაირ მანქანაში ვხედავ. სანამ მთლად არ გავარდნილა, ეს საქმე გავაიძასქნათ თუ გინდა – თუ არა და დაითესე ჩემი საქმიდან შენც და შენი შვილიც; არ მოგტაცოს ვინმემ?!  
– მოიფიქრე რამე, ჟენიჩკა?! მოიფიქრე, დროზე მოიფიქრე, ვიდრე თურქეთში ან სადმე სხვაგან არ გაგექცა და საბოლოოდ არ დაკარგე. აქ ვიქნებით ერთად, მოყურებულად, კარგს ჩავაცემე და კარგს ვაჭმევ, სკოლასაც დავამთავრებინებ და უმაღლესშიც მოვაწყო.

– მოიფიქრე რამე, ჟენიჩკა?! მოიფიქრე, დროზე მოიფიქრე, ვიდრე თურქეთში ან სადმე სხვაგან არ გაგექცა და საბოლოოდ არ დაკარგე. აქ ვიქნებით ერთად, მოყურებულად, კარგს ჩავაცემე და კარგს ვაჭმევ, სკოლასაც დავამთავრებინებ და უმაღლესშიც მოვაწყო.

– მოიფიქრე რამე, ჟენიჩკა?! მოიფიქრე, დროზე მოიფიქრე, ვიდრე თურქეთში ან სადმე სხვაგან არ გაგექცა და საბოლოოდ არ დაკარგე. აქ ვიქნებით ერთად, მოყურებულად, კარგს ჩავაცემე და კარგს ვაჭმევ, სკოლასაც დავამთავრებინებ და უმაღლესშიც მოვაწყო.

– მოიფიქრე რამე, ჟენიჩკა?! მოიფიქრე, დროზე მოიფიქრე, ვიდრე თურქეთში ან სადმე სხვაგან არ გაგექცა და საბოლოოდ არ დაკარგე. აქ ვიქნებით ერთად, მოყურებულად, კარგს ჩავაცემე და კარგს ვაჭმევ, სკოლასაც დავამთავრებინებ და უმაღლესშიც მოვაწყო.

– მოიფიქრე რამე, ჟენიჩკა?! მოიფიქრე, დროზე მოიფიქრე, ვიდრე თურქეთში ან სადმე სხვაგან არ გაგექცა და საბოლოოდ არ დაკარგე. აქ ვიქნებით ერთად, მოყურებულად, კარგს ჩავაცემე და კარგს ვაჭმევ, სკოლასაც დავამთავრებინებ და უმაღლესშიც მოვაწყო.

– მერე ოფიციალურად ითხოვ ჩემს ნარგიზას?

– რა დიდი ოფიციალობა თხოვება-გათხოვებას სჭირდება?! დავუძახებ ორმოცდაათ კაცს, კარგად ვიქეიფებთ და ჩვენი ცოლ-ქმრობის საბთივ ეგ იქნება. ხელის მოწერას ყოველთვის მოვასწრებთ. შვილიც გვეყოლება და შენ ბებია გახდები. არ უნდა ამას ბევრი ბაზარი, წადი ახლავე და მოელაპარაკე.

– მერე ჩემი და შენი საქმე როგორ იქნება?! – წამოსცდა შენიას.

– როგორც გვინდა, ისე იქნება, ჩემო შენიჩკა. ახლა წადი, ბაზარს მიხედე, თინა შეცვალე, ეგ თინა შეიძლება საერთოდ დავიქნით. ხომ იცი, მალე არჩევნები მოდის, პარტიები მაყუთიან ხალხს სანთლით ეძებენ. მა მაინც სკოლის პედაგოგი მქვია. გავძვრები სადმე პარტიული სიით და სულ ავეყავდებით. მთავარია, დროს არ ჩამოვრჩეთ. – ჩაიცივი ახლა და წადი, საღამოს დამირეკე, პასუხი შემატყობინე, ხომ იცი, სუფრას ხარჯი უნდა, თადარიგი უნდა დავიჭირო.

შენია საწოლიდან წამოდგა, თვალის სიღრმეში ცრემლი უბრწყინავდა, მაგრამ კაციშვილი ვერ გაარჩევდა, სიხარულის იყო თუ მწუხარების ეს ცრემლი. ღია აივანზე კატა ამომძვრალიყო და ნაგავში იქექებოდა. ვალერიანი ცოცხით გამოენტო. კატები იმ დღიდან სძულდა, რაც ონკოლოგიურში მამა დააწვინა და ერთი სანიტრის მონათხრობი დაამახსოვრდა – ეს კატები ნაოპერაციებ ხორცზე არიან დაზრდილებიო. კატა აივანიდან მოხერხებულად გადაძვრა, ასე რომ, ვალერიანმა წარმოსახვაში არსებულ ცხოველს ჩასცხო ცოცხის ტარი.

\*\*\*

კარზე ვიღაც აკაკუნებდა, ვიღაცას ზარის არსებობა დავიწყნოდა და აკაკუნებდა. არქივარიუსმა კითხვა შეწყვიტა, ფურცელი ჩაკეცა, წიგნი რატომღაც ბალიშის ქვეშ ამოდო, წამოდგა და კარისკენ გაემართა. მისი ცოლი თუ უცხო ქალი არსად ჩანდა. ალბათ, სადმე წავიდა, იფიქრა არქივარიუსმა, იქნებ არც არსებობს და მომეჩვენა, წელან თითქოს აქ იყო, ალბათ წავიდა, წავიდა ან არც არსებობდა, არც მოსულა და ახლა უნდა მოვიდეს. ნეტა რა დრო გავიდა, ვიდრე ვახტანგ ახურებულის წიგნს ვკითხულობდი?! მართლა თუ არსებობს ასეთი გვარი? არა, ალბათ მოგონილია. კაკუნს განმეორდა. არქივარიუსმა ხმადაბლა იკითხა:

– რომელი ხარ?

– გამიღე, თემურ, მე ვარ, მე. – კაცის ხმა იყო, ბოხი, ხრინწიანი, ოდნავ მოგუდული. ვინ უნდა იყოს, იფიქრა თემურ-არქივარიუსმა. ამ სახელს თითქოს თანდათან ეჩვეოდა. ჯანდაბას, რაც აღარ მახსოვს, ალბათ ვერასოდეს გავიხსენებ, რადგან თემურს მეძახიან, ვიყო თემური, მე ხომ ვიცი, რომ არქივარიუსი მქვია, ამ უცხო ქვეყანაში ალბათ ამ სახელით მიცნობენ. კარი გამოაღო, ოთახში უცერემონიოდ შემოვიდა ჯერ ერთი, მერე მეორე კაცი. კარი თვითონვე მიხურეს. არქივარიუსი სასტუმრო ოთახში შეუძღვა მოსულებს.

პირველი უცნობი: როგორ მიდის მკურნალობის საქმე, ბატონო თემურ?

არქივარიუსი: კარგად, კარგად, უკეთ ვგრძნობ თავს, თითქოს სიცოცხლის ხალისი მიბრუნდება, თუმცა თქვენთვის ძნელი გასაგებია.

პირველი უცნობი: ხომ მიცანით, მე ხომ გახსოვართ?

არქივარიუსი: ჰო, თქვენ ის არა ხართ, აი, ის...

პირველი უცნობი: თქვენი შვილის მასწავლებელი, ვალერიანი!

არქივარიუსი: ვალერიანი? ჩემი შვილის მასწავლებელი? ჰო, თუმცა სულერთი არ არის?! რაო, ბატონო მასწავლებელო, რა ხდება, ისე მინახულებით, თუ?!

პირველი უცნობი: ერთი სათხოვარი გვაქვს მე და ბატონ პროკლეს. \_ ეს სიტყვები წარმოთქვა და მეორე უცნობს, ესე იგი, პროკლეს გახედა.

არქივარიუსი: რა სათხოვარი, რით შემიძლია გემსახუროთ?

პროკლე, ანუ მეორე უცნობი: მაპატიეთ, მაგრამ უნდა გაგეცნოთ, მე პროკლე მქვია, ჩვენ ადრეც შევხვედრივართ ერთმანეთს, პარლამენტის წევრი ვარ, ახლა ჩვენ, სამივეს დიდი შანსი გვაქვს ნახტომი გავაკეთოთ და ვიღაც-ვიღაცებს მაგრად მოვუხაზოთ, მაგრამ ამისთვის თქვენი ნებაა საჭირო, მხოლოდ ნება და მეტი არაფერი. აი, ეს «დიპლომატი», \_ პატარა ჩემოდანზე მიუთითა, \_ ფულითაა სავსე. ჩვენი სამმო მაყუთის გასამმაგებას გპირდებით, თუ რა თქმა უნდა, დაგვეხმარებით.

არქივარიუსი: რაში უნდა დაგეხმაროთ?

პროკლემ, ანუ მეორე უცნობმა, დიპლომატი გახსნა და არქივარიუსმა უცნობი ფულის ნიშნებით გადაჭედული ზედაპირს მოჰკრა თვალი.

პირველი უცნობი, ანუ ვალერიანი: ეს ფული მხოლოდ იმისთვის მოგართვით, რომ რამდენიმე გვარი მაინც გავგაცნოთ იმ დავთრიდან, თქვენ რომ ინახავთ. თქვენ ძალიან ჭკვიანი კაცი ხართ. გასაგებია, რომ ეს ფული არაფერია იმ საიდუმლო დოკუმენტებთან შედარებით, რაც თქვენ გაქვთ, მაგრამ ჩვენ ხომ სულ რამდენიმე გვარს ვთხოულობთ და მეტს არაფერს. იყოს, თუ გნებავთ, მთავრობის მეორე ემელონის წარმომადგენლები. ოღონდ ზუსტი ციფრები გვინდა, ვინ, როდის, რამდენი წაიღო და არ დააბრუნა, ანუ მოიპარა, ოღონდ რეზოლუციის ავტორის ვინაობაც გვინდა. ეს ცნობები ჩვენი საარჩევნო კამპანიისთვის ზედმიწევნით საჭიროა. თქვენი უსაფრთხოების ნუ შეგეშინდებათ, გეფიცებით, არ გამოვაქვეყნებთ. ეს დოკუმენტები რომ ხელთ გვექნება, გარწმუნებთ, არჩევნებს მოვიგებთ. მანამდე გაძლიერებულ დაცვას დაგინიშნავთ. ქალაქიდან ცოლშვილიანად გაგაპარებთ და გადაგმალავთ, იქნებით თქვენთვის მშვიდად, ამასობაში, ჩვენ არჩევნებსაც მოვიგებთ და მინისტრების პორტფელებსაც დავითრევთ. აბა, როდემდე უნდა იპარპაშონ ამათ, ამ ნაძირლებმა. ეს თქვენგან ზნეობრივი ნაბიჯი იქნება. დავთარს არ ვთხოულობთ, მხოლოდ რამდენიმე გვერდის ფოტოასლს გადავიღებთ, მორჩა და გათავდა!

პროკლე, ანუ მეორე უცნობი: თუ არ დაგვეთანხმებით, მაგ დავთარს მაინც ისინი წაიღებენ, წაიღებენ და გაგასაღებენ კიდეც. თავის გადარჩენა თუ გინდათ, უნდა დაგვიჯეროთ. ეს ფული თქვენთან იყოს, თუნდაც იმიტომ, რომ მოიფიქროთ, ხვალ ამ დროს პასუხისთვის მოვალთ.

არქივარიუსმა არ იცოდა, რა ეპასუხა, სახეზე აიღეწა, მუხლები აუკანკალდა, ხმა თითქმის ჩაუწყდა და ჩურჩულით ესლა უთხრა: კარგიო, ხვალ საღამოს მოდითო.

პირველი უცნობი, ანუ ვალერიანი: თქვენი გონიერების იმედი გვაქვს. თუ უარს აპირებთ ან ჩვენს ჩაშვებას, ტყუილად ნუ დაგვიბარებთ, მერე ჩვენი ხალხი მაინც მოგიხაზავს, თქვენ კი არა, მთელ თქვენს ოჯახს. არ გემუქრებით, ეს უბრალოდ ასე იქნება, თუ ჩაგვიშვებთ.

პროკლე, ანუ მეორე უცნობი: (პირველ უცნობს, ანუ ვალერიანს მიმართავს) ხომ ხედავ, პასუხის ღირსადაც არ გვთვლის, ამ მაყუთს რისთვის ვუტოვებთ, ბარემ გვიპასუხოს და ეგ არის. ჩვენ მოსვლამდე შეიძლება გაასაღონ და დავთარიც წაართვან. ეს ხომ უკვე გადააყენეს ბანკის პრეზიდენტობიდან, ახლა სისხლის სამართლის საქმეს აღძრავენ, თუ უკვე არ აღძრეს, მერე ყველაფერს დააფქვევინებენ, თვითონ სუფთად გამოვლენ, ამას კი ჩააგდებენ ან გაასაღებენ.

პირველი უცნობი, ანუ ვალერიანი: ბატონო თემურ, თქვენი უაზრო დუმილი მაკვირვებს პირდაპირ. სახლში ხომ გაქვთ დავთარი, თუ უკვე სხვებმა დაგვასწრეს და იყიდეს?

არქივარიუსი: როგორც ჩანს ჩვენ სხვადასხვა ენაზე ვმეტყველებთ, ვინა ხართ, საიდანაც მოსულხართ, იქ მიბრძანდით, რის დავთარი, რა დავთარი, რა სიები, რა ფული \_ აიღეთ ჩემოდანი და აქედან მოუსვით!

არქივარიუსმა ისეთი სახით წარმოთქვა ეს სიტყვები, თან ბროლის ლარნაკი ისე მოიმარჯვა, რომ ორივე უცნობი წამით შეკრთა, ორივემ უკან დაიხია. ვალერიანმა ფულით სავსე დიპლომატი ოსტატურად დაითრია და კარისკენ გაემართნენ, კართან კიდევ ცოტა ხნით შეყოვნდნენ, მაგრამ სწორედ ამ დროს ვიღაცამ გარედან გააღო კარი და ეს ვიღაცა არქივარიუსის ცოლი თუ ვიღაც ქალი იყო, ცოლს ხელში პროდუქტით სავსე პარკი ეჭირა, იღლიაში კი ცელოფანში გახვეული პური ამოეჩარა. ცოლმა თუ უცხო ქალმა კარის დახურვა ვერ მოასწრო, რომ უცნობები დამდულრულებივით გაცვივდნენ.

ცოლი თუ უცნობი ქალი: ვინ იყვნენ?!

არქივარიუსი მგონი ჩემი სამსახურიდან, მთავრის მოგზავნილები იქნებიან.

ცოლი თუ უცნობი ქალი: რომელი მთავრის?! რაზე განერვიულდი, რა გითხრეს ასეთი, თუ სანახავად იყვნენ და მეტი არაფერი, რა განერვიულებს?!

არქივარიუსი: ერთი მაგათი ნახვაც...

არქივარიუსსა და თითქოს ცოლს შორის საუბარი ჯერ კიდევ გრძელდებოდა, როცა ზარის ხმა გაისმა. ეს უკვე ნამდვილად ექიმი. ეს ექიმი რაღას გადამეკიდა თავისი ჩაქუჩით და ნემსით. საერთოდ, რა უნდათ ჩემგან. თავი ძლივს შეიკავა, წყალი მოსვა, ისე თბილი და გულისამრევი რომ იყო, დივანზე ჩამოჯდა და ექიმს დაელოდა.

მისალმება, ქალის მოკრძალებული მობრძანდით, მობრძანდით, კარის ჭრიალი და...

ექიმი: გამარჯობა, არქივარიუს-თემურ.

არქივარიუსი: გამარჯობა, ექიმო!

ექიმი: ცოტა მოწყენილი ხართ. იცით, ვის შევხვდი თქვენს სადარბაზოსთან? აბა, გამოიცანით?! პარლამენტარ პროკლე კვინიტაძეს და კიდევ მეორეს, იმის გვარი აღარ მახსოვს, საარჩევნო ბიულეტენზე მინახავს მისი პორტრეტი.

არქივარიუსი: ვალერიანი ჰქვია.

ექიმი: ჰო, ჰო, ჰო: ვალერიან ხუსკივაძე \_ პედაგოგების ინტერესებს დავიცავო \_ გუშინ ყბედობდა ტელევიზიით. ვისთან იყვნენ ნეტავი?!

არქივარიუსი: თემურ დვალთან, რაღაც დავთარს მთხოვდნენ, საიდუმლო ჩანაწერებს.

არქივარიუსი თემურ დვალს აზრზე არაა, რა უნდოდათ იმ ბრიყვებს მისგან.

ექიმი: თქვენთან ყოფილან ესე იგი, თქვენ კი საკუთარ თავს მესამე პირში მოიხსენიებთ, რატომ?!

არქივარიუსი: იმიტომ, რომ ვისთანაც ისინი მოვიდნენ, მე არა ვარ, ვიღაცაში ვეშლები.

ექიმი: იქნებ არ ეშლებით და თქვენ გეშლებათ თქვენი ნამდვილი ვინაობა, ესეც ხომ შესაძლებელია.

არქივარიუსი: არა, ისინი სხვასთან იყვნენ.

ექიმი: და მაინც მე მგონია, რომ ის სხვა შეიძლება თქვენ იყოთ.

არქივარიუსი: ექიმო, მე თქვენთან გულწრფელი საუბარი მინდა.

ექიმი: მითხარით, მითხარით, მე ამას დიდი ხანია ველოდები.

არქივარიუსი: იცით, მივხვდი, რომ «ჩემი არსებობის საყრდენი \_ შიშია».

ექიმი: შიში? შიში კარგია, ძლიერი შიში შეიძლება თქვენთვის წამალიც იყოს.

არქივარიუსი: ყოველ დამით კომმარულ სიზმრებს ვხედავ, სადღაც გავრბივარ, რაღაცას მივათრევ, ვიღაც მომდევს, მე ისევ გავრბივარ. არ შეიძლება, ნემსის გარეშე რომ დავიძინო?! დღეს ნულარ გამიკეთებთ ნემსს, იქნებ უნემსოდ შევძლო ჩაძინება?!

ექიმი: ეგ პრობლემა არაა, სცადეთ, ამჟღას თქვენს მეუღლეს დავუტოვებ, თუ არ დაგეძინებათ, ის გაგიკეთებთ.

არქივარიუსი: თითქოს სიცოცხლის ხალისი თანდათან მიბრუნდება. ბოლო დროს რამდენიმე ნაცნობი გავიხსენე.

ექიმი: რა გაიხსენეთ, გულდასმით მიაბზეთ.

არქივარიუსი: კაქტუსის ყვავილი (ქოთნისკენ გაიშვირა ხელი), ყურძნის მტევანი, წვიმის ხმა და კიდეც ის... იმის თქმა არ შემიძლია, მეტად ინტიმური საკითხია, თუმცა გეტყვით, ჯანი გავარდეს: კაცური სურვილები გამიჩნდა – ესეც მეოთხე ნაცნობი. ჰო, კიდეც თეთრი ღრუბლები, მზის შუქი, ცა, მაგრამ ჩემს ცოლს, შვილს, ვერც თქვენ და ვერც სხვა ვინმეს ვერ ვიხსენებ, ვერ ვცნობ. თუმცა თქვენ უფრო ნაცნობი ხართ, ვიდრე უცნობი, ჩვენ ხომ ყოველდღე ვხვდებით ერთმანეთს, უფრო სწორად, ყოველ სადამოს?!

ექიმი: რომელ დავთარს გთხოვდნენ ისინი, იმ გახმაურებულ ჩანაწერებს?! პრესაშიც გამოჟონა ამ ცნობამ. თუმცა, რა ჩემი საქმეა. ჩემთვის მთავარია, რომ თქვენ უკვე რამდენიმე ნაცნობი აღმოაჩინეთ და რაც მთავარია, რაღაცის სურვილიც გაგჩენიათ. ეს უკვე პროგრესია, დიდი პროგრესი (ექიმი როიალს გახედავს და მერამდენედ ჩაილაპარაკებს: ოჰ, რა კარგი ინსტრუმენტია?! შეიძლება კიდეც დავუკრა?!)

არქივარიუსი: როგორ არა, რამდენიც გენებოთ!

ექიმმა ისევ გაიმეორა დო მაჟორის არპეჯიო, მერე ისევ სოლ-დო-მი ააჟღერა – მყისვე შეკრთა და მიხვდა, რომ სადღაც იქ იყო მისი სახლი – სოლდომში, ანუ სოლდომში, რადგან ლ-ასი ისევ შეიკუმშა.

არქივარიუსი: აი, ის, წელან რომ აკორდი აიღეთ – სოლ-დო-მი – ეს აკორდიც მეცნობა, უფრო სწორად ამ აკორდის სახელწოდება სოლ-დო-მი, ოღონდ ლ-ასი მიქრება და რჩება მხოლოდ სოლდომი.

ექიმი: სოლდომი და გომორა. ო, ეს ძველი ქალაქებია. სოლდომი და გომორა, ძველი აღთქმის გადმოცემით ორი ქალაქი, რომელთა მაცხოვრებლებიც ჩაიძირნენ გახრწნილებაში, სიბილწეში და ციდან მოვლენილი ცეცხლით ჩაიფერფლნენ. ამ ლეგენდას ისტორიული ძირებიც გააჩნია. ხალხის მესხიერებას შემორჩა ის სტიქიური უბედურება იმ რეგიონში რომ მოხდა, სადაც ახლა «მკვდარი ზღვაა». ამასვე ადასტურებენ ანტიკური ავტორები: სტრაბონი, იოსებ ფლავიუსი, ტაციტუსი და სხვანი. გაცეხული ვარ, საიდან უნდა გეცნობოდეთ სოლდომი ან სოლდომის ამბები. ალბათ, ძველი აღთქმის კითხვისას ჩაილექა თქვენს ქვეცნობიერში. გახსოვთ: «აწვიმა უფალმა ციდან სოლდომს და გომორს გოგირდი და ცეცხლი უფლისაგან... დაემხო ეს ქალაქები და მთელი მხარე, ამ ქალაქების მთელი მოსახლეობა და დედამიწის აღმონაცენი. უკან მოიხედა ლოტის ცოლმა და იქცა იგი მარილის სვეტად. წავიდა აბრაამი დილაადრიან იმ ადგილისკენ და დადგა იქ უფლის წინაშე. გახედა სოლდომსა და გომორს, და, ჰა, ხედავს, კვამლი ასდის მიწას, როგორც საკირედან ავარდნილი ბოლი» (დაბადება, 19-24, 28).

არქივარიუსი: ეს ყველაფერი ჩემი თვალთა მაქვს ნანახი, მაშინ მე ლოტი მერქვა და აბრაამი ბიძაჩემი იყო, მყავდა შვილები და ცოლიც, თუმცა ჩემი ცოლის ამბავი თქვენც გცოდნიათ, არ უნდა მიუხედა იმ უბედურს იქით, მაგრამ არ შეისმინა ღვთის სიტყვა, მიიხედა და იქცა მარილის სვეტად. აქ როგორ მოვხვდი არ ვიცი, ამ სახლში,

ამ ქალაქში, ამ ცოლთან თუ უცხო ქალთან, ან ეს ბიჭი მართლა ჩემი შვილია თუ სხვისი?! ან ჩემი ძველი ამბავია მოგონილი თუ ახალი?რომელიღაც სინამდვილეა. თუმცა რას ნიშნავს სინამდვილე, როცა კონკრეტულ სხეულს გრძნობ და რეალურ გარემოში იმყოფები, რამდენადაა ეს სინამდვილე?! იქნებ ესეც ზმანებაა ან უფროა ზმანება ვიდრე ის, რასაც სიზმარში ვხედავ. აწმყო მოდუნებული და უაზროა ჩემთვის, აწმყო მაშინ იძენს აზრს, როცა წარსულზეა მიბმული სიზმარ-ცხადის სურათებით თუ დანალექებით, როგორც თქვენ ბრძანეთ. ან ეს კაცები ვინ იყვნენ, თუ არა გაცოცხლებული სოდომელები – მე ის დავთარი, რისთვისაც სოდომში მდევნიდნენ, ერთ აკლდამაში გადავმალე თხის ტყავში გახვეული. მერამდენე საუკუნეა, რაც ესენი იმ დავთარს დაეძებენ, რასაც კინალამ ვემსხვერპლე. მაშინ სოდომი ქანაანის სხვა ქალაქებთან ერთად ელამს ჩამოსცილდა. შემდეგ კი დამარცხდნენ ელამის მეფესა და მის მოკავშირეებთან. სოდომის მცხოვრებნი უწმინდურნი და მეტად ცოდვილები იყვნენ უფლის წინაშე. ათი მართლმორწმუნეც არ მოიძებნა მთელ ქალაქში და ამიტომაც დაატყდათ უფლის რისხვა. ალბათ ჩემს ცოლსაც რაღაც ცოდვა ჰქონდა, თორემ ღმერთი არ გასწირავდა!.. უკან მიხედვა რა ისეთი დანაშაული იყო?თუმცა უფლის გაფრთხილება არ შეისმინა და ალბათ ესეც საკმარისი იყო მის დასასჯელად.

ექიმი პირდაღებული უსმენდა არქივარიუს-თემურს – იმავე ლოტს. მიხვდა, რომ განსაკუთრებულ ფსიქიკურ დარღვევასთან ჰქონდა საქმე და ხმას ველარ იღებდა, მაგრამ რაღაც მაინც უნდა მოეფიქრებინა ისეთი მარჯვე და ლოგიკური, რომ პაციენტის ცრურწმენა – თუ მართლა ცრურწმენა იყო, ეჭვქვეშ დაეყენებინა, მაგრამ იმასაც შიშობდა, არ გავალიზიანო და უარესად არ ავუზნიო გონებაო.

ექიმი: რა კავშირი აქვთ ერთმანეთთან არქივარიუსსა და ლოტს, მეტადრე თემურ დვალს? არავითარი. ლოტი არასოდეს ყოფილა. აი, რაც შეეხება თემურ დვალს, იგი ბანკის პრეზიდენტი იყო, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, ახლახან რომ გადააყენეს. ეს თქვენი ძველი დავთარი თხის ტყავში გახვეული, სადღაც, ჩვენს წელთაღრიცხვამდე აკლდამაში რომ გადამალეთ, სინამდვილეში ახალი, ჩვენი დროის დავთარია, რომელშიც, როგორც ამბობენ, კრედიტის ამღებთა და არდამბრუნებელთა სიებია ჩაწიკვიკებული. ცოტა ხანში ყველაფერს გაიხსენებთ და მიხვდებით, რომ თქვენი ნამდვილი სახელი და გვარია თემურ დვალი, ლოტი ბიბლიიდან გადმოყოლილი ახირება. ხოლო არქივარიუსი უწოდეთ თქვენს თავს იმიტომ, რომ საიდუმლო დავთარს ადგენდით, ერთგვარ არქივს ქმნიდით. ასე რომ, ბიბლიური ლოტი არაფრით უკავშირდება არქივარიუსს, აი, არქივარიუსი კი თემურ დვალის ფსევდონიმია. საკმარისია გაიხსენოთ, სად გაქვთ დამალული დავთარი და ყველაფერი დალაგდება. მერწმუნეთ, დანარჩენი თქვენი ფაქტაზიის ნაყოფია. თქვენ გინდათ მითხრათ, რომ სოდომის დანგრევის მერე მღვიმეს რომ შეაფარეთ თავი, ერთხელაც, ქალიშვილებმა დაგათვრეს ქაშერით, რადგან მთვრალს რომელიმე ქალიშვილი უცხო ქალად მოგჩვენებოდათ და გაუკაცურებულ ქვეყანაში თესლი აღგედგინათ ერთ-ერთი მათგანისთვის ან მორიგეობით ორივესთვის. თქვენ გინდათ მითხრათ, რომ ქალიშვილები შეეცადნენ თქვენს დათრობას, რათა ეცდუნებინეთ. გვერდით მოგწოლოდნენ, თქვენი გვარ-ტომი არ ამომწყდარიყო და გაგრძელებულიყო?!

არქივარიუსი: რა სისულელეა, ეგ არ მახსოვს, მე მახსოვს როგორ გამომიყვანეს ანგელოზებმა განწირული ქალაქიდან, მახსოვს ჩემი ცოლი როგორ იქცა მარილის სვეტად – სხვა არაფერი მახსოვს.

ექიმი: აიღეთ ბიბლია და გულდასმით წაიკითხეთ გაგრძელება და თქვენ მიხვდებით. რომ ლოტი არა ხართ. ასე სიყმაწვილეში მეც ვფიქრობდი, რომ ზაქე ვიყავი, ალბათ ჩემი ტანმორჩილობის გამო, მახსოვს როგორ ავძვერი ლელვის ხეზე, მაცხოვარი რომ უკეთ დამენახა, მაგრამ მინახავს ოდესმე მაცხოვარი? ლელვის ხეზე კი ავძვერალვარ ბავშვობაში, მაგრამ მაცხოვარი მიგრძენია, კი არ დამინახავს, მიგრძენია, როგორც უცნობი ღმერთი, რომლის სახეც არასდროს უხილავთ.

არქივარიუსი: განა ჩვენ, ნებსით თუ უნებლიეთ, იგივე ადამიანები არა ვართ, იგივე ქალაქებში არ ვცხოვრობთ, იმავე ცოდვებს არ ჩავდივართ?! რა, ამ ქალაქში მოიძებნება ათი მართლმორწმუნე?!

სახლი უეცად შეზანზარდა, ვიდრე მიწა იძროდა. შავი ღრუბელი გამოჩნდა და ქარმა დაჰბერა – მიწა მერე იძრა, მყისვე, ოდნავი დაყოვნების შემდეგ. დედა-შვილი კარს ეცა და გარეთ გაცვივდა, ექიმიც დაედევნა. არქივარიუსმა მოძებნა თავისი თიხის ჯამი, მაცივრიდან წითელი ღვინო გამოიღო, ჯამი გააპიპინა და თავს რომ ხრიდა თიხის ჭურჭლისაკენ, ხელში არ აუღია, რომ არ დაღვროდა, მიწა ისევ იძრა და ღვინო მაგიდაზე დაიღვარა, ღვინის მცირე ნაკადმა გაირბინა მაგიდის ერთი მხარე და ოდნავ გამოღებულ უჯრაში ჩაიღვარა. არქივარიუსმა გაიფიქრა: «შიშია ჩემი არსებობის საყრდენი» – ჯამში ჩარჩენილი ღვინო ბოლომდე ამოამშრა და მიწა ისევ იძრა – უფრო სუსტად, მაგრამ მაინც საგრძნობლად, ლოჯის თაროდან კაქტუსის ქოთანს გადმოვარდა და დაიმსხვრა – წითელი ყვავილი ისე მოჩანდა, როგორც გარდამოხსნის შემდეგ ნალურსმევი მაცხოვრის ხელისგულზე.

არქივარიუსმა გონება დაკარგა, მანამ იწვა იატაკზე, ვიდრე კარგა ხნის შემდეგ ცოლი არ შემობრუნდა სახლში ძახილით: თემურ, თემურ – ძებნა არ დაუწყო და გამოტოლი არ აღმოაჩინა. ახსოვს, როგორ აბრუნდებდნენ. ცივ ტილოებს ადებდნენ შუბლზე, წყალს ასხურებდნენ. თემურს მხოლოდ ნალურსმევეები სტკიოდა, განსაკუთრებით ხელისგულებზე. მერე თანდათან ტკივილმა გაუარა და ცოლი იცნო, შვილიც იცნო, ექიმიც იქვე ატუზულიყო და გაფითრებული თვალებს აცეცებდა.

– დავბრუნდი, – წაიჩურჩულა და წამოიწია. ექიმი შეეშველა, ცოლმაც ხელკავი გამოსდო, მაგრამ თემურმა ექიმისგან თავი გაითავისუფლა და ბიჭისკენ გადადგა ნაბიჯი, გულში ჩაიკრა და დიდხანს კოცნიდა.

– ღირდა კი დაბრუნება, – ამოიკითხა თემურმა ექიმის თვალებში და გაახსენდა, რატომ იყო შიში მისი არსებობის საყრდენი.

\*\*\*

ყოველი დედა ღვთისმშობელს რაღაცით წააგავს. მარტივი ლოგიკითაც კი – თუ კაცი ხატია ღვთისა, ნებისმიერი დედა, ალბათ, ღვთისმშობლის მსგავსია. თუ დედაში ღვთისმშობლის მაგვარი რამ ვერ აღმოაჩინე, ვერ შეიგრძენი, შენთვის უცნობი დარჩება ის სიყვარული, უფალი რომ გვასწავლის.

სიმკაცრე დედისგან რომ ახსოვს, იმდენად მოჩვენებითი იყო, რომ მისი თვალებიდან ამომავალი სხივი არსად აქცევდა ნიღბადქცეულ სიმკაცრეს, რომლის სიღრმეშიც ამოუწურავი სიყვარული თავს ვეღარ მაღავდა. დედის საფლავთან იდგა ყოფილი არქივარიუსი, ყოფილი ლოტი – ახლა უკვე თემურ დვალი და ძალიან სურდა, რამე ისეთი ეფიქრა, დედის რომ არ შერცხვენოდა. მაგრამ დედამისი იქ აღარ იყო, გრძნობდა, რომ იქ არავინ იყო, გარდა მიწიერი მინიშნებისა, წარწერით რომ იუწყებოდა: აქ განისვენებს... დიახ, ნემტი, ნემტი და მეტი არაფერი. დედა სინამდვილეში სჭხვავან იყო. იგი ღვთისმშობლის ხატს შერწყმოდა და ყველგან იყო,

საიდანაც ღვთისმშობელი იყურებოდა, ყველა უჯრედიდან, ბალახიდან, ყველა ყვავილიდან, ყველა ეკლესიიდან, ყოველი მხრიდან, დედა იყო ყველგან. პირველად, შინიდან რომ გამოვიდა, პირდაპირ სასაფლაოსკენ გაემართა, მაგრამ სიცარიელის გრძნობამ იქიდან სწრაფად გამოაბრუნა. დედა მასში იყო, ყველგან და მასში ერთდროულად. ტაქსში რომ ჯდებოდა, უცნობები შენიშნა, ისინიც მანქანაში ჩასხდნენ და მოეჩვენა, რომ უკან გამოჰყვნენ. ტაქსი მდინარესთან შეჩერდა, ოღონდ იქიდან არავინ გადმოსულა. ელოდნენ, უთვალთვალეზდნენ. მერე ტაქსის სახლის მისამართი უთხრა: ამა და ამ ქუჩის ესა და ეს ნომერი, ესა და ეს სადარბაზო. ვიდრე სახლამდე მიაღწევდა, დროდადრო უკან იხედებოდა, უცხო მანქანა ისევ მოჰყვებოდათ. სახლთან რომ შეჩერდნენ, მადევარი მანქანა სხვა სადარბაზოსთან გაჩერდა. მითვალთვალეზენ, ცხადია, მითვალთვალეზენ, აღმოაჩინა თემურმა და სადარბაზოში შევიდა. პირველ სართულზე ცხოვრობდა, მაგრამ ლიფტის ღილაკს თითი მაინც მიაჭირა. მეშვიდეზე გადმოვიდა. მერე ისევ გამოიძახა ლიფტი და პირველზე დაეშვა. მის კართან ორი ახმახი იდგა. თემურის დანახვაზე დაიბნენ: ვიღაც ამბაკოს ვეძებთ, ხომ არ იცით, სად ცხოვრობსო?! თემურმა მთელი სერიოზულობით უპასუხა:

– ამბაკო აქ არ ცხოვრობს, ამბაკო სოლომში გარდაიცვალა ათასწლეულების წინათ.

– არა, ჩვენ გვითხრეს, მღვდელი ამბაკო ამ სახლში ცხოვრობსო?!

– ა, მღვდელი, ჰო, მღვდელი მეზობელ სადარბაზოში ცხოვრობს პირველ სართულზე.

– გმადლობთ, გმადლობთ, – მოუბოდიშეს და წავიდნენ.

სახლში რომ შევიდა, სახეზე ფერი არ ედო, აღელვებას ვერ მალავდა. ცოლს აკოცა, ბიჭსაც მოეფერა – ჩემთან მოდი, საქმე მაქვსო, ცოლს ანიშნა, ბიჭი თავის ოთახში გააგზავნევო.

თემურის კაბინეტში შეკეტილ ცოლ-ქმარს ერთხანს ხმა არ ამოუღია. მერე თემურმა ჩურჩულით უთხრა: – იცი, მითვალთვალეზენ?!

საწერი მაგიდის უჯრა გამოაღო და სქელი დავთარი დაადრო, გადაშალა, თავის ჩანაწერებს თვალი შეავლო, ჩაათვალიერა.

თემური: შეგიძლია, კომპიუტერში შეიყვანო ეს ტექსტი?! ოღონდ ჩუმად, სხვამ რომ თვალი არ მოკრას და თუ შეგიძლია, რამდენ ხანს მოუნდები?!

ცოლი: ალბათ, ერთი კვირა, თუ შეუსვენებლად ვიმუშავებ.

თემური: ერთი კვირა არ დამაცლიან. ძველი ავადმყოფობა უნდა გავითამაშო. ექიმს დაურეკე, ექიმმა ყველაფერი იცის, მათი გამოგზავნილია, აბა, საიდან შეიტყვეს, რომ მეხსიერება დამიბრუნდა?! მაგათი კაცია, დაურეკე, უთხარი, ისევ სოლომზე ლულულეებს-თქო, – ის მოვა, მე გავითამაშებ, შენ ამასობაში დავთარს წაიღებ და თანდათან კომპიუტერში შეიყვან. მთავარია, ყველაფერი დისკზე ჩავიწეროთ. მერე მე მაგათ ვუჩვენებ სეირს!

ცოლი: არ გირჩევნია, ჩააბარო ეგ დავთარი და შენც მოისვენებ და ისინიც. მერე დისკეტის ამბავი რომ გაიგონ, დისკეტს დაუწყებენ ძებნას. მაინც არ მოგეშვებიან. მეც ამეკიდებიან, სამსახურში ყველას თვალში საცემად როგორ გავშალო ეს დავთარი, იქნებ მეც მითვალთვალეზენ?!

თემური: შენ რა, გეშინია?! თუ გეშინია, მითხარი! ამ დავთარს ჩავაბარებ და ჩემი გაგორება ერთი იქნება, გაგორება თუ არა, ჩასმა მაინც. სცადე, იქნებ ფურცელ-ფურცელ წაიღო და ისე იმუშაო. მთავარია, ტექსტი შევიყვანოთ და დისკეტზე ამოვიღოთ.

ცოლი: მხოლოდ ტექსტის შეყვანა არაფერს ნიშნავს – რეზოლუციებიც ხომ უნდა ჩანდეს?!

თემური: რა თქმა უნდა. ოც-ოცი ფურცელი წაიღე და რამდენიმე დღეში მორჩები, მერე მე ვიცი და...

ცოლი: დღესვე დავიწყებ, მაშინ დრო არ უნდა დავკარგოთ.

თემური: არა, ფურცელ-ფურცელ ამოხევა არ ივარგებს, ბოლოს მაინც გავიყიდებით. ჩადე ხელჩანთაში და წაიღე, შენზე ეჭვს არ აიღებენ. მეც შენთან ერთად გამოვალ ისევ სასაფლაოზე წავალ, ოღონდ მანამდე ექიმს დაურეკე, გეხვეწები, დაურეკე, მოვიდეს, ასე უთხარი: ისევ არქივარიუსობას იჩემებს-თქო. ხომ ვიცი, მოცუნცულდება, პირსაც გამაღებინებს და თვალეზშიც ჩამხედავს, მუხლებზეც დამიკაკუნებს თავის ჩაქუჩს.

ცოტა ხნის შემდეგ ცოლ-ქმარი სადარბაზოდან ერთად გამოვიდა, ცოლს ხელჩანთა მხარზე ისე გადაეკიდა, თითქოს არაფერი მიჰქონდა, მხოლოდ რაღაც სიცარიელე – ცოტაოდენი ფული, ცხვირსახოცი, სავარცხელი, სარკე და ჰიგიენური პაკეტი. თემურსაც ხელჩანთა ეჭირა, შიგ ერთადერთი წიგნი ედო «ვახტანგ ახურებული» – «სიყვარულის გაკვეთილები». სად იყო და სად არა, ისევ შავი «ვოლგო» გამოძვრა, ცოტა ხანს შეყოვნდნენ, მერე თემურ დვალს გაჰყვნენ ტაატიტ. თემურმა ისევ ტაქსი გააჩერა – ამა და ამ სასაფლაოზე ამიყვანეო, უთხრა მძღოლს და მანქანაში მოკალათდა. ხელჩანთიდან წიგნი დააძრო და კითხვა გააგრძელა.

*ვახტანგ ახურებული: «სიყვარულის გაკვეთილები»:*

*«ესე ამბავი ვალერიანისაგან ნარგიზას ცოლად, ხოლო ნარგიზას დედის ანუ  
ჟენიჩკას, ესე იგი სიდედრის, ოფიციალურ ხასად დასმის შესახებ»*

თუმცა ნერვიულობდა, სათაურმა მაინც გააცინა. შეეცადა აღარ ეღელვა და კითხვა განაგრძო.

*«ვალერიანი სტუმრების მოლოდინში ცმუკავდა, ადგილს ვერ პოულობდა, ოთახიდან ოთახში მიმოდითოდა. – მშვიდად, ვალერიან, მშვიდად, – ხმამაღლა ჩაილაპარაკა და თავის დაწყნარებას შეეცადა. მთავარია მოვიდეს, ისაა მთავარი, სხვა ყველა ცნობილ ადგილზე მკიდია. ჟენია და ნარგიზა სად წავლენ, მოცუნცულდებიან, აბა, რას, იზამენ, ისაა მთავარი, ის...»*

*«ის» ერთ-ერთი პარტიის ლიდერი იყო, პატარა ბელადი, მოხულიგნო, ენაგატლევილი ტიპი. არჩევნებში დიდ წარმატებას ელოდა და ვალერიანმაც აო დააყოვნა, მისასვლელი გზებიც იპოვა, სანდო შუამავალიც და ბელადი პროკლე ასე გაიცნო. ახლა შინ ჰყავდა დაპატიჟებული, ცოლის შერთვის ცერემონიაც მისთვის გაითამაშა. სად არიან? რატომ აგვიანებენ? ვალერიანი ნერვიულობდა, ცდილობდა, როგორმე დაემშვიდებინა თავი, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა. პირველი ზარიც გაისმა, პირველი ზარი, ვითომ სკოლის ზარი იყოს, თუმცა სკოლის ზარი სადღა ახსოვდა, მასწავლებელთა სიაში ისე ირიცხებოდა, ხანდახან თუ ჩაატარებდა გაკვეთილს თვეში ორჯერ, ეგ იყო და ეგ. სხვა დრო ვალერიანს არ გააჩნდა, რამდენიმე ჯიხურის და ბაზარში ასევე მრავალი ადგილის მფლობელი იყო – მომარაგება და კონტროლი ხომ უნდოდა ამ საქმეს. სტამბულის გზები თბილისივით იცოდა. იქიდან ეზიდებოდა ათას ნაგავს ამ ღატაკ ქვეყანაში და ფულსაც კარგად მოულობდა. ყველას იცნობდა: მეზაჟეებს, საგზაო პოლიციელებს, საგადასახადო ინსპექტორებს, ჯიბის ქურდების მოვლა კი ამ ბოლო დროს უჭირდა. სკოლიდან*

განთესილ, ნახევრად უპატრონო ბავშვებს ვალერიანი მფარველობდა, მისი პედაგოგიური ნიჭი აქ უფრო გამოვლინდა. თვეში ერთხელ ერთ მიყრუებულ ბაღში ხვდებოდა ბაცაცებს – ისინიც თავის წილ მაყუთს აბარებდნენ. სანაცვლოდ, თუ რომელიმე მათგანი ჩავარდებოდა პოლიციელების ხელში, ცნობილი პედაგოგი მფარველობდა, სასწრაფოდ ათავისუფლებდა. ასე იყო საქმე გაჩარხული: ბაცაცები ვალერიანს აფინანსებდნენ, ვალერიანი პოლიციას, უხელფასო პოლიცია საკუთარ ოჯახს და ალბათ კიდევ სხვებსაც, ზევით. მას შემდეგ, რაც დეპუტატობა გადაწყვიტა, ამ საქმიდან დათესვას ფიქრობდა – შიშობდა: სახლავფორთო საქმეა, თანდათან შევეშვებით.

გაწყობილი სუფრა იზნიქებოდა ხორავისგან – ჟენია და ნარგიზა უკვე მოსულიყვნენ და სამზარეულოში ფუსფუსებდნენ. ვალერიანი მხარზე ხელს უთათუნებდა ხან საცოლეს, ხან სასიდედროს, აბა, თქვენ იცით, თავი არ მომჭრათო, აგულიანებდა. მალე სტუმრები ერთად მოვიდნენ, ჯგუფურად, პარტიულად, ყველა რალაციტ ჰგავდა ერთმანეთს, ჰალსტუხებით, პიჯაკებით, გამომეტყველებით, შესტიკულაციით, ცრუ თავდაჭერილობით, ვინ იცის კიდევ რით?! ისინი ერთმანეთს იმითაც ჰგავდნენ, რომ პროკლე ბელადის წინაშე მოწიწებას გამოხატავდნენ, ყველა უკლებლად, დიდი და პატარა, გამხდარი და მსუქანი, ქალი და კაცი. პროკლე ოხუნჯობდა, ის იყო ყველაზე თავისუფალი, რადგან სხვები პროკლეს პატივისცემით და რიდით იყვნენ შებორკილნი.

ღრეობა გაჩაღდა. ჭიქა ჭიქაზე იცლებოდა, თამადა მოზრდილ სასმისებს თხოულობდა; ყანწებს, თასებს, ჭინჭილებს. ვალერიანი იჯდა ნარგიზასა და ჟენიას შორის, აღაჟღაჟებულო, ბედნიერი, არა ამ ფსევდოქორწილით, უფრო იმით, რომ პროკლეს «კამანდაში» ჩაეწერა, გაიშინაურეს, ჩადებულმა ფულმაც გაჭრა – პროკლემ შუა ქეივისას ცალკე გაიხმო, მეორე ოთახში გავიდნენ.

პროკლე: ხომ იცი, დღეიდან ჩემი მარჯვენა ხელი ხარ, პედაგოგების სიდუხჭირეს მიაწვები, განათლების საკითხებს, საერთოდ. პარტიულ სიაში პირველ ხუთეულში იქნები. ისე როგორ მოხდება, რომ თხუთმეტი კაცი მაინც არ გავიდეს ჩვენი პარტიიდან. ასე რომ, დეპუტატობა განადღებული გაქვს, მაგრამ დიდი ბრძოლა მოგვიწევს, ძალიან დიდი, ოღონდ ერთი გახსოვდეს: «მიზანი ამართლებს საშუალებას». – ნოვეიჩ! ნოვეიჩ! – შემოესმა პროკლეს, – თქვენი სადღეგრძელოა, – ხელისბიჭი შემოვარდა, პროკლეს მიელაქუცა, ცოტადა აკლდა ხელი აელოკა პატარა ბელადისთვის.

პროკლე ჯერ ერთხმად ადღეგრძელებს – მერე ყველამ სათითაოდ. იგი იჯდა, არ წამომდგარა, მხოლოდ ვალერიანს წამოუდგა, როგორც ახალდაქორწინებულს, ან კიდევ სულაც იმიტომ, რომ ვალერიანის პარტიული შენაწირი ამას იმსახურებდა, თავს მძიმედ უქნევდა, ნებისმიერ შექებას მდუმარედ ეთანხმებოდა. ვალერიანმა მსუყე ფერებით დახატა პარტიის ბელადის პორტრეტი – აბა, ერთხმადო! – დასჭექა და მთელი სუფრა ფეხზე დაუდგა პროკლეს.

გვიან დაიშალნენ. პარტიის ბირთვი ბელადს გაჰყვა, ისევე ერთად გაჰყვა, როგორც მოვიდა. დარჩა ცარიელი სუფრა, ნამუსრევი კერძები, ძვლების გორები, ზეთისხილის კურკებით სავსე თეფშები, ტორტით მოთხუპნული ხელსახოცები, სიგარეტის ნამწვავებით გატენილი საფერფლეები. ვალერიანი ფანჯარასთან იდგა და უაზროდ ამტერდებოდა ცას. ის ვარსკვლავი, ოდესღაც მამამისი რომ საიქიოში წაიყვანა, ვალერიანსაც დაჟინებით ამტერდებოდა.

– ჟენიჩკა, გადასწიე ფარდა, სცენასავით მოჩანს სახლი... რა დროს სიკვდილზე ფიქრია, – თავის თავს გაუჯავრდა, – მხნედ იყავი, ვალერიან, მხნედ და ხალისიანად.

– შენიამ ფარდა გადასწია და სუფრის ალაგებას შეუდგა. ვალერიანმა მხარზე ხელი გადახვია ნარგიზას და საწოლ ოთახში წაუძღვა.

– აბა, შენ იცი, შენიკა, არ მოიწყინო, ჩვენ ნაღდად არ მოვიწყენთ, მთავარი საქმე დაგვრჩა მოსაგვარებელი, მთავარი.

შენიას თავი არ აუწევია, ისე განაგრძობდა თეფშების ალაგებას. ვერც შვილს, ვერც ვალერიანს თვალს ვერ უსწორებდა. ვინ ვარ ახლა მე, ფიქრობდა შენია: ბედნიერი დედა თუ უბედური საყვარელი?! ალბათ ორივე ერთად. რა უნდა მექნა, წმინდანი არასოდეს ვყოფილვარ, ვერც ახლა დავიჩემებდი წმინდანობას. უარი რომ მეთქვა, რას გამოვრჩებოდი?! უნდა მივყვე ცხოვრებას, ყველა დინებას მიჰყვება და რაღა მე ვიყო წამებული. გული მაინც ეწურებოდა, მაგრამ ვერ ხვდებოდა, რის გამო. მე კიდევ ვიშოვი ვინმეს ჩემნაირს. ვალერიანი დიდხანს აღარ დარჩებოდა ჩემთან, მაინც წავიდოდა, აი, სხვა რომ შეერთო, მაშინ წახდებოდა საქმე.

შენიას ცოტა ხნის შემდეგ მეზობელი ოთახიდან ქალიშვილის წკმუტუნის შემოესმა, მერე ვალერიანის ხენეშა. შენია აბაზანაში შევიდა, კარი დახურა, უნიტაზზე ჩამოჯდა და გულამოსკვნილი ატირდა. სიგარეტს მოუკიდა, დაწყენარება სცადა, მაგრამ არ გამოსდიოდა, თან ეწეოდა, თან ზღუქუნებდა. ასე გაგრძელდა კარგა ხანს, ვიდრე ტელეფონის ზარი არ აწკრიალდა, აბაზანიდან გამოვარდა, სასტუმრო ოთახში შეირბინა, ყურმილს დასწვდა: – ალო, გისმენთ!

– ვალერიანს სთხოვეთ, – გაისმა ნაცნობი ხმა.

– პროკლე ბრძანდებით?!

– ჰო, ვალერიანს სთხოვეთ!

– იცით? მეფე-პატარძალი...

– ჰო, ვიცი, ვიცი, დროზე დაუბახე.

შენიამ ყურმილი გადადო – სიძე-ქალიშვილის ოთახის კარს მიუახლოვდა და გაბედულად დააკაკუნა.

– ვალერიან, ბატონი პროკლე გთხოვს! – ვალერიანი ნახევრად ტიტლიკანა გამოტანტალდა საძინებელი ოთახიდან. ყურმილს დასწვდა:

– გისმენთ, ნოევიჩ!

შენია აყურადებდა სიძის პასუხებს. ის კი დაქოქილივით სულ დიახ, დიახო, გაიძახოდა. ვალერიანი ისევ უკან გატანტალდა, შენიას რომ მიუახლოვდა, შეჩერდა, უცებ გულში ჩაიკრა და ყურში ჩასჩურჩულა – ლოჯში დაწექი, იცოდე, ლოჯში – ცოტა ხანში გამოვჩნდები. ნარგიზა ჩაიძინებს და გამოვჩნდები.

– არა, არა, – ამოიკვნესა შენიამ.

– არა კი არა, კი, ხომ იცი, უშენოდ გამიჭირდება, ვერ გადავეჩვევი. ამას რომ ეუბნებოდა, ხელი ფეხებშუა ამოუსვა და მოეფერა. ვერ გავძლებ უშენოდ, ლოჯში დაწექი. ვალერიანი ქალს მოშორდა და საწოლი ოთახისკენ გაიძურწა.

შენიამ სძენა დაძაბა – არავითარი საეჭვო ბგერა აღარ გაუგონია, არც საწოლის ჭრაჭუნის, არც ქალის გმინვა, არც მოულოდნელი შორისდებული, თავისით რომ წყდება ნეტარებაში ჩაფლულ სხეულს და სიჩუმეში უნებლიეთ ვრცელდება. დუმილმა ჩაყლაპა სახლი, მხოლოდ ქუჩიდან შემოსული ხმები აღწევდა ოთახში, გაურკვეველი ხმები, დაგვიანებული მანქანის საბურავების და ძრავის ხმა, ღამის მატარებლის შორეული ექო. მატარებლის ხმა შენიასათვის იმდენად ახლოებელ და თბილ გრძნობებს აღძრავდა, რომ გული მოეწურა. თავისი შვილის ხნის იყო, სოფლიდან რომ ჩამოვიდა, უმაღლესში უნდა ჩაებარებინა, მაგრამ ბედის ჩარხი სხვაგვარად დატრიალდა. ერთხანს ავტობუსის კონდუქტორად მუშაობდა. მძლოლმა, რა თქმა უნდა, შეაცდინა, ცხადია, ქირით ცხოვრობდა. ავტობუსის მძლოლიც იქ

დაუდიოდა დაქირავებულ ბინაში, ეგრევე ებდღვნებოდა და საწოლზე გააკრავდა, იგი ტკივილის მეტს ვერაფერს გრძნობდა, მერე და მერე გაუტკბა, მიეჩვია, მეტი და მეტი მოინდომა. მძლოლი რომ მოსვლას აგვიანებდა ან დღეს ჩააგდებდა, განიცდიდა, ნერვიულობდა, რაღაც აკლდა, რაღაც უნდოდა, უფრო უნდოდა, ვიდრე მაშინ, როცა დაიწყო და ტკივილის მეტს ვერაფერს გრძნობდა. ახლა გასუსული იწვა ლოჯიაში და იგივე სურვილი ჰკლავდა, როცა მაშინ, მძლოლის მოლოდინში რომ სტანჯავდა. მაშინ ადგა და სხვა მძლოლთან უღალატა, მერე სხვა მოსინჯა, ის სხვაც დაკარგა და ისევ სხვა მოსინჯა, მაღაზიის ნოქარი, ნოქართან პირველმა მძლოლმა მიუსწრო, ორივე მაგრად მიჟეჟა. ეზოში ერთი აყალმაყალი ატეხა, სახლის მეპატრონესაც დაუპირა მიბეგვა, მაგრამ «ხაზეინი» ძლიერი აღმოჩნდა, მძლოლს ცალი ხელი ქეჩოში ჩაავლო და სულ პანლურის ცემით გააგდო ქუჩაში. მერე ღამდამობით «ხაზეინის» ჩამოსვლას ელოდა მეორე სართულიდან. კიბის ჭრიალს რომ გაიგონებდა, გული სიხარულით ევსებოდა. ეს ყველა კაცს ერთად აღებულს სჯობდა, მაგარი იყო, ძალიან მაგარი. სანამ ის ერთხელ, ეს ორჯერ ასწრებდა, ისე კვნესოდა და გმინავდა, რომ «ხაზეინი» პირზე ხელს აფარებდა – «ხაზეიკამ» არ გაიგოსო. ასე კვნესოდა ჟენია მოგუდულად პირზე ხელდაფარებული, მაგრამ როცა «ხაზეინიც» კარგავდა კონტროლს, ხელს ბაგეებიდან ააცლიდა და მისი ზმული ფანჯრებს აწყდებოდა ზრიალით. «ხაზეინი» «ნეფორმალი» იყო. ახალწამოწყებულ აყალმაყალში რომელიღაც პარტიას ყოჩობდა, მთლად ლიდერი არ იყო, მაგრამ...

ამასობაში ლოჯიის კარი გაჭრაჭუნდა, ჟენია გამოერგვა, თავს ვალერიანი წამოსდგომოდა, დედიშობილა, საბრძოლველად გამზადებული, ქალს ლოჯინში შეუგორდა, ესეც უნიფხვოდ დაწოლილიყო, ამან სულ გააცოფა – მიაწვა და მიაწვა. ოციოდე წუთის შემდეგ წამოხტა, ქალს საჯდომზე ხელი მოუთათუნა და აბაჯანისკენ გასწია ორცოლიანმა დეპუტატობის კანდიდატმა.»

\* \* \*

ტაქსი გაჩერდა.

– მოვედი, უფროსო! ესეც სასაფლაო. მთელი ქალაქი ჩაყლაპა რა ამ სასაფლაომ. ყველა აქ არი, ვისაც ვიცნობდით, თითქმის ყველა. თქვენ მაგარ წიგნს კითხულობთ მგონი, ისე ჩაფიქრებული ხართ, არა?!

თემური: გასართობად არა უშავს, ისე დიდი არაფერია, ჩვენი ცხოვრების ჩათლახობებია აღწერილი. ეგ არის და ეგ.

ტაქსის მძლოლი: მაგის მეტი რა ვიცი, თუ წერს სხვა რამეზე უნდა წეროს მწერალმა, ჩათლახობები ცხოვრებაში არ გვეყოფა?! მე გასართობი წიგნები მიყვარს – სიყვარული, სროლა, ჩხუბი – ესე რა...

თემურმა ფურცელი ჩაკეცა, წიგნი დახურა და ხელჩანთაში ჩააცურა. ცოტა ხანს მომიცადეო, მძლოლს სიტყვა დაუგდო და მანქანიდან გადავიდა. ძლივს მიაღწია მშობლების საფლავამდე. ვარდი ისევ ყვაოდა, კვიპაროსები ახალა შენიშნა რომ წამოზრდილიყვნენ, საფლავზე ბალახიც ამოსულიყო. გადავიდა, ბალახის წიწვნას შეუდგა. თხრიდა ბალახს და ხელისგულით შავი მიწის კოლბოხებს აფხვიერებდა. მერე თვალი იქით გააპარა, სადაც ტაქსი ელოდა, შორიახლოს ნაცნობ «ვოლვოს» მოჰკრა თვალი. «მითვალთვალევენ ეს ჩათლახები, მითვალთვალევენ». ცოტა ხანში ბალახის თხრას რომ შეეშვა – გამოვიდა, ჭიშკარი მიხურა, გადარაზა და ტაქსისკენ გაემართა, ტაქსის მძლოლს ანიშნა დამიცადეო და «ვოლვოს» მძლოლს გასძახა:

– შეიძლება, შეგეკითხო?!

მძლოლი დაიბნა, მექანიკურად თავი დააქნია თანხმობის ნიშნად და პირი ღია დარჩა შეკითხვის მოლოდინში.

– სოდომის გზას ვერ მიმასწავლით?! აქ სულ ტყუილად ვემებ ჩემი მშობლების საფლავს, საერთოდ, როგორც ჩანს, სხვა ქალაქში მოვხვდი.

«ვოლვოს» მძლოლს ხმა არ ამოუღია, სასწრაფოდ დაქოქა მანქანა და დაღმართზე დაეშვა. თემური ტაქსში ჩაჯდა. მძლოლს ანიშნა, წავიდეთო და წავიდნენ. ორი მოსახვევის შემდეგ «ვოლვო» ისე გამოჩნდა. პატიოსნად მიაცილა თემურის ტაქსი სახლამდე, მერეც, თემურმა რომ ფანჯრიდან გადაიხედა, იქვე იდგა. მანქანაში სამი კაცი იჯდა. სამივე ეწეოდა და, როგორც ჩანს, რაღაცაზე საუბრობდნენ. ალბათ ისევ მღვდელ ამბაკოს ემებენ, ჩაიქირქილა თემურმა და ტანსაცმლის გამოცვლას შეუდგა.

ცოტა ხანში ექიმი გამოეცხადა, ჯანმრთელობის ამბავი ჰკითხა, – თქვენმა ცოლმა დამირეკა, ისევ ავად არისო, ჩაიბურტყუნა და თვალებში ჩააშტერდა.

ექიმი: რა მოგივიდათ?! თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა. ახლა რაღა გჭირთ?! – ექიმს მკაცრად, მეტად სერიოზულად ეჭირა თავი.

თემური: რაღაც დავთარს მთხოვენ, სახაზინო დავთარს, ვიღაცეები მირეკავენ, სახლშიც შემომეჭრნენ. რა უნდათ ჩემგან, არ ვიცი. ეს დავთარი წარსულში მქონდა, როცა არქივარიუსი თუ ლოტი ვიყავი, სოდომის გარეუბანში ერთ-ერთ აკლდამაში დავმალე. იმ ღამის შემდეგ ათასწლეულები გავიდა. ახლა რაღა უნდათ ჩემგან. ვეღარ ვხვდები, ის დრო იყო არარეალური და გამოგონილი, თუ ახლანდელი დროა სიზმარი?! თქვენ უნდა მიშველოთ. იქნებ უთხრათ რამე?!

ექიმი: ვის უნდა ვუთხრა, მე არავის ვიცნობ და არაფერი ვიცი, ერთი ჩვეულებრივი ექიმი ვარ, რითაც შემიძლია, გეხმარებით. მეტი რა ვქნა?! აბა, პირი გააღეთ, ასე, ასე. ახლა ენა გამოყავით. ამას თვალი გააყოლეთ აქეთ, აქეთ, კიდევ, კიდევ!

ექიმს პაციენტის მუხლისთავქვეშ ჩაქუჩი აღარ დაუკაკუნებია. ისევ თვალებში ჩააშტერდა.

თემური: «შიშია ჩემი არსებობის საყრდენი», ეს შიში თუ გამიქრა, ნამდვილად დავიღუპები, ალბათ შიშის თანხლებით უნდა ვიარსებო, სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ. რაც დრო გადის, შიში უფრო მიძლიერდება. სოდომშიც ასე იყო, მაგრამ იქ გადავრჩით, უფრო სწორად, ღმერთმა გადამარჩინა. ახლა ვინ მიშველის, არ ვიცი.

ექიმი: რისი გეშინია, ბუასი?!

თემური: ნუ ხუმრობთ, მიწისძვრის მეშინია, სამყაროს ჩამოქცევის მეშინია, ახლობელი ადამიანის სიკვდილის მეშინია და რაც უფრო მეშინია, მეტად ვგრძნობ, რომ ვარსებობ, მძაფრად, საინტერესოდ, თანაც უაზროდ. აღარ ვიცი, რეალურად სად ვიმყოფები. მე ერთდროულად იქაცა ვარ და აქაც – ორი შორეული სამყაროა ჩემში ათქვეფილი და თუ რამ შეიცვალა ამ ხანგრძლივი დროის მანძილზე, მხოლოდ ზედაპირულად, გარეგნულად, მოჩვენებითად. არსებობის მამოძრავებელ ძალად ისევ შიში რჩება, გაბმული, ამოუწურავი, ყოვლისმომცველი, ერთდროულად რომ მანგრევეს და აღმადგენს კიდევ, მკლავს და ხელახლა მშობს, ხან წინააღმდეგობის ძალას მართმევს, ხან საბრძოლველად აღმანთებს. დიახ, ეს შიშია ამ ქვეყნის მამოძრავებელი ძალა. თქვენ რა, არაფრის გეშინიათ?! თუ, ფიქრობთ, რომ ყველაფერი ისე ჩაივლის უკვალოდ, დაუსჯელად, განუკითხავად?! ხომ გრძნობთ, როგორ გახშირდა მიწისძვრები?! იმის ნაცვლად, რომ შეგეშინდეთ, მიხვდეთ, რომ მოსალოდნელ სტიქიურ უბედურებას ჩვენ ვიწვევთ ჩვენივე ცოდვებით, არამართლმორწმუნეობით, სხვათა განკითხვით, დასმენით, მოყვასის ღალატით, და

კიდევ იმით, რომ უფრო ცხოველები ვართ, ვიდრე ადამიანები. «საზოგადოებრივი ცხოველი» – ხომ გაგიგონიათ, დიახ, საზოგადოებრივი ცხოველი და მეტი არაფერი.

ექიმი: თქვენ ბრძანეთ, რომ საინტერესოდ და თანაც უაზროდ არსებობთ, როგორ ათავსებთ ერთმანეთთან ამ ორი სიტყვის სემანტიკას? ხომ არ გგონიათ, რომ ისინი ერთმანეთს გამორიცხავენ? თანაც, ჩვენ რა სტიქიური უბედურებები შეგვიძლია გამოვიწვიოთ, უბრალო, საწყალმა ადამიანებმა?! რაც უნდათ, იმას გვიზამენ. ბატონო თემურ, თქვენ ოთახში ფანჯრიდან შემთხვევით შემოფრენილი ჩიტვით ცხოვრობთ, კედლებს აწყდებით, მაგრამ გასაფრენს ვერ პოულობთ. მე გასწავლით, როგორ გააღწიოთ ამ დახშული სივრციდან. ნულარ მისტირით ეროვნული ბანკის პრეზიდენტობას, დარჩით რიგით ეკონომისტად, სოფელში წადით, დაისვენეთ, ჰაერის გამოცვლა მოგიხდებათ. ის დავთარია თუ რაღაც ჯანდაბა, ამოთხარეთ სოდომის რომელიღაც აკლდამიდან, ჩააბარეთ სადაც საჭიროა და გათავისუფლდებით.

თემური: მე არავითარი დავთარი არ მქონია, ყველა საბუთი ბანკში თავის ადგილზეა. ის დავთარი წინა ცხოვრებაში თუ წარმოსახვაში არსებობდა და იმის გამო დამდევდნენ სოდომის პატრონები. ღვთის შეწევნით მეხსიერება დამიბრუნდა და ახლა მე უკვე არ ვიცი, მქონდა თუ არა ის რაღაც დავთარი?! კი, ბატონო, სოდომში რომ ვცხოვრობდი, მქონდა, ახლა აღარ მაქვს...

ექიმი: ბატონო თემურ, ეს ხალხი თქვენ ციდან ჩამოვარდნილი არ გეგონოთ, ისინიც სოდომში ცხოვრობდნენ ოდესღაც და იქიდან მოგდევნენ, ყველა ცხოვრებაში გამოგყვებიან, სულში ჩაგიძვრებიან და სულს ამოგიღებენ. იმ სოდომიდან ამ სოდომში მოგაკითხავენ. თქვენ რა, გგონიათ, რომ ახლაც სოდომში არ ცხოვრობთ, ახალ სოდომში?! თავს ნუ იკატუნებთ, თქვენი პრეზიდენტობისას, რა, არ ჩალიჩობდით?! წმინდანი ხართ?! უფალმა ამოგარჩიათ და დაგიხსნათ ამ უბედურებიდან? უფრო პრაგმატულად იაზროვნეთ, ამხელა ბანკის პრეზიდენტი რამ გაგალირიკოსათ, რამ გაგაეპიკოსათ. რა მითოსი აგიტყდათ, რა ლეგენდებს ჰყვებით. ახლა მითოლოგიურ რომანებსაც აღარავინ წერს და საერთოდ რომანებსაც აღარავინ კითხულობს, მით უმეტეს ლექსებს, ამ შეშლილი ადამიანების ნაბჟუტურებს. გამოფხიზლდით, აღიდგინეთ ძველი ლოგიკა: «მიზანი ამართლებს საშუალებას». ჩართეთ კალკულატორი, გადაიანგარიშეთ, ციფრებად აქციეთ თქვენი ემოციები, პირობით ციფრებად, გამოაკელით, მიუმატეთ, გაყავით, გაამრავლეთ, ნებისმიერ შემთხვევაში ნულს მიიღებთ, ე.ი. არაფერს. თუ თქვენსას გააგრძელებთ, უეჭველად ნულს მიიღებთ. თუ პრაგმატულად იმოქმედებთ, რაღაცას მოიგებთ და ეს რაღაც სიცოცხლეა, სიცოცხლე. გაიგეთ, რას გეუბნებით?!

თემური: ექიმო, შეიძლება თქვენ მართალი ხართ, მაგრამ ჯერ კიდევ კარგად ვერ ვგრძნობ თავს, ერთკვირიანმა წამკურნალებამ იქნებ აზრზე მომიყვანოს და ისე მოვიქცევი, როგორც თქვენ მირჩევთ. ცოტა მაცალეთ, სული მოვითქვა, ბოლომდე აღვიდგინო ყველაფერი. მთელი სახლი გადავაბრუნე და ვერ ვიპოვე ის დავთარი. არ ვიცი, ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ. იმ აკლდამაში რომ შევიწინახე, ეს კარგად მახსოვს, ხელახლა მოვიძიებ. ალბათ რაღაც გამომივა.

ექიმი დაფიქრდა, მგონი მართლა გარეკა ამ კაცმა, თუ გარეკა, ზევით უნდა ვაცნობო. იქნებ ერთი კვირა მართლა ვაცალო და, ბოლოს და ბოლოს მიაგნოს დავთარს. მაინც რა წერია იმ დავთარში?! მე რომ ხელში ჩამაგდებინა, სხვაგვარად ვიმოქმედებდი, ჯერ კაი ფულს ვიშოვიდი ზოგიერთი «ტიპისაგან», ამ საქმეში რომაა გარეული, მერე ჩავაბარებდი და ქვეყნიდან დავითესებოდი. ამან თუ სოდომის

აკლდამში თხის ტყავში გახვეულ დავთარს დაუწყო ძებნა, მართლა გაუფრენია და ეგ არი.

ექიმი: ერთი კვირა შეიძლება წამკურნალება, როგორმე დამშვიდდით. სოდომის მითი თავიდან ამოიგდეთ და აკლდამებში კი არა, თქვენს უჯრებში მოძებნეთ ის რაღაც დავთარი.

თემურმა მდუმარედ დაუქნია თავი. ექიმი ისევ როიალთან მივიდა. ისევ სოლდო-მი მოსინჯა და ჩაილაპარაკა: მშვენიერი ინსტრუმენტია, მშვენიერი, ცოდვა არ არის უმოქმედოდ რომ დგას?! ასეთ ინსტრუმენტზე დღეში ორი-სამი საათი მაინც უნდა უკრავდეს ვინმე. თქვენ ოჯახში არავინ უკრავს?!

თემური: არავინ, მე ცოტა რაღაც ვიცი, მუსიკალური შვიდწლელი მაქვს დამთავრებული, ტექნიკუმშიც ვსწავლობდი, მაგრამ მერე მივატოვე. მამაჩემმა მირჩია ფინანსისტობას მიჰყავი ხელიო. მათემატიკაშიც ძლიერი ვიყავი და ალბათ იმიტომ. მუსიკას რომ გაჰყვე, მთელი ცხოვრება მშვიდი იქნებოდა.

ექიმი: თუ ამ ინსტრუმენტის გაყიდვა დააპიროთ ოდესმე, აუცილებლად გამაგებინეთ, სხვაზე მეტს გადავიხდით.

თემური: ვნახოთ, შეიძლება ასეთი დროც დადგეს. ჯერ არც გვიფიქრია, თუ დავაპირებთ, აუცილებლად შეგატყობინებთ.

ექიმი: კარგი, ასე შევთანხმდეთ, თქვენ ეს ერთი კვირა ჩემი დანიშნულება გააგრძელებთ და ერთი კვირის შემდეგ გამაგებინეთ, ყიდით თუ არა როიალს.

თემური: როიალს?! როიალს ჩემს მკურნალობასთან რა კავშირი აქვს?!

ექიმი: არა, ისე გითხარით, დაფიქრდით და მიხვდებით. ახლა წავედი.

წავიდა, კარი გაიჯახუნა, წინანდებურად ფრთხილად აღარ მიუხურავს. დარჩა თემური მარტო, თემური თუ არქივარიუსი, არქივარიუსი თუ ლოტი. აღარ ფიქრობდა, უფრო სწორად, ვეღარ ფიქრობდა. ერთიანად მოეშვა, მოითენთა. დრო ისევ შეჩერდა. მექანიკურად ინატრა, კი არ ინატრა, გულში გაივლო, ნეტა იქ დავრჩენილიყავი, სადაც ამნეზიის დროს ვიყავიო. შეუძლებელი რამ ინატრა. იქ ვინღა დააბრუნებდა. კიდევაც რომ დაბრუნებულიყო, იქაც დევნა და ქაოსი ელოდა, მაგრამ ფინალი იცოდა. იქ ხომ გამოიხსნეს, სოდომიდან უვნებლად გამოიყვანეს ისიც და მისი შვილებიც, ცოლი დაკარგა მხოლოდ, უფლის გაფრთხილება არ შეისმინა და დაიღუპა. ნუთუ მარადიული დევნისთვის დავიბადე?! «შიშია ჩემი არსებობის საყრდენი» – დიახ, შიში. ახლა აღარ იცის, როგორ დაიხსნას თავი ამ ქაოსიდან, ამ აბსურდიდან. გაპარტახებული ქვეყნიდან როგორ გაიქცეს. როგორ მიატოვოს ყველა და ყველაფერი. ვინღა მიეშველება გაქცევაში. ტელევიზორი ჩართო, იგივე აბსურდი გრძელდებოდა. პარლამენტის სხდომა მიმდინარეობდა – ნახევარ საათში ერთხელ დარბაზში აყალმაყალი და ჩხუბი იწყებოდა. ყველამ იცოდა ქვეყნის გადარჩენის წამალი, ოღონდ ეს წამალი სათავისო უფრო იყო, ვიდრე საქვეყნო. ჯერ აფხაზეთზე ილაყბეს, მერე კორუფციაზე, ბოლოს ისევ დაცხეს ერთმანეთს. ვიღაც მიკროფონში გაჰყვიროდა: ჩვენ დავასამარებთ ყველა კონკურენტ პარტიას, რადგან ხალხის ინტერესებს ჩვენ ვიცავთო. პარტიები, ძირითადად, ორ ნაწილად გაიყო, გამოიკვეთა დასავლური ორიენტაციის მმართველი პარტია, საკუთარი შეცდომებით და საშინაო პოლიტიკის კრაზით და დაპირისპირებული, ოპოზიციური ძალა – ხელისუფლებაში მოსასვლელად რომ ყოველ ხრიკს მიმართავდა. მათი ძირითადი მეკავშირეები მოსკოვში ისხდნენ, იქიდან ფინანსდებოდნენ, ინტრუქციებსაც იქიდან ღებულობდნენ. მოკლედ, ქვეყანა ჩასადირად იყო განწირული. საშველი არსაიდან ჩანდა. ტერიტორიებდაკარგულ სახელმწიფოში ახალი ქაოსი მზადდებოდა, დაგეგმილი ქაოსი, ძალაუფლების გადასანაწილებლად რომ სჭირდებოდათ. ოღონდ

ძალაუფლება შეენარჩუნებინათ და ყველაფერს იკადრებდნენ, რას აღარ ჰპირდებოდნენ გაძვალტყავებულ მოსახლეობას.

აი, ჩემი დავთრის პერსონაჟები, გაიფიქრა თემურმა, თითქმის ყველას ნაჭამი აქვს, თითქმის ყველას. ალბათ ვიღაცას ხელს აძლევს ეს ქაოსი. ტელევიზორი გამორთო და სავარძელში ჩაესვენა.

ცოლს ელოდა, ცოლი იგვიანებდა. ბიჭი სიდედრთან გაგზავნეს ცოტა ხნით, ვიდრე ეს დავიდარაბა დასრულდებოდა. ისევ მარტო იყო შინ, მაგრამ გრძნობდა, რომ ვიღაც თანაარსებობდა მასთან ერთად. ვიღაც მონაწილეობდა მის დუმბილში, იქვე მყოფი თუ საერთოდ მასში ჩაბუდებული, გალურსული – ყველაფერს თვალს რომ ადევნებს: წონის, ზომავს, ანგარიშობს, განსაზღვრავს, განიკითხავს, შეაფასებს. ეს ფიქრებიც მას ეკუთვნოდა. მის გვერდით მყოფს თუ მასში ჩასახლებულ არსებას, თავისუფლად რომ ახერხებდა მის გვერდით და მასში ყოფნას ერთდროულად.

ცოლი იგვიანებდა, ღელავდა. დამშვიდებას შეეცადა, ხელჩანთიდან იგივე წიგნი ამოაცურა:

### ვახტანგ ახურებული: «სიყვარულის გაკვეთილები»...

თემურმა ჩაკეცილი ფურცელი მოძებნა, წიგნი გაშალა, სკამზე მოკალათდა და კითხვა განაგრძო:

*«ვალერიანი დილაუთენია წამოხტა, სამზარეულოში შევიდა, სიდედრს წაებლარძუნა: მაგვიანდება, იქნებ მასაუზმოდ და ისევ აბაზანაში დურთა თავი. ჟენია წამოიზღაზნა. ზანტად ჩაიცივა და სამზარეულოსკენ გაემართა. ყავის მოდუღებას შეუდგა, იცოდა, რომ მისი სიძე და ამავდროულად განუყრელი საყვარელი, ასე დაასკვნა მისი წუხანდელი სტუმრობის მერე, დილაობით ჯერ ყავას დალევდა უზმოზე, მერე საფუძვლიანად წაისაუზმებდა. დილის რიტუალი დიდხანს არ გაგრძელებულა, თუ არ ჩავთვლით იმ თხუთმეტიოდე წუთს, როცა ვალერიანმა ჟენია აბაზანაში შეათრია და სასწრაფოდ ჩაუტარა სიყვარულის გაკვეთილი. ნარგიზას ეძინა, ისე გულიანად ეძინა, რომ თორმეტ საათამდე თვალიც არ გაუხელია. გარკვეული გამოცდილების მქონე გოგონას თავი ბედნიერად მიაჩნდა, რომ მაყუთიან კაცს შეეტენა. მომავალი ნაკლებად აფიქრებდა და თუ მაინც მომავალზე რაიმე გაუელვებდა თავში, გართობის ჟანრს განეკუთვნებოდა. ვალერიანი რომ წავიდა პროკლეს ოფისში, მას შემდეგ კარგა ხანი გავიდა. ჟენიამ მეფე-დედოფლის საძინებელში შეიჭყიტა და თვალი შეავლო საკუთარ დედიშობილა შვილს, სიამოვნებისაგან რომ იზმორებოდა და თვალეებს იფშვნიტდა.*

*ჟენია: ადექი, შვილო, ადექი, ყველაფერი დასალაგებელია, ცოტა მომეხმარე, ჭურჭელიც დასარეცხია, აბა, გათხოვება შენ მხოლოდ ლოგინში კოტრიალი ხომ არ გეგონა?! ადექი, ადექი!*

*ნარგიზამ ზარმაცად ამოხედა დედას, თავის ქმრის საყვარელს და ცრუ სიბრაღულით ჰკითხა:*

*– ჟენიჩკა, რაღა გეშველება ახლა უვალერიანოდ, თუ გინდა, ხანდახან გათხოვებ!*

*ჟენიჩკა: რას ბოდილოობ, შე სულელო, ჩვენ შორის ყველაფერი დამთავრდა, მას შემდეგ, რაც შენი ქმარი გახდა...*

*ნარგიზა: «რიჟა ბაზარია». დამთავრდა არა გადამთავრდა, წუხელ არ შემოდვრა შენთან?! არ მითხრა ახლა არაო?*

ქენიჩკა: არა, შვილო, შენ თავს ვფიცავარ, აბაზანაში იყო და ეგ არის, მაგას როგორ ვიკადრებდით.

ნარგიზა: რა კადრება უნდა \_ «რაზ, რაზ» და მორჩა, ვითომ არაფერი, აბაზანა მერე იყო, ოცი წუთის შემდეგ.

ქენიჩკა: ის ოცი წუთი სამზარეულოში იჯდა და ჭამდა, ეტყობა მოშიებული იყო, შენ თავს ვფიცავარ.

ნარგიზა: სად წავიდა კურო?!

ქენიჩკა: პროკლესთან, ოფისში, რაღაც კრება ჰქონიათ.

ნარგიზა: შენ იცი, რომ ეგ პროკლე ვამპირია?!

ქენიჩკა: რა, ვამპირი?! საიდან მოიტანე?!

ნარგიზა: მე მაგასთან ერთხელ ვიწექი, თვითონ ვალერიანმა, შენმა სასახელო სიძემ დამამაყუთა და წამიყვანა. რო ათავენს, კისერში კბენა იცის, ისეთი კბენა, რომ სისხლის დენამდე. ნაღდი ვამპირია. ხომ გახსოვს, ერთი კვირა ყელშეხვეული რომ დავდიოდი!!

ქენიჩკა: ზედმეტ ლაპარაკს თავი ანებე. ადექი და მომეხმარე. ყველაფერი წარსულს ჩაბარდა. ყველაფერი ახლიდან იწყება. შენ ახლა ცოლი გქვია, ცოლი, გაიგე?!

ნარგიზა: რას მეკაიფები? ხელი ჩვენ არ მოგვიწერია და ჯვარი ჩვენ არ დაგვიწერია, რა ცოლი მე ვარ. ჩვენ ვართ ერთი ცხოველის ორი ბოზი, ორცმოცი წლის და ჩვიდმეტი წლის ორი ქალბატონი. ჩემზე უდგება და შენ გიშვება ანდა პირიქით: შენზე უდგება და მე მაწვება. ეგ არის და ეგ. ბოზები ვართ, ქენიჩკა, ვალერიანის ბოზები. ვერ ხვდები?!

ქენიჩკა: აი, ნახე, თუ შენთან ხელი არ მოაწეროს!..

ნარგიზა: ნუ მეკაიფები.

ქენიჩკა: უეჭველად ასე იქნება.

ქენიას თავის სიტყვების თვითონ არ სჯეროდა, მაგრამ მისი ცხოვრებისეული გამოცდილება კარნახობდა: ყველაფერზე წინასწარ ფიქრი მავნებელიაო, ხვალისა ხვალემ იკითხოსო, ვიღაცისგან გაეგონა და იმეორებდა. სანამ ვიქნებით, ხომ ვიქნებით ხოშიანად, როცა არ ვიქნებით, სხვა გამოჩნდება.

\*\*\*

ვალერიანი პროკლეს ოფისში დიდკაცურად მიიღეს. გამოჩნდა თუ არა, მდივანი ღიმილით შეეგება, \_ ბატონი პროკლე თქვენ გელოდებათო. ვალერიანს არ დაუგვიანია, ზუსტად დათქმულ დროს მივიდა. კარი შეაღო თუ არა, პროკლე ბელადი ფეხზე წამოუდგა, სხვებს ისე ლებულობდა ზანტად, უხალისოდ. აი, ვალერიანს კი აფასებდა. ალბათ უფრო ფულადი შემონატანის გამო და ვალერიანმა პირველად მის სიცოცხლეში იგრძნო დიდკაცობის ფასი, თვითონაც გაიფუყა, რაღაც ძალაუფლება იგრძნო, ეს განცდა მისთვის იმდენად ახალი იყო, იმდენად ახალი, რომ თვითონაც გაუკვირდა. პროკლეს გამოწვდილ ხელს ხელი შეაგება და სავარძელში რომ ჩაჯდა, თითქოს გაშეშდა. ამ კედლებსაც თავისი ხალა ჰქონდა, არა, ნამდვილად სხვა აურა იყო აქ, \_ ძალაუფლებით გამსჭვალული, დიდკაცობასთან ნაზიარევი. თვითონ ვალერიანიც ამ სინამდვილის ნაწილი იყო, პატივით ხვდებოდნენ, ეგრევე ყავას მოუდულებდნენ და მთარბმევენდნენ. მოკლედ, მომავალი დიდების მოლოდინში ვალერიანი თითქოს სიმაღლეში გაიზარდა, თვითონ ასე ეგონა, სხვის თვალში კი უფრო გაფხორილს ჰგავდა.

პროკლე: ვალერიან, გადაუდებელი საქმე გამოჩნდა, ქუთაისში უნდა წახვიდე, მასწავლებლების გრანდიოზული გაფიცვა იწყება. იქ ჩვენი ხალხი დაგვხვდება. შენი მჭერმეტყველების იმედი გვაქვს. ყურადღებას გაუცემელ ხელოვანებზე გაამახვილებ, მმართველი პარტიის უნიათობაზე ილაპარაკებ. ის პუბლიკაციაც არ გამოგრჩეს, ილიას რომ ათახსირებენ – ხო, იცი, კარგი კოზირია. შენებურად მიხედე საქმეს. ხომ იცი არჩევნები ახლოვდება და ამომრჩეველი გვჭირდება. დაზუსტებით ვიცი, რომ პარლამენტართა ერთ ჯგუფს ილიას ხელმეორედ მოკვლა აქვს განზრახული.

ვალერიანი: ეს როგორ?! ილია ხომ 907-ში მოკლეს.

პროკლე: ახლა ილიას იდეების მოკვლა გადაწყვიტეს, მისი მენტალიტეტის ამოძირკვა, ეს რა მკვლელობაზე უარესი არ არის? რომ ჩამოხვალ, გაფლანგული ხაზინის ამბებზეც უნდა ავტეხოთ ხმაური. სად გაქრა სახაზინო დავთარი, სად გაქრა ბიუჯეტის თანხები?! რატომ არ ტარდება საპარლამენტო მოსმენა ამ საკითხებზე. ხალხს რატომ უმაღავენ სიმართლეს. ამ დღეებში ჩვენ უფრო მაგრად დავფინანსდებით. ამ გამოვრიცხავ კოალიციას რამდენიმე სხვა პარტიასთან. ესეც თუ მოხერხდა, იმედია მოხერხდება, ამათ ხელიდან გამოვგლეჯთ ძალაუფლებას. სხვა პარტიებს დავასამარებთ.

ვალერიანი: როდის უნდა წავიდე?!

პროკლე: მანქანა გელოდება, შენი მანქანა შინ დატოვე, ორი მეგობარიც გამოგვყვება, ვახტანგი და მამუკა. თქვენი იმედი მაქვს, იქიდან მობილურით დამიკავშირდით, თუ რაიმე მოხდა.»

\*\*\*

თემურმა წიგნი მოისროლა, მერე ისევ აიღო, ჩაკეცა და ჩანთაში შეინახა. ამის დამწერის... შეგინება დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა. არა, რაღაც-რაღაცებს სიმართლეს წერს, მაგრამ ვის უნდა შენი სიმართლე?! მერე მარტო სიმართლე კმარა მხატვრული პროზისთვის?! ოღონდ წიგნი გასაღონ და რას არ მოიგონებენ?! იქნებ არც იგონებს?! ამ ჩემი დავთარის ამბავს გაზეთებიდან ვიღაც «ახურებულის» რომანში ამოუყვია თავი.

თორმეტის ნახევარი სრულდებოდა, ცოლი რომ მოვიდა. კარში რომ გასაღების ხმა გაიგონა, მიხვდა, ცოლი იყო. თემური წამოდგა, სურდა შეგებებოდა, მაგრამ ადგილზე გახევდა, დაუცადა.

ცოლი შემოქოშინდა, სკამზე ჩამოჯდა და ქმარს ჰკითხა:

– როგორა ხარ?! – მერე ვახტანგ ახურებულის წიგნს დახედა. – კიდევ ამ წიგნს კითხულობ, ალბათ სისულელეა და მიტომ კითხულობ. გართობისთვის გცალია?!

თემური: რა ქენი, შენ ის მითხარი, როგორ მიდის საქმე?

ცოლი: კომპიუტერზე არ გამოდის, ფოტოასლებს ვაკეთებინებ, ხვალ მორჩებიან. ხვალ დილით ხელთ მექნება მთელი დავთრის ფოტოასლი. დილაძე იმუშავებენ, ცოტა ძვირი მიჯდება, მაგრამ რა ვქნათ, დანაზოგიდან მივცემთ. მთავარია, საქმე დავასრულოთ. ბარემ დასრულდეს ყველაფერი, მეტი ნერვიულობა აღარ შემიძლია, დასრულდეს, მორჩეს, გათავდეს! – ქალს ისტერიკა აუვარდა. თემური დიდხანს აწყნარებდა ცოლს, თმაზე ხელი გადაუსვა, მერე გულში ჩაიკრა, ქალს გული აუჩუყდა და უფრო ატირდა.

ასე დამის თორმეტი იქნებოდა ან პირველის წუთები, კარზე ფრთხილი კაკუნი გაისმა.

– ვინ ბრძანდებით? – იკითხა ქალმა.

– ბატონი თემურის ნახვა გვინდა, მეგობრები ვართ.

– ვინ მეგობრები, რა დროს სტუმრობაა, თემურს სძინავს!

პაუზა...

– გააღვიძეთ და უთხარით, რომ იქიდანა ვართ, აუცილებელი საქმე გვაქვს, პასუხი იქ უნდა ავიტანოთ.

– რას ჰქვია იქიდან?! რა დროს იქიდან და აქედანაა?!

– ჩვენთვის გვიან და ადრე არ არსებობს, ქალბატონო, დაუძახეთ ახლავე!

თემურს კაცის ფერი აღარ ედო, ძლივს გადადგა ნაბიჯი, ჯერ ერთი, მერე მეორე და კართან მილასლასდა. კარგად იცოდა, რას ნიშნავდა «იქიდან» – ცივმა ოფლმა დაასხა და კარი გააღო. ხუთი კაცი შემოვიდა, ერთმანეთს მიეწყვნენ. კარი თვითონვე გადარაზეს. ცოლს უბრძანეს, ხმა არ გაეღო, მდუმარედ მჯდარიყო სადმე, სადაც თვითონ მოისურვებდა. ოთხი კაცი საქმეს პირდაპირ შეუდგა. საწერი მაგიდით დაიწყეს, უჯრები გადმოაქოთეს, ყველაფერს ძირს ყრიდნენ, მერე ტახტიც გახსნეს – საბნები, ლეიბები გადმოალაგეს. ბალიშებს, მუთაქებს, წიგნის თაროებსაც მიადგნენ. წამახულ მავთულს უყრიდნენ ქვეშაგებს. მეხუთე მაგიდასთან იჯდა, უემოციოდ ათვალიერებდა სახლს, მერე ერთ-ერთს მოუხმობდა და სეიფისკენ მიუთითებდა.

მეხუთე: სეიფის გასაღები სადაა?

თემური: ჩხრეკის ორდერი გაქვთ?!

მეხუთე: ჩხრეკის კი არა, იხვის ტოლმა არ გინდა?! გასაღები მოიტა, დროზე?!

თემური: ორდერი მაჩვენეთ!

მეხუთე: ოქმიც არ მოითხოვო, შე გოიმო! გასაღები დაადრე დროზე. რა გაქვს სეიფში დამალული. კარგად იცი, რასაც ვეძებთ. გამოგვიჩინე და შეგეშვებით.

თემური: თქვენ არა გაქვთ უფლება. – ეს თქვა და ტელეფონის ყურმილს დასწვდა.

მეხუთე: დადე ტელეფონი. ბევრს თუ გაახურებ, გაგთოკავთ. ხედავ ამ ჩემის ნაპრეზიდენტალს?!

თემური: სახლში არა მაქვს.

მეხუთე: აბა, სად ჯანდაბაში გადამალე.

თემური: სოდომის გარეუბანში – ერთ-ერთ აკლდამაში მაქვს შენახული. თუ გინდათ, წადით და ნახეთ.

მეხუთე: საად?

თემური: სოდომში, ერთ-ერთ აკლდამაში...

მეხუთე: რომელ რაიონშია, კოორდინატები გვითხარი, წავალთ და თვითონ მოვძებნით, თუ საჭიროა, შენც წაგათრევთ.

თემური: ვანის რაიონში, მესაფლავემ იცის.

მეხუთე: ვანის რაიონი, სოფელი სოდომი, – ჩაიწერა. – მესაფლავეს რა ჰქვია?!

თემური: აბრაამი!

მეხუთე: აი, ახლა კარგი ბიჭი ხარ! მაგრამ ბოლომდე მაინც არ გვჯერა შენი. სეიფის გასაღები მოიტა. ასე, კარგია... რას ინახავ ნეტავ ამ სეიფში?! – მეხუთემ სეიფი გახსნა. სეიფში ფული იყო და თემურის და მისი მეუღლის საზღვარგარეთის პასპორტები. ჯერ ფული გადათვალა, ეცოტავა: შენ რა, მეტი ფული არა გაქვს?! შენ ფულიც გადამალული გექნება, მაგრამ ჯანდაბას შენი თავი. ჩვენ ხაზინის დავთარი გვაინტერესებს, ხომ იცი, ვინ გამოგვგზავნა. თვითონ იმის ბრძანებას ვასრულებთ, თუ ცრუ ჩვენებას მოგვცემ, შენს თავს დააბრალებ, შე ბითურო.

მეხუთე: როიალში ნახეთ, როიალში, შეიძლება როიალში ინახავს ეს პიჟონი იმ დავთარს, ჩვენ რომ ვეძებთ. – ოთხი კაცი როიალს დაეტაკა, ქვემოდანაც შეიხედეს, ზევიდანაც ათვალიერეს. ვერაფერი იპოვეს.

თემური: ხომ გითხარით, სახლში არა მაქვს. სოდომშია გადამალული, აკლდამაში, აბრაამთან.

მეხუთე: ე.ი. ვანის რაიონში, ხომ?! ასეთი სოფელი არ გამიგონია, სოდომი თუ სულორი, ბიჭო, ხომ არაფერი გეშლება?!

თემური: რა უნდა შემეშალოს. ჩემი ხელით გავატანე ლოტს, \_ ის აბრაამს ჩაუტანდა, აბრაამმა იცის, რომელ აკლდამაშია.

მეხუთე: აკლდამა რაღა ჯანდაბაა?!

თემური: მგონი ქვაში გამოკვეთილი სამარხია.

მეხუთე: დავთარი დაასაფლავეთ?!

თემური: არა, აკლდამაში შეინახავდნენ და დიდ ქვას მიაყუდებდნენ.

მეხუთე: (ბიჭებს გასძახებს) მორჩით, ხომ გაიგეთ მისამართი, ახლავე მოუსვით ვანის რაიონ სოფელ სულორში!!

თემური: სოდომში!

მეხუთე: ჰო, სოდომია თუ რაღაც ჯანდაბაა. აბრაამი გაჩითეთ ეგრევე და იქ მიათრიეთ იმ საფლავთან თუ აკლდამასთან. ხვალ თორმეტ საათზე დავთარი ხელთ უნდა გვექონდეს. აბა, ჩქარა, მიაწეით.

ოთხივე გარეთ გაცვივდა, ბნელში გაუჩინარდა. თემურმა გაიგონა, როგორ დაიქოქა მანქანის ძრავა, როგორი ჭრიალით მოწყდა ადგილს და სიჩუმეს შეუერთდა.

თემური: თქვენ აქ დარჩენას აპირებთ?! ალბათ სახლის დასალაგებლად დარჩით?!

მეხუთე: სახლს ვერ დაგილაგებ, მაგრამ თუ გინდა სხვანაირად მოგეხმარები, შე პეტუხო! \_ ეს თქვა და თემურის ცოლი ურცხვად შეათვალიერა.

ცოლი: სახლს თუ ახლავე არ დატოვებთ, ყვირილს ავტებ, მეზობლებს შევყრი. \_ აააა! გაბმით შეჰკვივლა ქალმა. მეხუთე დაუფიქრებლად ეცა კარს და კიბე ჩაირბინა. ცოტა ხნის შემდეგ ისევ ჩაირთო მანქანის ძრავა, ისევ ჩაიქროლა მისი ფანჯრების წინ და ისიც ღამის სიჩუმემ შეიწოვა, ისიც დუმილის ნაწილად იქცა.

ცოლს მეტი ნებისყოფა აღმოაჩნდა, უხმოდ დაიწყო სახლის დალაგება, თემური კი იჯდა გაქვავებული სავარძელში და აღარაფერზე ფიქრობდა. ვახტანგ ახურებულის წიგნი გაახსენდა და მიაგნო კიდეც. ზევიდან ეგდო სხვა წიგნებზე, ხელუხლებელი, შუაზე გაშლილი. ჯერ კითხვა დააპირა. მერე მიხვდა, რომ კითხვის თავი არ ჰქონდა, ისიც დალაგებას შეუდგა. უჯრებით დაიწყო. ვახტანგ ახურებულის წიგნი ისევ ხელჩანთაში მოაყუჩა და საგანგებოდ შეინახა.

მერე, უცბად ცოლმა გამოაცხადა: ხვალ გავაგრძელოთ, დილით ადრე უნდა ავდგე და ის წყეული დავთარი და ფოტოასლი წამოვიღო. ბიჭს სკოლას გავაცდენინებ და მის ჩანთაში შევინახავ. არა მგონია, ასე დღისით-მზისით ვინმემ გაგვჩხრიკოს. შენც სკოლაში მოდი და შენი დავთრები თავიდან მომშორე. სადაც გინდა, იქ წაიღე, ვისაც გინდა ჩააბარე. ხომ უნდა დამთავრდეს ბოლოს და ბოლოს! შვილს რამე არ მოგვიწიონ, ყველაფრის მეშინია. შენ რა, გაგიჟდი, სოდომში რომ გააგზავნე ის პირუტყვები?! ხომ იცი, რომ მართლა წავიდნენ. სანამ არარსებულ აბრაამს მოძაბნიან არარსებულ სოდომში, ალბათ, მთელ ვანის რაიონს გადააქოთებენ. შეიძლება შენს ნათესავებსაც დაადგნენ, ააწიოკონ, გაჩხრიკონ, ამაზე არ გიფიქრია?!

თემური: სოდომიც არსებობს და აბრაამიც, ლოტიც და არქივარიუსიც, ეს ჩვენ არ ვარსებობთ, ჩემო კარგო, ჩვენ. და თუ ჩვენ არ ვარსებობთ, იმისათვის არ ვარსებობთ, რომ სოდომი ნამდვილად არსებობს. თუ რამე გვიხსნის, ისევ ღვთის სასწაული.

თემურს თავის სიტყვების აღარ სჯეროდა, უცბად იგრძნო, რომ სულერთი იყო მისთვის ყველაფერი, ცოლიც, შვილიც, დავთარიც, ხალხი და რაც მთავარია, საკუთარი თავი და ინანა, რომ ამ ეპოქაში და ამ ქვეყანაში დაიბადა. მერე შვილი

მანც შეებრაღა და თავი ჩაქინდრა. არა ვარ მართალი, ხვალვე მოვუღებ ყველაფერს ბოლოს. ქოთნის ყვავილებს გახედა. ახალ ქოთანში გადარგულ კაქტუსს ყვავილი ჩამოსჭკნობოდა, მოწყენილიყო.

უცებ მიწა შექანდა, მიწისქვეშა ბიძგი ისეთივე სიძლიერის იყო, როგორც ამას წინათ. ცოლი ისევ კარს ეცა გასაქცევად, მაგრამ გადაიფიქრა. თემურმაც მაცივარი გამოაღო, წითელი ღვინით გაიპიპინა ჯამი და მოსვა, მერე პური ჩააწო და ღვინით გაჟღენთილი ნატეხი გალოღნა: ღვინის გემო ესიამოვნა, ბიძგი ისევ განმეორდა, მაგრამ უფრო სუსტად, ჯამიდან ღვინო აღარ გადმოღვრილა. ცოლი გვერდზე მისჯდომოდა თემურს და ცარიელ ჭიქას უწვდიდა: მეც დამისხიო, დაუსხა. მოსვეს, ოღნავ მოწრუპეს, თითქმის ერთდროულად. ერთმანეთს თვალს არიდებდნენ, მაგრამ საითაც სინამდვილეში იყურებოდა ორივე, ის აბსურდული სივრცე იყო, თავი რომ ვერ დაეღწიათ ვერაფრით. ცოლი წამოდგა და საწოლი ოთახისკენ გაემართა. თემურმა წარმოიდგინა, როგორ იხდიდა ქალი ჯერ იმას, მერე იმას, მერე... კარგა ხანს ყოყმანობდა: მივუწვე თუ არაო. მერე შუქი გამოირთო. სანთელს ვეღარ მიაგნო გადაქოთებულ ოთახში, ვერც ლამპას, ვერც ასანთს, ხელისცეცებით გაიკვლია გზა საწოლი ოთახისკენ. რის ვაი-ვაგლახით მოძებნა სკამი. ტანსაცმელი გაიძრო, სკამზე გადაკიდა. ხელით საწოლის კიდე მოსინჯა, ლეიბს შეეხო და ფრთხილად, ძალიან ფრთხილად ჩაწვა ლოგინში. ცოლს არ ეძინა, ელოდა. უცნაურია ადამიანი, გაიფიქრა თემურმა, ამხელა უბედურების შემდეგაც რაღაც სურვილები გვახსენებენ თავს. იქნებ ასე სჯობს თავდავიწყებისათვის, განტვირთვისათვის, ვინ იცის, იქნებ, მაგრამ ამის მერე ხომ იგივე დარჩება ყოველივე, იგივე და უცვლელი, მერე კიდევ თავიდან დაიწყება..

რატომღაც შუქი მოვიდა. ჩააქრეო, ვიდრე ეტყოდა ცოლს, შუქი თავისით ჩაქრა. ქალი მანც ელოდა. თემური ცოლთან მიჩოჩდა, იცოდა, რომ არ შეეწინააღმდეგებოდა და მიუჩოჩდა.

\* \* \*

დილაუთენია გაეღვიძა ორივეს, ლოგინიდან წამოცვივდნენ. ცოლს სკოლაში შეხვედრა და ბავშვის ჩანთაში დავთრების ჩალაგება გადაეფიქრებინა. ბავშვი ხათაბალაში არ გავხვიოთო: \_ ეკლესიაში! \_ შესძახა თავისი აღმოჩენით გახარებულმა ცოლმა. თემური დაეთანხმა, საათი დათქვეს. თერთმეტ საათზე ქაშვეთთან უნდა შეხვედროდნენ. ცოლი შინიდან რომ გავიდა, ცხრის ნახევარი იყო. აღარ იცოდა, დრო როგორ გაეყვანა. ჯერ ვახტანგ ახურებულის წიგნი მოიძია, მერე რადიო ჩართო და გაისუსა. სამივე ოთახი ჩამოიარა. ცოლს კი მიელაგებინა სახლი, მაგრამ \_ ჩხრეკის კვალი აშკარად ჩანდა. საოჯახო ალბომი ეგდო იატაკზე \_ სურათებიც იქვე გაფანტულიყო. თემური სურათების აკრეფას შეუდგა, ენანებოდა მთელი მისი წარსული, უფრო სწორად ოჯახის წარსული ასე უგულოდ რომ მიეყარ-მოეყარა ვიღაც ახვარს, ვიღაც ნაბიჭვარს. ფოტოალბომში რაღას ეძებდა მაგის... გინება გულში არ გაუვლია, ბავშვობიდან სძულდა ბილწსიტყვაობა, მაგრამ ამ ბოლო მოვლენებმა გინებაც ასწავლა. ნორმალური ენით ვეღარ მეტყველებდა. ამ დახვეწილ ფინანსისტს \_ განათლებული და კულტურული კაცის სახელი ჰქონდა დავარდნილი და მართლაც ასეთი იყო, ყველასთან მოკრძალებული და თავაზიანი. როცა რაიმეზე უარს უებნებოდა ვინმეს \_ ცხრა ბოდიშს მოაყოლებდა, იმედგადაწურულ ნაცნობს თუ უცნობს კარამდე მიაცილებდა, თვითონაც გულდაწყვეტილი რჩებოდა, მაგრამ რა ექნა, კანონს არ ეღალატებოდა. კანონის დარღვევა მანც უწევდა, ქვეყანა რომ

აყირავდა, ყველაფერი შეიცვალა, თითქმის გადაგვარდა – ჯერ იყო გავლენიანი, მაღალი თანამდებობის პირები, მერე კი კანონი. ზოგიერთისგან ზევიდან დარეკვა რეზოლუციის ტოლფარდი იყო, ზოგჯერ უფრო მეტიც, ეს მაშინ, როცა კი არ ურეკავდნენ, ზევით იბარებდნენ და უბრძანებდნენ – ამდენი მილიონი კრედიტი უნდა მისცე ამას და ამას – სახელმწიფო საქმისთვის სჭირდებაო. თემური მყისვე მიხვდა, რომ ბოლოს ყველაფერზე თვითონ აგებდა პასუხს, ამას მაშინ მიხვდა, როცა კრედიტის გამტანები ფულმ უკან აღარ აბრუნებდნენ, მისი საჩივარიც არავინ ყურად არ იღო, რადგან ვისაც ყურად უნდა ელო მისი გასაჭირი – თვითონვე იყო ბანკის მოვალე, ან გავლენიანი შუამავალი, ვისი მეშვეობითაც გაიცა ესა თუ ის კრედიტი. კრედიტის არგადამხდელებს არავინ ერჩოდა – თემურ დვალს დაუწყეს ჩხიკინი. შენი ბრალია, ვისაც არ უნდა ებრძანებინა, კრედიტები ასე არ უნდა გაგენიავებინაო. ეს საყვედური უთხრა «იმან», ვინც ყველაზე ხშირად აიძულებდა კრედიტის გაცემას უზღვაო ოდენობით. მაშინ კი შეფიქრიანდა თემური, ესენი უეჭველად გამჭედავენო და ადრე წამოწყებული სახაზინო დავთარის ჩანაწერების გაფართოება, დაკონკრეტება, განვრცობა ჭკუაში დაუჯდა. თითქმის ყოველდღე მუშაობდა და ჩანაწერებით დავთარი თანდათან ივსებოდა. ამან ამდენი წაიღო იმის დავალებით, იმან ამა და ამ დღის ამა და ამ საათზე დამირეკა და მთხოვა, რომელიც ბრძანებას აღემატებოდაო. რეზოლუციებიან ქაღალდებს «ისინი» რომ აწერდნენ ხელს, ქსეროქსზე ამრავლებდა და სახაზინო დავთარს ჰქონდა დართული. თემური ემზადებოდა მომავალი ბრძოლისათვის, რადგან ერთ დღეს, როცა ზემდგომმა ორგანოებმა შეამოწმა ეროვნული ბანკი, თითქმის ცარიელი აღმოჩნდა. ახლა ყველაფერი თემურ დვალზე უნდა გადატეხილიყო, ის იყო განტევების ვაცი. სახაზინო დავთარის გამოქვეყნება არავის ხელს არ აძლევდა, არც უმრავლესობას, არც უმცირესობას, არც მთავრობას. მთავარი დამნაშავე იყო ეროვნული ბანკის პრეზიდენტი – არაპროფესიონალი და ლიბერალური საფინანსო პოლიტიკის უნიათო გამტარებელი. მორჩა და გათავდა. უნდა გაეწყლიტათ, გაენადგურებინათ. მაშინ დაურეკეს პირველად სამსახურში, იმის კაცმა დაურეკა, სახაზინო ჩანაწერებს თავის დანართით ამა და ამ მინისტრს აუტან და სამსახურიდან მშვიდობიანად წახვალო, შეჰპირდნენ, ცოტა ხანში რამე სამსახურს გიშოვით და შენთვის იქნები თბილადო. ეს გაუძალიანდა, ქვა ააგდო და თავი შეუშვირა: კრედიტებს თქვენი ბრძანების საფუძველზე ვაფორმებდი და მე რა შუაში ვარო! ამის მერე ატყდა მთელი ვაი-ვიში. ერთ დღესაც, შინ რომ ბრუნდებოდა, მანქანა დააჯახეს, იგი დღემდე ფიქრობდა, რომ მანქანა დააჯახეს, მოუწყვეს ავარია, მაგრამ სახაზინო დავთარი უკვე შინ ჰქონდა გადამალული. საავადმყოფოში ცოტა ხანს იწვა, მერე ცოტა რომ მომჯობინდა, შინ გაწერეს, ექიმი მიუჩინეს, ერთხანს აღარ აწუხებდნენ, რადგან ექიმიდან იცოდნენ, რომ თემურ დვალს ღრმა ამნეზია დაუტოვა ავტოავარიამ და აღარაფერი ახსოვდა. ახლა ისევ აწრიალდნენ; ჟურნალისტები, სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლები, მთავრობის ზედა ეშელონები, პარლამენტის წევრები. მისი დაცვა არავის აზრად არ მოსდიოდა: დამნაშავეა და უნდა დაისაჯოსი. ჯერ არავინ დაუსჯიათ ამ ქვეყანაში და რალა მე უნდა დამსაჯონო, თავისთვის ჩაილაპარაკა დვალმა. მაგრამ აუცილებლად დასჯიდნენ. მთელი ქვეყნის საიდუმლოებას მის დავთარში მოეყარა თავი, ვის აწყობდა სახელის გატეხვა, სასამართლოში მოხვედრა, ზედმეტი პასუხისმგებლობა. ხელისუფლებას ფაქტობრივად ის მართავდა და მომავალშიც ის გაიმარჯვებდა, ვისაც დვალის სახაზინო ჩანაწერები თავისი დანართით ხელში ჩაუვარდებოდა. უკეთესი კომპრომატი რა გინდა?! ამ საქმეში ყველა პოლიტიკური ძალა იყო ჩართული და მათი მართვა ან დასჯა ამ საბუთებით

შეიძლება. ამას ძალიან გვიან მიხვდა დვალი, როცა მიხვდა, თითქმის გვიან იყო, დავთრის ხელში ჩასაგდებად უკვე გაეჩაღებინათ ნადირობა.

\* \* \*

ეკლესიაში წასვლამდე კიდევ ორი საათი რჩებოდა, ორ საათში ხელთ ექნებოდა ორიგინალიც და ფოტოაპირებიც, მაგრამ ჯერჯერობით თვითონ ვერ აცნობიერებდა, რაში სჭირდებოდა ფოტოაპირი. ფიქრობდა, რომ მომავალში ამ ასლებით თავს დაიცავდა და თავის სიმართლეს დაამტკიცებდა. დრო გაიწელა. თემური ბოლთის ცემას მორჩა და ისევ ვახტანგ ახურებულის წიგნს მიუბრუნდა.

**ვახტანგ ახურებული: «სიყვარულის გაკვეთილები»...  
«აქა ამბავი ნარგიზას ღალატისა»...**

*პროკლე ბევრ რამეს მოელოდა ქუთაისელ პედაგოგთა გაფიცვიდან. ეს მხოლოდ დასაწყისი იყო, მერე უფრო გამძაფრდებოდა ბრძოლა, მაყუთს ცენტრიდან მოელოდა, მთავარ მაყუთს, ჩრდილოეთის ცენტრიდან, კალიტას ქალაქიდან, ინტრუქციებიც იქიდან ჩამოსდიოდა აგენტების მეშვეობით. ასე რომ, ყველაფერი აწყობილი იყო. ახლა გართობა არ აწყენდა, კაი ქეიფი და ახალგაზრდა ნაშა. გადასაწყვეტი ჰქონდა ვისთვის დაერეკა, რომელი გოგოსთვის. გადაწყვიტა:*

*პროკლე: ჟენიჩკა, ნარგიზა შინაა!*

*ჟენიჩკა: დიახ, ბატონო პროკლე!*

*პროკლე: დაუძახე, ერთი!*

*ნარგიზა: ალო, რაო, ბატონო პროკლე?!*

*პროკლე: იქ ამოდი პირველ საათზე, ხომ გახსოვს, მაშინ რომ ვხვდებოდით?!*

*ნარგიზა: მერე ვალერიანი?!*

*პროკლე: ვალერიანი პარტიის საქმეებს მიხედავს ქუთაისში, ჩვენ აქ მივხედოთ ვალერიანის საქმეებს.*

*ნარგიზა: კარგი, ამოვალ, ოღონდ კბენა და ჩქმეტა არ იყოს თორემ, იცოდე, აღარასოდეს არ მოვალ.*

*პროკლე: ბევრს ნუ ლაპარაკობ, გოგო, აქ ამოდი პირველზე!*

*საუბარი რომ გაასრულა, პროკლემ ხელები მოიფშვნიტა \_ ესეც ასეო, სიამოვნებით ჩაიბურტყუნა და კიდევ სადღაც გადარეკა. მერე წამოდგა და მისაღებში ყველას გასაგონად გამოაცხადა: პარლამენტში მივდივარო! მისი მძლოლიც იქვე იყო, სასწრაფოდ გამოულო კარი, დერეფანში უკან მისდია, მერე მანქანასთან სირბილით მიიჭრა და ბელადს მანქანის წინა კარი გაუღო. \_ უკანა კარი გააღე, შე ბრიყვო, გზაში ერთ ნაშას ავიყვანთ, გვერდით მინდა მეჯდეს, სალაპარაკო მაქვს. მძლოლმა ბრძანება შეასრულა.*

*ნარგიზა დათქმულ ადგილას ელოდა, იქვე ვალერიანის სახლის შორიახლოს იდგა, ნაცნობი მანქანა რომ დაინახა, გაელიმა. პროკლეს ხელი აუწია, ვითომ მანქანას აჩერებდა. მანქანა გაჩერდა, ნარგიზა პროკლეს მიუსკუპდა.*

*პროკლე: (მძლოლს მიმართავს) ზევით ადი, ბიჭო, ჩემს აგარაკზე. მძლოლმა მანქანა მოაბრუნა და საპირისპირო მხარეს გაემართა. პროკლე მთელი სხეულით გრძნობდა ახალგაზრდა ქალის სიახლოვეს. ცალი ხელი მხარზე გადახვია, მეორე უბეში*

შეუცურა. ნარგიზა არ შეწინააღმდეგებია. როგორ იყო წუხელ საქმე?! ივარგა ვალერიანმა?!

ნარგიზა: ჩვეულებრივად.

პროკლე: რას ჰქვია ჩვეულებრივად.

ნარგიზა: იმას ჰქვია, რომ არაჩვეულებრივი არაფერი მომხდარა.

პროკლე: მე ვჯობივარ თუ ის?

ნარგიზა: კაი, ნუ მეკაიფები!

პროკლე: კიარ გეკაიფები, გეკითხები!

ნარგიზა: შენ უფრო ძლიერი ხარ!

პროკლე: რას ჰქვია ძლიერი?

ნარგიზა: აი, იმას, რომ უკეთ მუშაობ ლოგინში!

პროკლე: ჯიგარი ხარ!

პროკლემ ადგილიდან ასწია ნარგიზა და მუხლებზე დაისვა. მძლოლს შეუღრინა, შენ წინ იყურე და მიაწევი, ჩვენ არ ვარსებობთო. წყნეთის გზას რომ დაადგნენ, ნარგიზა უკვე ამხედრებულიყო პროკლეზე და მიაჭენებდა. მიდი, მიდი, აგულიანებდა პროკლე, ესეც ხტოდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ვიდრე ერთ-ერთ მოსახვევში ერთიანად არ მოდუნდა, მოითენთა, დაიშალა და ღმუილი არ აღმოხდა. ნარგიზამ კისერი მოარიდა პროკლეს დაკრეჭილ კბილებს და ამჯერად თავი გადაირჩინა. თუმცა ცოტა ხანში გაბრაზებულმა პროკლემ, კისერში რატომ არ მაკბენინე იმ დროსო, ერთი გაულაწუნა სახეში. ნარგიზამ შეჰკივლა და ხმა აღარ ამოუღია, მოხერხებულად გადმოვიდა მხედრიდან, რალაცეები გაისწორ-გამოისწორა და თავისთვის დასკუპდა.

პროკლე: ხომ ვაჯობე ვალერიანს?!

ნარგიზა: კი, რალაცით.

პროკლე: აი, იმ რალაცაშია საქმე, ეს რალაცაა იდუმალი ძალა, ვერავინ რომ ვერ შეიცნობს. ვალერიანი ახლა ალბათ ქუთაისს უახლოვდება, გუნებაში «რეჩს» ამზადებს, ალბათ კარგადაც მიხედავს საქმეს, ჩემსავით კარგად ვერა, მაგრამ...

ნარგიზა: ქუთაისში იმიტომ გაგზავნენ, რომ ჩემთან...

პროკლე: ვაი, შენს პატრონს, პირველად რა, თვითონ არ მომართვა შენი თავი? გახსოვს, რამდენი ვიწკმუტუნეთ ძაღლებივით?!

ნარგიზა: მაშინ მისი ცოლი არ ვიყავი, ახლა სხვაა...

პროკლე: გაგიმაზავ, რომ ვთხოვო, ისევ მოგიყვანს ჩემთან!

ნარგიზა: არ ღირს, ჩუმ-ჩუმად მოვალ, არ მინდა ახლა მე შუხური.

პროკლე: ეგ ვის უნდა ეშუხუროს, ეგ ბაზარნიკი, ვითომ არ ვიცოდე ნამდვილად ვინ არის? მაგრამ იყოს ასე. შუხური მართლაც არ ღირს (მძლოლს მიუბრუნდება): ახლა ეს სახლში დავაბრუნოთ. კინალამ დამავიწყდა – ნარცისთა საბჭოში ვარ მისასვლელი.

ნარგიზა: აგარაკი ჩაიშალა?

პროკლე: ერთსაათიანი საქმე მაქვს, ჯერ მე ამიყვანს მანქანა ნარცისთა საბჭოში, შინ ან მანქანაში დამიცადე, მერე აგარაკზე გავრეკოთ. სად დამიცდი?

ნარგიზა: თუ ერთ საათს არ გადააცილებ, აქ მოვყუჩდები, მუსიკებს მოვუსმენ.

პროკლე ნარცისთა საბჭოსთან გადმოვიდა, ნარგიზა მანქანაში დარჩა, წინა სკამზე გადმოსკუპდა, საზურგე გადასწია და წამოიწვა, – ჩართე რა ის კასეტა, სთხოვა მძლოლს.

.....

ნარცისთა საბჭოში პროკლე პატივით მიიღეს, საბჭოს რამდენიმე წევრი პირზე კოცნითაც შეხვდა, ნარცისთა საბჭოს დაქვემდებარებულ ორგანიზაციაში – ხავსის შემგროვებელთა კავშირში დიდი აყალმაყალი ატეხილიყო ვილაცის ინტერვიუს გამო. ის ვილაც თავის ინტერვიუში ამტკიცებდა, რომ ჩვენს განვითარებას ილიას მენტალიტეტი ამუხრუჭებს, ჩვენ გვძულს ეს კაციო?!

პროკლე: ჩვენ ბრიფინგს გავმართავთ ამ საკითხთან დაკავშირებით. ქვას ქვაზე არ დავტოვებთ, ეგენი მმართველი პარტიის კუდები არიან. ჩვენ ვიცით, როგორ ვიმოქმედოთ. მაგრამ თქვენი მხარში დგომაც გვჭირდება, ბატონებო. ილია ჩვენი პარტიის საკუთრება ხომ არ არის, იგი მთელი ხალხის კუთვნილებაა, მაგრამ უპირველეს ყოვლისა, თქვენია. მათი სიტყვები ილიას მეორედ მოკვლის სურვილს ნიშნავს. მე მაგათ ვაჩვენებ. – იმუქრებოდა პროკლე. მთავარი ნარცისი ილიმებოდა, ხმას არ იღებდა, თვალები ეშმაკურად უციმციმებდა.

პირველი ნარცისი: ტვინი რომ ჰქონდეთ თავში, ამას ასე ხომ არ იტყოდნენ?! ეთქვათ მოკრძალებულად, რომ დიდი ილიას ზოგიერთი დებულება თუ შეხედულება დროის მოთხოვნას ვერ პასუხობს. მაგენს მართალია, კი არ სძულთ ილია, უბრალოდ უნიჭოები არიან და რას ამბობენ, თვითონ არ იციან. ეს მართლა არ უნდა გავუშვათ ხელიდან, ბატონო პროკლე! ჩვენ რა თქმა უნდა, ჩვენსას ვიტყვით, მაგრამ ჩვენ ხომ პოლიტიკური ორგანიზაცია არა ვართ?! ჩვენ ხავსის შემგროვებელთა კავშირს დავაშოშმინებთ, იმ ბრიყვებს კარგად მოვცხებთ, მერე ჯერი თქვენზეა, უმრავლესობას თქვენ მიხედვით და ჩვენც მოგეხმარებით.

პროკლე: ველოდები თქვენს გამოხმაურებას შემდეგი სამშაბათის ნომერში, მერე ჩვენ ვიცით, ხომ იცით ესენი ვისი მოწაფეები არიან.

მეორე ნარცისი: მაგის მეტი რა ვიცი, მაგათ ჩვენ მოვუვლით.

\*\*\*

თემურმა საათს დახედა, ნახევარი საათი კიდევ ჰქონდა, თავისუფლად მოასწრებდა ეკლესიაში ცოლთან შეხვედრას. ამაზე ამაზრზენი წიგნი ჯერ არ წამიკითხავს, ფიქრობდა ვახტანგ ახურებულის წიგნზე, როცა მორიგ ფურცელს კეცავდა და ჩანთაში ინახავდა. ვერ ხვდებოდა, რითი ჩაითრია ამ წიგნმა, ამაზრზენი სცენებით თუ შიშველი ნატურალიზმით, პარტიული ბრძოლის ჟინით თუ იმის მოლოდინით, რომ მის დავთარს კიდევ ვინმე ახსენებდა, რომელიმე პერსონაჟი, ან ხავსის დამამზადებელი, ან ნარცისთა საბჭოს წარმომადგენელი. ახლავდა დაფიქრდა: ვინ არიან ეს ხავსის დამამზადებელი? ალბათ ისინი, დახავსებულ აზრებს რომ ბეჭდავენ პერიოდულ პრესაში, ქმნიან ცრუსაზოგადოებრივ აზრს. ნარცისთა საბჭო კიდევ გასაგებია. ალბათ იგივე ხალხია, რომლებიც სოლომის ნარცისთა საბჭოში იყვნენ უკვდავებას ნაზიარებნი, უკვდავებას რომ იხანგრძლივებენ. როგო მოაღწიეს სოლომიდან დღემდე, ალბათ ისე, როგორც მე. ისტორიული მეხსიერება ხშირად იკარგება, იწნეხება, ქრება. ამნეზია კაცობრიობას სჭირს საერთოდ, ბუნებრივი ამნეზია. ყველაფერი ინერციაზეა მიბმული. ოდესმე ალბათ გაჩერდება, მაგრამ ჯერ გაჩერებას პირი არ უჩანს. ეს ვახტანგ ახურებულის ამერიკული სერიאלების ავტორებს ბამავს. ვისი ის ვის იმამია, ვერ გაიგებს კაცი. მაგრამ იქნებ მართლაც ასეა, ყველას ყველაფერი დაავიწყდა და მხოლოდ ჩემი დავთარი ახსოვთ – დიდსაც და პატარასაც. ძველი სოლომიდან მოყოლებული ახალ სოლომამდე ამ დავთრისთვის მღევნიან. წავალ და ჩავაბარებ «იმათ», ასლს მაინც დავიტოვებ, ვინ იცის, რაში გამომადგეს. რომ დამიჭირონ, უეჭველად გამოვიყენებ ფოტოპირს, გამოვიყენებ და გამამართლებენ.

თემურს ნაკლებად სჯეროდა თავისივე სიტყვებისა, მაგრამ ძალიან სურდა, რომ დაეჯერებინა. სჯეროდა, არც სჯეროდა...

ტაქსი გააჩერა, არ აგვიანდებოდა, მაგრამ მაინც ტაქსით ამჯობინა წასვლა. ტაქსი რომ გააჩერა, მაშინლა მიხვდა, რომ ასე ხელგაშლილი ვეღარ იცხოვრებდა, ამდენს ვეღარ ირბენდა ტაქსებით. ფულის მარაგი ეწურებოდა, შეფიქრიანდა. ეკლესიაში ადრე მოუწია მისვლა, ცოლიც ნაადრევად მისულიყო და იქ ელოდა. გაზეთში გახვეული დავთრის ორიგინალური მალულად გაუწოდა ცოლმა. თემურმა გახსნილ ხელჩანთაში ჩააცურა, სადაც ვახტანგ ახურებულის წიგნის გვერდით მოაყუჩა ბანკის პრეზიდენტის საიდუმლო სახაზინო ჩანაწერები – თავისი დარანთით. ცოლის ხელჩანთაში ფოტოპირი ეგულეობდა. ცოლს ჩასჩურჩულა: – ახლა შენთან იყოს, სარდაფში რომ სეიფი მაქვს, იქ დამალეო.

– იმ სეიფის გასაღები რომ არ მაქვს?!

თემურმა გასაღები გაუწოდა. იმ სეიფში ფულსა და ძვირფასეულობას ინახავდა შავი დღისათვის. ეს შავი დღეც მოახლოებულიყო, საჭიროდ არ ჩათვალა ცოლისათვის რამე ეთქვა. თუ ამიყვანეს, ამათ მაინც ეყოფა სიცოცხლის ბოლომდე – ცოლ-შვილი იგულისხმა – არც მე ვარ წმინდა წყლის, მაგრამ ამათთან შედარებით ანგელოზი ვარ. ღვთისმშობლის ხატთან შეჩერდა, სანთელი დაანთო, აკვიატებული აზრი წამოუტივტივდა: «ყველა დედა რაღაცით მაინც ჰგავს ღვთისმშობელს – რაღაცით, მაგრამ მაინც ჰგავს.» ერთხანს იდგა თვალმოჭუტული, მერე პირჯვარი გადაისახა და ცოლს უჩურჩულა: – მე წავედი, ამას იმათ ჩავაბარებ და მორჩება ჩვენი ტანჯვა, საბოლოოდ მორჩება. შენ პირდაპირ სახლში წადი და როგორც გითხარი, ისე მოიქეცი, ბიჭი დამიკოცნე, რა ვიცი, ყოველი შემთხვევისათვის – უთხარი, რომ მე მართალი ვარ, ისინი მაიძულებდნენ... უკუსვლით, პირჯვრისწერით გამოვიდა ეკლესიიდან, ეკლდესიის კარს ემთხვია და «იმათთან» წავიდა. ცოლი დიდხანს შეყოვნდა ეკლდესიაში. გადაწყვიტა გაკვეთილების დამთავრებამდე აქ მოეცადა, მერე ბავშვს გამოიყვანდა სკოლიდან და ერთად წავიდოდნენ ბებიასთან.

უკვე აღარაფრის ეშინოდა. თემურის გამომშვიდობებისმაგვარ სიტყვებზეც გაიფიქრა:

– ალბათ ნერვებმა უმტყუნაო. ქალი თავის მოძღვართან გაემართა. თითქმის ყველაფერი უამბო, ოღონდ ეგ იყო დავთარსა და დავთრის ფოტოპირზე კრინტი არ დაუძრავს. რაღას დადიხარ ამ მოძღვართან, თუ არ ენდობიო, ბოლო წინადადება მექანიკურად გაივლო გულში და ეკლესიიდან გამოვიდა. შემოდგომის ჩახჩახა დღე იყო. სკოლისკენ გაემართა, იგრძნო, რომ შვილი მონატრებოდა, ისიც იგრძნო, რომ რაღაც ტვირთი მოიცილა. თემური რომ წავიდა თავის დავთრით «იმათთან», მიხვდა, რომ თემურის ბედი თითქოს ნაკლებად ანაღვლებდა, ისე სურდა იმ ჭირისგან თავდახსნა. ჩვეულებრივად, ადამიანური ცხოვრება უნდოდა, უშფოთველი, თუნდაც მდორე და მოსაწყენი, ოღონდ ეს აბსურდი დასრულებულიყო, სოდომური იგავისა და ვახტანგ ახურებულის წიგნის თანხლებით რომ მიმდინარეობდა. კი არ მიმდინარეობდა, ერთ ადგილს ტკეპნიდა, ბზრიალებდა, ბრუნავდა, ახალ-ახალი კუთხიდან წარმოჩინდებოდა, ქრებოდა, ისევ გამოაჩენდა თავის საშინელ ხელს, ყველაფერს არევ-დარევდა. მე დედა ვარ და სიმშვიდე მინდა, სიმშვიდე და მეტი არაფერი. მხოლოდ სიმშვიდე რომ საკმარისი არ იყო, მშვენივრად იცოდა, რადაგნ გამოცდილი ჰქონდა, ხანგრძლივი სიმშვიდის მერე მძიმე მელანქოლიაში ვარდებოდა და მოძღვართანაც იმიტომ დადიოდა დროდადრო. რა შეიცვალა: ახლა ბანკის ნაპრეზიდენტალის ცოლია, ადრე ბანკის პრეზიდენტის ცოლი იყო, უფრო ადრე კი ერთი რესპექტაბელური ფინანსისტის მომხიბლავი მეუღლე.

თემურის ცოლის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ქმარი სკოლასთან შეეჩეხა – გვერდზე გაიხმო და გაოგნებულმა ჰკითხა: უკვე იყავი?! თემური არსადაც არ ყოფილა, ცოლს აუხსნა, რომ შინ დაბრუნდებოდა და თავის კეთილმოწყობილ სარდაფში ჩაიკეტებოდა. შენ უნდა თქვა, რომ დავიკარგე, აღარ გინახივარ, თუ გინდა, გამომიტირე თვალის ასახვევად. შენ გეცოდინება, რომ სარდაფში ვიქნები.

ცოლი: როდემდე გაგრძელდება ეს კატათაგვობანა?! მიგეტანა ეს დავთარი და ყველაფერი დამთავრდებოდა, ყველაფერი მორჩებოდა, სამუდამოდ დავისვენებდით. რამდენ წელს დაიძალეები?! ხომ იცი, არ მოგეშვებიან?!

თემური: არჩევნებამდე იქ ვიქნები. ვილაც კურასპეტისანი თექვსმეტი წელი იძალეობდა, მე რამდენიმე კვირას ვერ გავუძლებ?! იმათთან რომ მივიდე, ხომ იცი, ჩამსვამენ ან მომკლავენ. თვითპატიმრობა არ მირჩევნია?! ჩავჯდები ჩემს სარდაფში და იქ ვიქნები. დამდამობით საჭმელს ჩამომიტან ისე, რომ არ შეგნიშნონ, ეს არის და ეს. მერე ხელისუფლება რომ შეიცვლება, უცბად მოვევლინები ქვეყანას ჩემი დავთრებიანად, თავსაც ვიმართლებ და ამით გადავრჩები. სხვა ვარიანტი არ არსებობს, უკეთეს შემთხვევაში, ჩამაყუდებენ. იმ ფოტოპირებსაც ვერ გამოვიყენებ, იმასაც წავგართმევენ, შეიძლება, თქვენც რამე მოგწიონ. თავს დავიპატიმრებ, მორჩა და გათავდა. თვითონ ჩავჯდები საკუთარ დილეგში. – ცოლს ხმა არ ამოუღია, სადაც გინდა იქ ჩამვერიო, ჩაილაპარაკა და ბავშვის საკლასო ოთახისკენ გაემართა.

თემური სწრაფი ნაბიჯით გამოვიდა სკოლის შენობიდან, შიშობდა, ბავშვს არ შეფეთებოდა, უნდა გაესწრო, ხალხის ნაკადს შეერია, მერე მეტროში ჩამვრა. ქალაქი სავსე იყო ვახტანგ ახურებულის პერსონაჟებით, მიხვდა, რომ ამ წიგნის კითხვის გაგრძელებას აზრი აღარ ჰბონდა. ავტორს პირწმინდად გადაეწერა ყველაფერი, რაც ამ ქალაქში ხდებოდა – ნარცისთა საბჭოში თუ ხავსის შემგროვებელთა კავშირში, პარლამენტში თუ მთავრობაში, ქუჩებში თუ ბინებში, მანქანებში თუ ბაზრობებზე. ეს ნამდვილად ახალი სოდომი იყო თავისი სიბილწით, სიცრუით, ურწმუნოებით, პარვით, ჩაშვებით, სისხლის აღრევით, სიხარბით, უწმინდურობით. გაუკვირდა, რომ ეს ქალაქი ჯერ არ დანგრეულიყო, გეჰენიას არ შთაენთქა, არ აღეგავა პირისაგან მიწისა ყველა და ყოველივე. გვიან დამემდე მეტროში იმოგზაურა. დამის პირველი საათი ხდებოდა, თავის სადგურიდან რომ ამოძვრა და შინისაკენ გაემურა ქურდულად, ფრთხილი ნაბიჯით. მთავარი იყო, სახლამდე შეუმჩნევლად მიედწია, კარი გაეღო და გაუჩინარებულიყო სარდაფის სიბნელეში. იქ ვედარავინ მიაგნებდა. გზად არავინ შეჩეხებია, მეზობლებს ან ეძინათ, ან ტელევიზორთან მიჯაჭვულიყვნენ ისევე, როგორც ყოველ დამით. სიბნელეში ძლივს მოარგო გასაღები, გადასწია და საკუთარი დილეგის კარიც გაიხსნა. ფრთხილად შეაბიჯა თავის ოროთახიან, კეთილმოწყობილ სარდაფში. სარდაფიდან სახლში, რადგან პირველ სართულზე ცხოვრობდა, საიდუმლო კიბით შეიძლებოდა ასვლა, მაგრამ კიბის თავზე არსებული მალული კარი ხალიჩით იყო შენიღბული, ხალიჩაზე პატარა მაგიდა იდგა, მაგიდაზე ხელოვნური ყვავილებით სავსე ლარნაკი. ასვლა რომ მოენდომებინა ზევით, ვერ ავიდოდა. ზედა კარი იატაკზე იყო ამოჭრილი და ხალიჩის ქვემოდან ირაზებოდა. ამ სარდაფის შესახებ არავინ არაფერი იცოდა, გარდა იმ ხელოსნებისა, ორი წლის წინ რომ არემონტებდნენ ამ სარდაფს. ონკანი, საპირფარეოში, ორი საშუალო ზომის უფანჯრო ოთახი საპაეროებით, კედლის განჯინით, თაროებზე ღვინით სავსე ბოცებით და წიგნის პატარა კარადით და რაც მთავარია, სეიფით, განჯინის სიღრმეში რომ მარჯვედ ჩაემონტაჟებინათ კედელში. აქ, მართლაც შეიძლებოდა რამდენიმე წელი ეცხოვრა კაცს ისე, რომ არც ეფიქრა, რა ხდებოდა ზევით, დღეა, ღამეა, წვიმს, ვინ სად ან რატომ მიდის, მით უმეტეს, ვისთან მიდის, ვინ მოკვდა, ვინ დაიბადა,

რატომ მოკვდა, რატომ დაიბადა, რომელი მინისტრი მოხსნეს ან დანიშნეს, მოუხსნეს თუ არა სადეპუტატო იმუნიტეტი კაგებევას, მიიღეს თუ არა ლუსტრაციის კანონი, ვინ ელის თავის უკვდავებას მომავალ საუკუნეებში, იმ საწყალი პოეტივით – საკუთარი უკვდავების რომ სჯერა, ბორხესს ეეჭვება, ამას სჯერა, სულის უკვდავების სჯერა. ღმერთმა ხელი მოუმართოს. ყველა მართლმორწმუნე უარყოფდა საკუთარი პერსონის გამოჩინებას, ფარისევლურ განდიდებას. ამას კი სჯერა. «ნეტარ არიან მორწმუნენი».

ცოდვია ღმერთმანი. იმ მეომარმაც ხომ მხარზე ხელი უტყაპუნა შექსპირს «უილიამო?» პირდაპირ მიმართავდა, როგორც თანაკლასელს, ან როგორც უმცროს ძმას, ხანდახან პურზე, ან სხვა წვრილმან საქმეზეც რომ აგზავნიან.

აქ აღარ ჩამოაღწევს არაფერი და არავინ. რამდენიმე კვირას როგორ ვერ გავძლებ, ვიქნები ჩემთვის, სანთელი მაქვს, ლამპაც მაქვს, შუქი რომ იქნება, შუქს ჩავრთავ, გარეთ ერთი წვეთი სხივი არ გააღწევს. წიგნის კარადაში, ძირითადად, საშიში წიგნები უწყვია, სწორედ ისეთი, რომელთა ზემოთ კითხვასაც აზრი არ ჰქონდა, ემინოდა კიდევ მათი წაკითხვის, პრაგმატულად მოაზროვნე ფინანსისტზეც მძაფრ ზეგავლენას ახდენდნენ. ამიტომაც, ადგა ერთ მშვენიერ დღეს და სარდაფის ბიბლიოთეკა შეადგინა, ყველაფერი იქ ჩაზიდა. ამ წიგნებს ბავშვსაც უმაღავდა, არ წაიკითხოს და არ გადამერიოსო. ახლა სხვა რა გზა ჰქონდა – «მითოლოგიური ლექსიკონით» დაიწყებდა, «მსოფლიოს ხალხთა მითებით» გააგრძელებდა, იქვე იყო შტაინერის ათამდე სხვადასხვა წიგნის თარგმანი, შურე, მკვდართა წიგნი, შოპენჰაუერი, რენე გენონი, ინდური ფილოსოფია და ეპოსი, უპანიშადები, შავი მაგია, წიგნი სპირიტუალიზმის შესახებ, კრიშნაიტები, ვივეკანანდა, ლაო ძი, კონფუცი და ვინ იცის, კიდევ რაღა არ იყო. აქვე იყო მამამისის ჩანაწერები ლურჯ საქალაქში ჩაპრესილი, სქელი მტვერი რომ ედო. თემურმა ჯერ ასანთი გაჰკრა და ლამპა აანთო, იფიქრა, შუქი რომ ჩავრთო, სადმე ჭუჭრუტანა არ იყოს და სხივმა გარეთ არ გაჟონოს, არ გავიყიდო. მერე მამამისის მტვრიან საქალაქში საჩვენებელი თითით ორი სიტყვა დაწერა: «მე მოვედი» – თვითონ არ იცოდა, სად და რამდენი ხნით, ან ვისთან მოვიდა, მაგრამ რაღაც იდუმალი ძალა იგრძნო, ისეთი ძალა, ადრე რომ არ განუცდია, რაღაც არაღვთაებრივი იყო ამ ძალაში, ან იქნებ ღვთაებრივიც – ადამიანურს კი ნამდვილად აღემატებოდა. როგორ იტკეპნება დრო, მიწდება და იტკეპნება, ყველაფრის «მშთანთქმელი დრო თავის თავს შთანქავს», ალბათ რომელიღაც «ზღვარზე დრო აღარ იქნება»... ამიტომაც ამბობენ, რომ «სიკვდილი უკანასკნელი არსებაა, რომელიც მოკვდება».

მამის ჩანაწერებით ადრე არ დაინტერესებულა, ერთხელ კი გადაჰკრა თვალი, მაგრამ ვერაფერი გაიგო, მერე ადგა და სარდაფში ჩაიტანა «საშიშ» წიგნებთან ერთად ანუ ისეთ წიგნებთან ერთად, რომელთაც შეეძლოთ ადამიანის გადასხვაფერება, შეცვალა, საშიშად გაღრმავდება. ახლა ხარბად კითხულობდა: «იქ, სადაც თანმიმდევრობა აღარ არის, აღარც სიკვდილია შესაძლებელი, თანმიმდევრობა გადაიქცევა ერთდროულობად, ე.ი. დრო სივრცედ გადაიქცევა. უკანასკნელ ჟამს მოხდება «შემობრუნება» დროის საწინააღმდეგოდ და სივრცის სასარგებლოდ. მაშინ, როცა დრომ უნდა შთანთქმას სივრცე, პირიქით, სწორედ სივრცე ჩაყლაპავს დრო-ჟამს. დრო არა მარტო სივრცეს, არამედ თავის თავსაც კუმშავს. ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა თანდათან კლებულობს, ეს იმიტომ, რომ დღეს ადამიანები უფრო აჩქარებულად ცხოვრობენ, ვიდრე ოდესმე. სიჩქარე, თანამედროვენი რომ ყველაფერში იჩენენ, იმის შედეგია, რომ ისინი ყრუდ განიცდიან დრო-ჟამის აჩქარებას. «თავის უკიდურეს ზღვარზე დროის შეკუმშვა დასრულდება საბოლოოდ

მისი დაყვანით ერთადერთ წამამდე და მაშინ ხანგრძლივობა შეწყვეტს არსებობას, რადგან ცხადია, რომ წამში წარმოუდგენელია რაიმე მიმდევრობა». «შთანთქმელი დრო თავის თავს შთანთქავს»... «მთელი ჩემი არსებობა, დაბადებიდან დღემდე, ერთი დატკეპნილი დროა», დრო, რომელმაც თავისი თავი შთანთქა ჩემთან ერთად. მეც საკუთარი თავის შთანთქმელი ვარ, იმ დროის შთანთქმელი, ოდესღაც რომ მეჩვენებოდა, თითქოს ჩემი იყო. იგი პირობითად იყო ჩემი და მხოლოდ მანამდეა ჩემი, ვიდრე ერთიანად არ დამტკეპნის, თვითონაც არ დაიტკეპნება, როგორც მილიონების მიერ ჩავლილი გზა სადღაცაიდან სადღაცამდე, ერთი წერტილიდან მეორე წერტილამდე, იმ ერთადერთ წამამდე დაყვანილ აწმყოში, სადაც ყველაზე ბოლოს «სიკვდილი» კვდება.

ფინანსისტს აღარაფრის ემინოდა – მამისეულ ხელნაწერებსა და წიგნებში ჩაფლული რაღაც შვებას კი გრძნობდა ამ სტრიქონების კითხვისას: «სად მიდის ეს გზა?! მხოლოდ იქით, საითკენაც იგი მიდიოდა დასაბამიდან. ოღონდ რიტმია უფრო აჩქარებული, ჩვენ ხომ ყველაფერს სხეულებრივი შეგრძნებებით ვზომავთ, ვწონით, ვრწყავთ, განვსჯით, ის ხელიდან გვისხლტება, რაც მთავარია, და ზედაპირზე არ ჩანს, თვალში არ გვეჩხირება, არ ტივტივებს ნაგავით. ის მთავარი თავისთვის მიდის, ჩვენ ჩვენთვის, მაგრამ დრო მაინც ყველაფერს ტკეპნის, მეხსიერებაში ტკეპნის – «დრო თავისი თავის შთანთქმელი» და რადგან ჩვენ ამ დროში ვცხოვრობთ რეალურად თუ პირობითად, სიზმარ-ცხადის მსგავს ბურუსში, ჩვენც იმ დროში ვიწწნებებით, საკუთარ მეხსიერებას ვტკეპნით, დავიწყების ჭაში ვძირავთ, აღარ ვიხსენებთ, აღარც ისინი გვიხსენებენ, საბედნიეროდ, ვინც ჩვენში ჩაილექა, ჩაიშალა, ჩვენს დროში ჩვენში ვინც ერთხელ შემოცურდა; ზოგჯერ ისინი გვიხსენებენ, უნებლიეთ, ჩვენი ნება-სურვილის გარეშე, უცებ გამოჩნდებიან და ქრებიან, გამოჩნდებიან და ქრებიან, მიგვანიშნებენ, რომ დაწნეხილი დრო უთვალავ უხილავ შრეს შეიცავს და ეს ის შრეებია, დრომ რომ საკუთარ თავს წაართვა, გულდასმით დატკეპნა საკუთარი არსებობა თუ არარსებობა. არარადაც აღმოცენებული ისევ არარაში ჩაბრუნდება, იმ უცნობ არარაში, საიდანაც კაცობრიობამ წამოჰყო ოდესღაც თავი, მხოლოდ იმიტომ, რომ ისევ იქ ჩაბრუნებულიყო, მტვრადქცეული, ამოწურული, გამოფიტული; ერთი რამით რომაა აღსავსე – მხოლოდ გულგრილობით, გულგრილობით და კიდევ გულგრილობით – ჩვენ მიმართ, ვინც ერთმანეთს ვებრძვით, ვამოწმებთ, ვტკეპნით, ვხოცავთ, ვანადგურებთ იმ დროსთან ერთად, ჩვენ გარეშე, ჩვენს დაუხმარებლად რომ ახერხებს ყველაფერს. დრომ აგვიყოლია და ჩვენც მივდევთ, არც ვკითხულობთ საით მივდევთ, რა გვინდა, საით გვეჩქარება, რატომ გვძულს ერთმანეთი, რას, ვიხვეჭთ, რამდენი ხნით, ვისთვის ვაგროვებთ ან როგორ წამოვყავით თავები არარადაც, როგორ ამოვალწიეთ. ნუთუ იმიტომ, რომ ისევ იქ დავბრუნდეთ თითო-თითოდ, უკლებლად, უმისამართოდ, უკვალოდ, უნუგემოდ. იმ «დიდ კედელში», ჩვენს სამყაროს რომ აკრავს და რომელიც «ქვენა სუბტილური სფეროს ბნელ ძალთა შემოტევისაგან» გვიფარავს, რა ხანია გაჩნდა «ბზარები». ამ ბზარებიდან შემოიჭრებიან წუთისოფლის დასასრულს გოგისა და მაგოგის გამანადგურებელი ძალები, მუდამ რომ ცდილობენ ჩვენი სამყაროს დაჰყრობას. ისინი ახერხებენ პირმორღვეული დიდი კედლების ბზარებიდან ჩვენს სამყაროში შემოღწევას. «ქვესხეულებრივი სუბტილური ძალები» ანადგურებენ სამყაროს. მათ უკვე დაიმორჩილეს კაცობრიობის უდიდესი ნაწილი. ისინი გვიბიძგებენ სიჩქარისკენ, სულის სიმშვიდეს თრგუნავენ, სინანულს უარყოფენ, თვითგანადგურებისთვის გვიმეტებენ. კაენის ცოდვა აბელის შურისძიებას მოელის.

ჩვენი ცხოვრება ახელის შურისძიებითაა აღბეჭდილი, ანუ კაენის ცოდვით, რომელნიც ერთმანეთზეა გადაჯაჭვული და რომლის გაგლეჯაც არავის ძალუძს.

«შიშია ჩემი არსებობის საყრდენი». აქ სივრცე შეზღუდულია, სამაგიეროდ, დრო თავზესაყრელადაა, დრო თავისი თავის მტკეპნელი, დრო თვითმკვლელი, დახშულ სივრცეში მიმდინარე დრო. «მეტაფიზიკური არარსი არის უზენაესი რეალობა» და არის სიზმარ-ცხადი, რომელშიც ვცხოვრობდი იქ ზევით, უზარმაზარ კაბინეტში, ეროვნული ბანკის შენობაში, ნარცისთა საბჭოს სხდომებზე, ამ უაზრო დავთრის მაძიებელ გაცოფებულ არსებათა შორის, დაკნინებული, დამიწებული ყოფიერების ფსევდოაღმწერელთა ნაბჟუტურებში. იქ სხვა დროა, ან სულაც არაა დრო, მხოლოდ ეგაა, რომ თენდება და ღამდება, თენდება და ღამდება, ქალაქი პატარავდება – იზრდებიან სასაფლაოები, კომმარული სისწრაფით, იზრდებიან სასაფლაოები, ქალაქს შთანთქმით ემუქრებიან. დრო შთანთქავს ამ ქალაქსაც, ახლობლებს და შორებლებს, შინაურებს და უცნობებს, ყველას, ვისაც ჰგონია, რომ სადღაც მიდის ან ვინმესთან მივა, რაღაცას გაყიდის, მერე იყიდის, სინამდვილეში ვერც ერთი მათგანი ნაბიჯსაც ვერ გადადგამს, მათ ეჩვენებათ რომ მოძრაობენ, გადაადგილდებიან, მათ ეჩვენებათ რომ არსებობენ, ისინი არსებობენ არარსის საშოში დასაბრუნებლად. ეგ არის და ეგ. მხოლოდ «თვითობაა უცვალელებელი, ყოვლადადმატებული საწყისი, რომელიც თავისთავად არსებობს, სწორედ მისით არსებობს არსების ყველა მდგომარეობა. თვითობას თავისი მთლიანი და განუყოფელი ბუნების ერთიანობაში არა აქვს და არ შეიძლება ჰქონდეს რაიმე გარეშე საწყისი». «პიროვნულობა იგივე თვითობაა, ოღონდ ერთ არსებასთან მიმართებაში განხილული. მხოლოდ პიროვნულობაა ნამდვილი არსება, რამდენადაც ის მისი მუდმივი და განუპირობებელი მდგომარეობაა. ეს არის არსების ონტოლოგიური შუაგული – «მდოგვის მარცვალი», ღვთაებრივი ჩანასახი, რომლის გაშლა-განვითარებით მოკვდავი უკვდავებით იმოსება. მხოლოდ თვითობა – პიროვნულობა არის აბსოლუტურად რეალური. ყველა დანარჩენი იმდენადაა რეალური, რამდენადაც რაიმე მისეული აირეკლება.» რასაც ჩვენ ავირეკლავთ, რეალურობაც არეკლილი საგნიდან იმავეს იძენს. უზენაეს არსებობასთან შედარებით ამგვარი არსებობა ილუზორულია. «მე უკვე აღარ ვცოცხლობ, არამედ ქრისტე ცოცხლობს ჩემში». პავლე მოციქულის ეს სიტყვები გაახსენდა ფინანსისტს და თვალი ღამპას გაუშტერა. ნავთი თავდებოდა. როგორც იქნა, დათრგუნა შიში და შუქი აანთო, ჯერ ნათურას ძველი გაზეთი ჩამოაცვა, მერე ჩართო შუქი. თვალი მოჭუტა და თანდათან გაახილა, მკაფიო სინათლეს რომ შეგუებოდა. განჯინა გამოაღო და თვალი ღვინის ბოცისკენ გაექცა. სამლიტრიანიდან არაჟნის სუფთა ქილაში ჩამოასხა, ჯერ დაყნოსა, მერე მოწრუპა, დააგემოვნა და სიამოვნებით გადააჰკრა.

კიბის თავზე ჰერმეტულად დახურული კარი გაჩხაკუნდა, მერე ნაბიჯის ხმა შემოესმა, ცოლმა კიბე ჩამოათავა და შეშინებული ქმარს მიაშტერდა.

თემური: რომელი საათია?!

ცოლი: ღამის სამის ნახევარი იქნება.

თემური: ცოტა მომზივდა, ხომ არაფერი ჩამოგიტანია?

ცოლი: აი, ყველაფერი ამ ცელოფნის პარკშია. აქ როგორ უნდა დაიძინო?

თემური: ამ ძველ ტახტზე მივწვები, რამე წასაფარებელსაც თუ ვიშოვით, საქმე აეწყობა.

ცოლი: «ადიელა» და ბალიში ტახტშია, თავს ახდი და ამოიღებ!

თემური: შენ რა, გეშინია?!

ცოლი: ცხრაჯერ დამირეკეს, გამწარებულები გეძებენ, რომ ვუთხარი, \_ სახლში არ მოსულა-მეთქი და ლამის ავტირდი, მთლად გაცოფდნენ, მერე აქეთ დამიწყეს დამშვიდება. ნუ გეშინიათ, აუცილებლად ვიპოვითო. ბოლოს ვინც დარეკა, ასე მკითხა: ქალბატონო, თქვენ ხომ არ იცით, სოდომი რომელ რაიონშიაო?! კინალამ სიცილი ამიტყდა, ძლივს შევიკავე თავი. ვუთხარი, რომ სოდომი ძველი აღთქმის ქალაქია, ავუხსენი, რომ შენი ფანტაზიის ნაყოფია და რეალობაში არ არსებობს მრავალი საუკუნეა. ამაზე მთლად გაგიჟდა: მთელი ვანის რაიონი გადავატრიალეთ და ვერც სოდომი და ვერც აბრაამი ვერ ვიპოვეთო. ეგ ვის აშაყირებსო. მერე იმანაც დამამშვიდა, შორს ვერ წავიდოდა, სადმე აქ იქნებაო. შენი ნათესავები სათითაოდ დაუკითხავთ. ბოლოს მეც დამემუქრნენ \_ თუ მისი ასავალ-დასავალი იცით, თქვენთვის აჯობებს გაგვიმხილოთო. თუ ხმას მიაწვდნენ, ისიც უთხარით, შენს ძმას აქ ჩამოვათრევთ და დავაპატიმრებთ, დაპატიმრების მიზეზს ჩვენ მოვუძებნითო. თუ ამანაც არ გაჭრა შვილი მაინც შეიბრალოს მაგ უბედურმაო.

თემური: შვილი, ძმის დაპატიმრება...

ცოლი: ხვალ ბავშვს სკოლაში აღარ გავაგზავნი, მეც სახლში დავჯდები, მაგათგან ყველაფერი მოსალოდნელია.

თემური: ჩემს ძმას რითი ვუშველო?! იქნებ დაურეკო და გააფრთხილო?!  
ცოლი: რას ამბობ?! ალბათ ჩვენს ტელეფონს უსმენენ. ისე, იმ კაცმა ხუთი დღის ვადა მოგცა, თუ ხუთ დღეში არ გამოჩნდება, მერე დავიწყებთ აქტიურ მოქმედებასო!..

თემური: ხომ არ მიხვდი, ვინ იყვნენ, ისინი თუ პარტიელები?! თუმცა ორივე ერთი ჭირია. იქნებ ჩემი ბიძაშვილი ვახტანგი ნახო ხვალ და მისი მეშვეობით ჩემს ძმას შეატყობინო, რომ დროებით გაერიდოს იქაურობას.

ცოლი: შვილზე სულ არ დარდობ?!  
თემური: ვერ გაბედავენ, დედაშენთან გაგზავნენ, იქ იყოს დროებით, ცოტაც მოვითმინოთ. იქნებ არჩვენებამდე მივაღწიოთ.

ცოლი: არ ვიცი, ბავშვს რომ რამე დაემართოს, რას ვიზამ. მომეცი და მე თვითონ წავიღებ ორივე დავთარს იმათთან. თან ვეტყვი: ცამ ჩაგყლაპა თუ მიწამ, არ ვიცი, თვალითაც არ მინახავხარ.

თემური: ჯერ მოვითმინოთ. არჩვენებამდე ცოტა დრო რჩება. მალე მაგათ ჩემთვის აღარ ეცლებათ. დროა ყველაფრის შთანმთქმელი, უპირველეს ყოვლისა, თავისი თავის და შიშია ჩემი არსებობის საყრდენი.

ცოლი: გოგონასაგან პირი დაალო, ასეთი მაღალფარდოვანი ფრაზები არასოდეს სმენია ქმრისგან. ბანკიდან მობრუნებული მუდამ სიტყვაძუნწი იყო, ჩვეულებრივი ქართულით მეტყველებდა. ახლა მოეჩვენა, რომ მის წინ არქივარიუსი იჯდა, რომელსაც მანამდე თემური ერქვა, უფრო ადრე კი ლოტი, ანუ ის კაცი, რომელიც ავარიის შემდეგ ღრმა ამნეზიაში იმყოფებოდა. ცოლმა კიბე აიარა, ღრიჭოდ დატოვებული კარი მაღლა ასწია, მერე ფრთხილად დაუშვა ძირს. თემურს ესმოდა, როგორ გაშრიალდა ხალიჩა, მერე მაგიდის და მაგიდაზე დადგმული ლარნაკის ხმაც გაიგონა, ყრუდ, მაგრამ მაინც გაიგონა. რატომღაც ისევ მშობლების საფლავი გაახსენდა. მამის სახე ვერაფრით აღიდგინა, დედა კი სულ თვალწინ ედგა, ნაღვლიანად გაღიმებული, სულ მისკენ მომზირალი. სულ მისი სიტყვები ჩაესმოდა ყურში: დარჩი ცოტა ხანს, ერთად ვისადილოთ, მერე წადიო. თემური ჩქარობდა, სულ ჩქარობდა. სადღაც აგვიანდებოდა, არ ეცალა, გარბოდა. მამის სახეს რატომღაც ვერ იხსენებდა, მხოლოდ მისი მზერა ედგა თვალწინ, როცა საავადმყოფოში წაიჭურჩულა: ის ვარსკვლავი მე მიყურებს, ჩემი წაყვანა უნდა, ფარდა გადასწიეთო. მამა ხელმეორედ აღმოაჩინა იმ მტვრიან საქალაქში, წელან რომ კითხულობდა.

არქივარიუსმა ცელოფანიდან მაგიდაზე ცოლის ჩამოტანილი საჭმელი ამოალაგა, ღვინო ისევ ჩსამოასხა და ჭამას შეუდგა. მადიანად შეექცეოდა. შვილის ხელის ხლებას ვერ გაბედავენ, აი, ჩემს ძმას კი, არ ვიცი, რა ეშველება?! ვახტანგი გააფრთხილებს და წავა სადმე, გადაიკარგება, ბათუმშიც ვერ ახლებენ ხელს, იქ ხომ საუბედუროდ სხვა ქვეყანა შეაკოწიწეს. ვინ იცის, ვინ არის მართალი. იქნებ მეც ბათუმში გავქცეულიყავი ჩემი დავთრებიანად?! არა, ვერც იმათთან გავძლებ, ისინიც კარგები არიან, მოსკოვთან შეკრულები, უბედური პროკლეს მეკავშირეები, აგენტები, სტომაქის მონები; არა, იქ სხვა ქვეყანა შეაკოწიწეს. «როშ», რომ», ეს სიტყვა აეკვიატა, «მსოფლიოს ხალხთა მითები» გადმოიღო, სიყმაწვილეში ერთობოდა ამ წიგნით, მაგრამ «როშ» რომ «გოგსა და მაგოგს» უკავშირდებოდა, კარგად ახსოვდა. საჭმელს თავი ანება, ნახევარი ქილა ღვინო ისევ მოწრუპა და წიგნი გადაფურცლა, მონიშნული ადგილი იოლდად იპოვა, გადაიკითხა, გაიხსენა: ეზეკიელთან გოგი მთავარია მაგოგის მიწებისა, კერძოდ, რომი-სა, მეშექი-სა და თუბალი-სა, რომელიც გაიგივებულია მტრულ მომთაბარე ჩრდილოეთთან. მრავალ ეტიმოლოგიურ ვარაუდს შორის – ქვეყნის სახელწოდება მაგოგი მომდინარეობს აქადურიდან. ეზეკიელის მიხედვით, გოგი ასოცირდება ლიდის მეფესთან, მაგრამ იუდაისტური სწავლება ელინიზმისა და რომის იმპერიის დროინდელი – მაგოგს აიგივებს სკვითებთან, ზოგჯერ მიდიელებთან, ან პართებთან, ბიზანტიელები კი თავად «როშს» აღიქვამენ რუსებად («ROS» – ბერძნული ტრანსკრიპცია: ROS). «როშის», «როსის» – რუსის მთავარი. მაგოგიც იაფეტის ძეა ძველი აღთქმის მიხედვით.

ცრუ წინასწარმეტყველებით თავის შექცევა არ ღირს, მაგრამ ნაღდად ჩრდილოეთიდან მოდის ეს ბოროტი ძალები, მოისწრაფვიან, ყოველივეს შთანთქმას ლამობენ. ძველ ვერსიებს თუ გავითვალისწინებთ, სად არიან, ან რა ძალა შესწევთ პართებს, მიდიელებს, თუბალებს – არავითარი, სკვითები და თათარ-მონღოლები კი რუსებთან ისეა შეთქვეფილი, რომ ეს შედარებით ახალი ერი დიდი აგრესიის მატარებელია, მთელი უბედურება ჩრდილოეთიდან მოვა სისხლით და მახვილით, მაგრამ ბოლოს ისიც დაილეწება უფლის ნებით, აღიგვება მიწისაგან პირისა, საბოლოოდ განადგურება. «და მესამე ანგელოზმა ჩაჰბერა, და ჩამოვარდა ზეცით ლამპარივით მოელვარე ვეება ვარსკვლავი, და დაეცა მესამედს მდინარეთა და წყაროებს წყალთა. და სახელად ვარსკვლავისა ითქმის აბსინთი, და წყლის მესამედი აბსინთად იქცა და მრავალი კაცთაგანი ამოწყდა წყალთაგან, რადგანაც მწარენი გახდნენ (გამოცხადდება). «პოლინ» იგივე აზინდაა – ოღონდ ბალახის სახელია, ამ ბალახს სხვაგვარად «ჩერნობილ»-ი ჰქვია. რა საერთო აქვთ ვარსკვლავს და ბალახს გარდა მსგავსი სახელებისა და რაღა იქ მოხდა უდიდესი კატასტროფა, რომელ ადგილსაც ჩერნობილი ჰქვია. არქივარიუს-ფინანსისტი შეძრა თავის აღმოჩენამ. აღარ შეუდგა «ჩერნობილის» შინაარსობრივ თარგმნას, მისი «ბუკვალური» მნიშვნელობის ძიებას. რაღაც ავის მიმანიშნებელი იგრძნო და ცივმა ოფლმა დაასხა. ბოლომდე არ სჯეროდა თავისი «აღმოჩენის», ერთი კი იფიქრა, ცოლს დავაბარებ, იქნებ მოძღვარმა აუხსნასო, მაგრამ გადაიფიქრა. საიდუმლო საიდუმლოდ დარჩეს. ამგვარი მისტიკა ყოველთვის აეჭვებდა თემურს, თუმცა ისიც იგრძნო, ეჭვი როგორ გაეფანტა და სინამდვილედ იქცა. ვის მოუწყვები, ვერავის; მოუწყვები და სულელად ჩამთვლიან. მთავარია წარმოსახვითი სივრცე გავიფართოო, ეს კედლები ხომ პირობითად ზღუდავენ თვალსაწიერს. უფრო შორს შეიძლება გახედვა, მაგრამ უფრო შორს წყვდიადია ანუ უსასრულო სივრცე და დროჟამი, სადაც საყრდენი მხოლოდ შიშია, შიში უკანვე რომ მაბრუნებს და ჩემს სხეულში მირჩევს ყოფნას, ამ რეალობის ტყვედ ყოფნას, მონობას, დაკნინებულ პირობითობათა მორჩილებას, დუმილს, კაცთა

ცხოვრების წესების გაზიარებას, რაღაცის ქმედებას, ბოლოს რომ არაფერს ნიშნავს, სრულიად არაფერს, გარდა ადამიანური ყოფის სხვა არსებობად გარდასახვისა. ამ გარდასახვის შესაძლებლობას თუ უფრო ვირწმუნებ, შიში გაქრება და თვითობის მნიშვნელობა გაიზრდება, ამალდება, განათდება, უარყოფს მოწუწუნე მე-ს და შევიგრძნობ თავისუფლებას, მიწიერ ყოფას რომ აღემატება.

პირველად მოენატრა ხმის გამცემი. გარედან ყრუ ხმები კი აღწევდა, მაგრამ ძლივს გასაგონად, დახშულად, თუ არ მიაყურადებდი, ვერც გაიგონებდი. იჯდა უსასრულო მდუმარების ფსკერზე მარტოდმარტო, დაბნეული, ძველი წიგნებიდან და მამის ხელნაწერებიდან ამოკენკილი ინფორმაციით და აღარ იცოდა, რა ექნა, ისევ წიგნები ექექა თუ დაეძინა. ეს ის ადგილი იყო, სადაც არასდროს არც გათენდებოდა და არც დაღამდებოდა, ცოლის გარდა არავინ ესტუმრებოდა, დილით ჩიტების ჟივილ-ხივილი აღარ გააღვიძებდა, ვერც შვილს მოეფერებოდა, ცოლიც სადღაც იყო ზევით, საკუთარ შიშში ჩაფლული, გათქვეფილი, თავმოებურებული ყველაფრით, რაც ამ ბოლო დროს ხდებოდა. დაღლილობა იგრძნო, მაგრამ ჯერ კიდევ საკუთარი აღმოჩენის, უფრო სწორად, მამის ხელნაწერებსა და მითითებულ ლიტერატურაში ამოკითხული ინფორმაციით შეძრული, რომელიც კი არ აახლოებდა, უფრო ამორებდა, წყვეტდა იმ ყოფას, ზევით რომ იყო გამეფებული, ადამიანებს რომ აკავშირებდა ცრუ ვნებათაღელვით, არჩევნების მოლოდინით თუ ფულის შოვნის ჟინით, სიყვარულით და სიძულვილით, ერთმანეთის გაწირვის თუ მეგობრობის სურვილით. გამოსავალი ერთი იყო, თვითონ უნდა დაეყო ოცდაოთხი საათი რაღაც მონაკვეთებად. ერთი მონაკვეთი ფიქრისთვის დაეთმო, მერე კითხვისთვის, მესამე წერისთვის, მეოთხე ძილისთვის, თუმცა დრო თავზესაყრელად ჰქონდა, ძილისთვის მაინც ვერ იმეტებდა: თავს სრულიად არ გრძნობდა თვითპატიმრობაში, ერთგვარად მოსწონდა კიდევ თავისი ახლებური ყოფა, რაღაც ახარებდა, მაგრამ ეს სიხარულიც შეიცავდა შიშის უხილავ ნამცეცებს, გულზე რომ ჩხვლეტდა დროდადრო – და წარსულისკენ ისე ახედებდა, როგორც დატკეპნილი გზისკენ, მილიონებმა რომ ჩაიარეს ხორხოციტ, სიცილ-კისკისით- ვაებით და ცრემლით, შემფოთებით თუ სიხარულით – ჩაიარეს აჩქარებულებმა, თვითონვე ვერ ხვდებოდნენ, რომ ეს აჩქარება, სისწრაფე, დროის გარბენის ჟინი – მისტიკური დროის მიერ თავსმოხვეული რიტმი იყო, ყველას სათითაოდ რომ შთანთქავდა და დატკეპნილ გზას დატოვებდა თავის ნაცვლად, ნიშნად იმისა, რომ აქ დრო იყო და იგი ადამიანებთან ერთად სადღაც გაიქცა, გადაიჩეხა, ან სულაც გაქრა უკვალოდ. დროის ბორბალი ვიდრე საპირისპიროდ დაბრუნდებოდა, ყველაფერი შეჩერდა – დრო ერთ წამს გაუთანაბრდა, ყოველგვარი თანმიმდევრობა შეწყდა და გაქვავდა, მერე ბორბალი შემობრუნდა და დაიწყო სხვაგვარი არსებობა, გარდასახვა, სხეულთა თანდათანობითი მიტოვება, არასხეულებრივი სიცოცხლე. ის ჯერ კიდევ სხეულში იჯდა, ფეხზე ეკიდა დავთვრები და მისი მაძიებელნი, თითქოს აღარც ცოლ-შვილზე ფიქრობდა ისე გამუდმებით, როგორც ადრე. რაღაც იცვლებოდა მის ფსიქიკაში. მამის ხელნაწერის კითხვა განაგრძო: «ის, ვინც კურთხეულია, მოკლულია; ის, ვინც ცოცხლობს, დაწყევლილია». თუ ასე ფიქრობდა, იმ ვარსკვლავის რატომ ეშინოდა, ალბათ სხეულიდან გასვლისა ეშინოდა, როგორც მოსალოდნელი ტკივილისა?! «ნიშანდობლივი ფაქტია, რომ ახლანდელი ფსიქოლოგია მხოლოდ «ქვეცნობიერს» ითვალისწინებს და არასოდეს «ზეცნობიერს», რომელიც ლოგიკურად მისი კოლერატი უნდა იყოს...» ეს გამოხატულებაა იმ ცალმხრივი გაშლა-განვითარებისა, რომელიც მხოლოდ ქვედა შრეებში მიმდინარეობს. ადამიანურ არსებაში და კოსმიურ გარემოშიც ეს შრეები შეესაბამება ბზარებს, საიდანაც სუბტილური სამყაროს ყველაზე

მავნე, ნამდვილად ჯოჯოხეთური ხასიათის ზეგავლენები შემოიჭრება. «ქვეცნობიერის სინონიმურ ცნებად იყენებენ არაცნობიერს. ეს ცნება კიდევ უფრო ქვედა შრეებს გულისხმობს. თუკი მართლა არაცნობიერია ის, რასაც ეს ცნება გულისხმობს, რანაირად შეიძლება მასზე საუბარი, მით უფრო ფსიქოლოგიური ტერმინებით. ფსიქოლოგები ფიქრობენ, რომ მდგომარეობა მით უფრო ღრმაა, რაც უფრო ქვემო შრეებს ეკუთვნის. განა ეს უკვე სწრაფვის ნიშანი არ არის? სიღრმე მხოლოდ სულიერებას აქვს, რადგან არსების საწყისსა და შუაგულს მხოლოდ ის ეხება», თამამად შემიძლია დავასკვნა, რომ ახალი ფსიქოლოგია აშკარად სატანურ ხასიათს ატარებს. ყოველგვარი ამოყირავება, თუნდაც გაუგებრობით და უმეცრებით გამოწვეული, თავისთავად ყოველთვის სატანურია. სხვათა შორის, ფსიქონალიტიკური ინტერპრეტაციების უმეტესწილად გულისამრევი ხასიათი – ამის უტყუარი ნიშანია».

თემურმა კედელზე ხოჭო შენიშნა, თავისთვის მილოღავდა, ჯერ გადაწყვიტა მოეკლა, მერე კი რატომღაც შეეზარა, გადაიფიქრა: იყოს, რას აშავებს – ზოგჯერ ამას მაინც დაველაპარაკები, როცა გამოჩნდება, ცხადია.

– ეი, ხოჭო, სად მიდიხარ? – ჩურჩულით ჰკითხა.

– ჩემს მატლებთან. ჩემს მატლებთანო, ასე მოესმა. მერე ხოჭომ კიდევ რამდენიმე სიტყვა ჩაილულლულა. ობობას ქსელში თუ არ გავები, ალბათ, სახლამდე მივალწევო.

თემური წამოდგა და დადარაჯებულ ობობას ხელი აუქნია, ის კი საკუთარ უხილავ ძაფზე დაეკიდა და სადღაც გაუჩინარდა. ხოჭომ გზა განაგრძო, მადლობის ნიშნად უღვაშები ააცმაცუნა და თავის გზაზე გადალოღდა. აქ ჩემ გარდა თურმე ვიღაცებიც ცხოვრობენ, თურმე მარტო არა ვარ, აქაც ვიღაცები არიან. მერე თავის ფხაჭუნიც შემოესმა, დაგებული ხაფანგი გაატკაცუნა, იყოს ეს თავი ცოცხალიო, გადაწყვიტა და ბოლთის ცემას მოჰყვა სარდაფში. ხოჭო, ობობა, თავი და მე, ფიქრობდა თავისთვის. მეც ხომ ერთი მათგანი ვარ, ოღონდ იმ სხვაობით, რომ ისინი არავითარ დავთარს არ ფლობენ, დამალვით კი ისინიც იმალებიან, მე მემალებიან, რატომ ეშინიათ ჩემი?! მე ხომ გადავწყვიტე, რომ არაფერს დავუშავებ, შეიძლება მივიჩვიო კიდევ, ხანდახან გამოველაპარაკები, ილუზიას შევიქმნი, ვითომ ვესაუბრები, მაგრამ რამდენად იქნება ეს ილუზია თუ მართლა შევეხმიანები?! რომელი საათია ნეტავ? მაჯის საათს დახედა, გაჩერებულიყო. ხუთ საათს უჩვენებდა, მაგრამ მან არ იცოდა, დღის ხუთი საათი იყო თუ ღამის. რომ გათენებულიყო, ცოლი ჩამოაკითხავდა. იქნებ არც ჩქარობს ჩამოკითხვას. იმდენი სურსათ-სანოვანე ჩამომიზიდა, რომ სამ დღეს თავისუფლად მეყოფა. ალბათ სამი დღე არ ჩამოვა. თვითონაც ეშინია, არ შენიშნონ, შემთხვევით არ გასცეს ჩემი ადგილ-სამყოფელი, უნებლიეთ არ ჩამიშვას. თუ ჩამოვა, ალბათ მხოლოდ შუალამით. ნეტა ჩემს ძმას თუ მიაწვდინეს ხმა, ბავშვი თუ გადამალეს სიდედრთან? სურდა თუ არა, ეს კითხვები ჩაეჭედა ტვინში, მერე ტახტზე წამოწვა, შუქი ჩააქრო და წყვდიადში ჩაიძირა.

### თემურის სარდაფული სიზმარი

დედა ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, იწვა თავის საწოლში ცნობიერებაწართმეული, ახლახან ექიმმა წვეთოვანიც გამოურთო. რომელიღაც რძალი ბაგეებს წყლიანი ბამბით უსველებდა. შე, საწყალო, ჩაილაპარაკა შვილმა. იქნებ წვეთოვანი არ უნდა გამოგვერთო, უარესად გახდა?! აღარ შეიძლება ამის მეტი წვალება, ქრისტიანები არა

ხართ, ნუღარ ტანჯავთ, აცალეთ, სული ამოუვიდეს. ოჯახის წევრები თადარიგს იჭერდნენ, მეზობლებს დაუძახეს, ისინიც მოცვივდნენ, შემოლაგდნენ. მომაკვდავ ქალბატონს დროდადრო გახედავდნენ და ჩვეულებრივად საუბრობდნენ.

\_ ალბათ, დილამდე ვერ გასტანს, \_ თქვა ერთმა.

\_ რა იცი, იქნებ გასტანოს?! \_ შეეპასუხა მეორე.

\_ სახლში სასახლის დასასვენებელი ტახტი გაქვთ?! \_ იკითხა პირველმა. \_ პირველყოვლისა, ასეთი ტახტია საშოვნელი და რაიმე ხალიჩა, ტახტს რომ გადავაფაროთ.

\_ ტახტი ჩვენ გვაქვს, \_ თქვა რომელიღაც მეზობელმა.

ჩვენი ხალიჩაც გამოდგება, გულში გაიფიქრა შვილმა და ცრემლი ძლივს შეიკავა.

\_ ძალი არ ყმუის, ეს კარგის ნიშანია, რომ არ ყმუის, იქნებ სასწაული მოხდეს, \_ ჩაილაპარაკა შვილმა.

\_ ამას გაბანა დასჭირდება, გაბანა და ჩაცმა, ჩვენ მოგეხმარებით.

\_ პათანატომი აქვე ცხოვრობს, კარგი სპეციალისტია, ხომ არ დავურეკოთ?!

\_ არა, ჯერ ცოცხალია, ადრეა, რა გვეჩქარება, \_ თქვა მეორე შვილმა.

\_ რამდენ კაცზე აპირებთ ქელეხს, \_ იკითხა ახალმა მეზობელმა.

შვილებს არაფერი უპასუხნიათ \_ იქვე იდგნენ მობუზულები, მერე ორივე გარეთ გავიდა. ღრიჭოდ დარჩენილი კარიდან ისევ ისმოდა მეზობლების დიალოგი.

\_ ბარემ სასტუმრო ოთახი გავათავისუფლოთ, ღია აივანი გავასუფთაოთ.

\_ მოიცა, ყველაფერს მოვასწრებთ, \_ გარედან შესძახა ერთ-ერთმა შვილმა.

\_ საწყალი, რა წვალეებით კვდება?!

\_ არა, პათანატომს მაინც დავურეკოთ. ხომ იცით, ზაფხულია, ცხელა და...

\_ მე ტახტს გადმოვიტან, მსუბუქია და მარტოც მოვერევი.

\_ სასახლე სტანდარტული დასჭირდება, არაა დიდი ქალი, სტანდარტულშიც ჩაეტევა.

\_ სუდარაც იქვე იყიდება, სადაც ჭურჭელს ამზადებენ, კაკაოსფერი ჯობს, თეთრს ნუ იყიდებ.

\_ რა უნდა ჩააყოლონ? ყველაფერს მომზადება უნდა.

\_ ბოლოს, ჩასვენებამდე რაღაც უნდა ამოაცალოთ, ასეა წესი, ერთი რაღაც მაინც უნდა ამოაცალოთ.

აივანზე მუშაობდნენ, ხვეტავდნენ, რეცხავდნენ, ხეხავდნენ, ეზოსაც აწესრიგებდნენ.

\_ რამდენ კაცზე შლით ქელეხს? \_ გასძახებს შვილებს.

\_ არ ვიცი, \_ უპასუხა უმცროსმა, \_ ჯერ მოიცათ.

\_ თადარიგი თავიდანვე უნდა დავიჭიროთ.

\_ ცხვარიც საყიდელი გექნებათ.

\_ მღვდელი უნდა ამოვიყვანოთ, თანაც სასწრაფოდ, ზიარებაა საჭირო.

სადამოვდებოდა. ეკლესიაში ვიღაც აფრინეს მღვდლის მოსაყვანად.

\_ პათანატომს დავურეკავ! \_ თავისას არ იშლიდა ერთ-ერთი.

\_ ჯერ ისევ ცოცხალია, ვაცადოთ, იქნებ მღვდელმა მოუსწროს. პათანატომს მერეც დავუძახებთ.

\_ სხვამ არ დაგვასწროს, დავურეკოთ და შევიპიროთ, მაგას ბევრი საქმე აქვს, სხვაგან თუ წავიდა, მერე სდიე.

\_ დავურეკოთ და ხვალისთვის დავიბაროთ. ხვალამდე, ალბათ, ვერ გაატანს.

\_ ქელეხს რამდენ კაცზე აპირებთ?!

\_ ორას კაცზე, \_ ამოილულლულა უფროსმა შვილმა.

- \_ ბაზარს ცეცხლი უკიდია.
- \_ რაღაცას ვიზამთ.
- \_ ჯერ აცალეთ, იქნებ სასწაული ხდება?!
- \_ ხომ ხედავ, კვდება, რა სასწაულზე ლაპარაკობთ?

თემური ეზოში გავიდა, ეზოში ვარდები ყვაოდა, მზე ჩადიოდა, რომელიღაც ხის კენწეროზე შაშვი გალობდა.

თემური ისევ დედის ოთახში შევიდა. ესენი ისევ ქელების თადარიგზე ლაპარაკობდნენ, შიგადაშიგ ხუმრობასაც გამოურევდნენ. ჩუმდებოდნენ, მერე ისევ საუბარს იწყებდნენ პათანატომზე, განბანაზე, მღვდელზე, ზიარებაზე, იმ ტანსაცმელს ამზადებდნენ, რაც უნდა ჩაეცმიათ.

თემურმა მეზობლებს მოუბოდიშა: ძვირფასებო, საყვარლებო, \_ დედაჩემი ჯერ კიდევ ცოცხალია, რასაც თქვენ ლაპარაკობთ, ყველაფერი ესმის, რა მწვალელობაა, თავი შეიკავეთ!

მეზობლები გაისუსნენ. დედა მძიმედ სუნთქავდა. თითქმის აღარ სუნთქავდა, ამასობაში მღვდელიც მოიყვანეს. პირჯვრისწერით შემოვიდა ოთახში. თემური ზიარებას არ დასწრებია, ისევ ეზოში გამოვიდა. ძალი არ ყმუის, იქნებ სასწაული მოხდეს. ეზოში ბოლთას სცემდა, ცალი ყური დედის ოთახისაკენ ჰქონდა, უცებ რამე არ მოხდესო. ასე გავიდა რამდენიმე საათი. დედა ისევ მძიმედ სუნთქავდა. თემური გრძნობდა, რომ რაღაც ირღვეოდა მის ზურგსუკან თუ მის ფეხქვეშ \_ დედის წასვლის შემდეგ ახლა თვითონ დარჩებოდა სიკვდილის პირისპირ. გაახსენდა, დედა როგორ აბანავებდა უზარმაზარ ტაშტში, თვალი საპნით რომ აეწვებოდა, მყისვე წყალს მიაშველებდა, მოითმინე, ახლავე ჩამოგბანო. ერთხელაც დედას თავი აღარ დააბანინა, დიდი ბიჭი ვარ, მე თვითონ დავიბანო, დედის თავშეკავებული ღიმილი ახლაც ახსოვს თემურს, საითაც არ გაიხედა, ის ღიმილი მოელანდა, სხვას ვერაფერს ხედავდა. არა, ყოველი დედა რაღაცით ჰგავს ღვთისმშობელს. არა მგონია, მკრეხელური იყოს ეს აზრი და თუ მკრეხელურია, ღმერთო, შემინდე.

დედა მეორე დილით გარდაიცვალა, თითქოს მის მისვლას ელოდა.

\_ დედა, დედა, \_ ჩასძახა თემურმა, \_ მე მოვედი, აქ ვარ, მითხარი რამე, მქნებ რაიმეს თქმა გინდა.

დედამ თვალი გაახილა, პირველად ბოლო ათი დღის მანძილზე, ყველა შეათვალიერა და რაღაც ჩაილაპარაკა გაურკვეველად, თემურმა ვერც ერთი სიტყვა ვერ გაარჩია. ღმერთო, იქნებ შენ მაუწყო, რა დამიბარა დედამ? მხოლოდ რამდენიმე გაურკვეველი სიტყვა, რომელთა შინაარსსაც ვერასოდეს გავიგებ. ეს ის სიტყვებია, სიცოცხლეში რომ არ ესმით, სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე გაჩენილ ბგერათა ნაზავია, ეს ის ენაა, ჩვენ რომ დაგვავიწყდა, აღარც დედას რომ არ ახსოვდა, და იმ წამს გაიხსენა, როცა ამქვეყნიური თანმიმდევრობა შეწყდა მისთვის... შემოგვხედა, თითქოს დაგვიმახსოვრაო, მერე დახუჭა თვალი და სული დალია.

\* \* \*

თემური შიშმა გამოაღვიძა. არ იცის, მერამდენედ ესიზმრა დედის სიკვდილის სცენა. ტახტზე წამოჯდა, ვერ მიხვდა, სად იყო, რატომ იყო, ან იყო თუ არა საერთოდ, კუნაპეტში ჩაფლული, თვალზე ცრემლმომდგარი, საბრალო და მიუსაფარი. წყვილიადს თვალი შეაჩვია, მაგრამ მაინც ვერაფერს ხედავდა, თვალზე ხელი აიფარა, იქაც იგივე წყვილიადი აგრძელებდა არსებობას, ამოუხაპავი, ჩაგუბებული, შედედებული... ხელისცეცებით მოიძია ასანთი, მაგიდაზე რომ საგულდაგულოდ

დადო. გაჰკრა და მიხვდა, რომ სარდაფში იყო, ისიც გაახსენდა, რომ თვითპატიმრობაში იმყოფებოდა. ჯერ ლამპა აანთო, მერე შუქი მოსინჯა, შუქი არ იყო... არ იცოდა, როდემდე ეყოფოდა ნათვი. ლამპა თუ ჩაიბჟუტებოდა, კარტოფილის სანთელიც ეგულებოდა განჯინაში, ერთი შანდლიანად მაგიდაზე იდგა ლამპასთან ახლოს. ნეტა რამდენი ხანი გავიდა, რაც აქ ვზივარ. ვარაუდითაც ვერ მიხვდა, რა დრო იყო: დღე თუ ღამე, დილა თუ საღამო. აქ სარდაფში დრო აღარ იყო, არც სივრცე იყო, იყო მხოლოდ წარმოსახვითი დრო და სივრცე. არსებული ვითარება იაძულებდა უფრო ღრმად ჩაეხედა თავის თავში, დროისგან წაშლილი თუ დატკეპნილი სახეები აღედგინა, რაიმე გაეხსენებინა, წიგნებისკენ გახედვა არც უფიქრია, იქ სხვა სამყარო ჩამალულიყო ოდნავ ნაცნობი, უფრო კი უცნობი, შეუცნობელი, უხილავი ძაფებით რომ იზიდავდა თავისკენ. – ცოლს საერთოდ დავავიწყდი მგონი?! კიდევ რომ გავახსენდე, რა აზრი აქვს, საჭმელი მაქვს, ალბათ ხოჭო კიდევ ამოივლის, თავიც გაიფხაჭუნებს, ობობაც გამოჩნდება, ჩემი კომპანია მეტად მცირერიცხოვანია, მაგრამ სანდო, ამბავს არსად წაიღებენ, არც მოიტანენ, ჩემთან ერთად იქნებიან ცოტა პარადიგმულად უნდა შევხედო ცხოვრებას, უფრო პარადიგმულად, ვიდრე ამას ადრე ვახერხებდი, მაგრამ აქ სად არის ცხოვრება?! ამ თვითპატიმრობას განა ცხოვრება ჰქვია?! იქნებ უფრო ესაა ცხოვრება, ვიდრე ის?! ეს ქალი სულ დაიკარგა. თითქოს იეჭვიანა კიდევ, მაგრამ ეჭვი თავიდან ამოიგდო და კითხვის გაგრძელება სცადა. ვერ შეძლო. აი, ოდნავ რომ გამაფართოებინა ეს კედლები, თუნდაც წარმოსახვით, უმჯობესი იქნებოდა. კედლების გაფართოებას თვალის მოხუჭვით შევუდგები, აქაურობა დამავიწყდება, ცოტა ხნით, მერე ისევ აქ დავბრუნდები, ცოტა ღვინოს გადავკრავ და წავისაუზმებ, წავისადილებ, ან წავივახშმებ. სულერთია, რას დავარქმევ. თუნდაც სამხარი იყოს. თვალი მოხუჭა და ღვთისმშობელი დაუდგა თვალწინ, ღვთისმშობელი დედას რომ წააგავდა რაღაცით, თვალებიდან გამოსხივებული კრძაღვით და უნაპირო სითბოთი, უნაპირო, თანაც მალული სითბოთი, თუმცა იმ თვალების სითბოს მალულს მაინც ვერ ვუწოდებ, იგი მალულია იმდენად, რამდენადაც მყისიერადაა გამოვლენილი ჩვენთვის დაფარული სამყაროდან. ის თვალები იმზირებიან ჩემში და ნათელს მაწვეთებენ, რომლისთვისაც წყვილი არ არსებობს. იმ თვალებში ვიძირები, რადგან ის სითბო მასაზრდოებს და მადლსაც გადმოსცემს ჩემს ცოდვილ სულს. მადლი ანათებს, დიახ, მადლი ანათებს, რადგან მადლი თვითონაა ნათელი, უძირო და ყოვლის მომცველი. კალკულატორზე ვერ გაამრავლებ და ვერაფრით გაზომავ, დამალვით კი დაემალები თუ გულს დახურავ, არ შემოუშვებ, არ მიენდობი. მამ, ვიღას უნდა მიენდო, ვისი იმედით უნდა იყო?!

თვალი გაახილა, ისევ სარდაფში დაბრუნდა, პური გალოღნა და ისევ ღვინო მოწრუპა, მერე გადაკრა. ეს ქალი სად დაიკარგა, ხომ არაფერი შეემთხვა ან რა დროა?! შენ აღარავის ელოდები, საერთოდ არავის. როცა უნდა მაშინ მოვიდეს ცოლი, ხომ მოვა ბოლოს და ბოლოს. თავის თავს გაუბრაზდა, რომ გარე სამყაროსთან კავშირს ვერ წყვეტდა, ისევ იმათზე ფიქრობდა, ვისზეც არ უნდა ეფიქრა – ვახტანგ ახურებულის პერსონაჟებზე, მთელ ქალაქში რომ დასახლებულიყვნენ და განუწყვეტლივ ბოზობდნენ, მამამადლობდნენ, დაუსრულებელიც ტყუოდნენ. ეს ქალაქი ახლა მათია, მათი კუთვნილებაა ყველაფერი. მე კი თავს პატიმრობა მივუსაჯე, მაგრამ მაგათთან თანაცხოვრებას, აქ ყოფნა მირჩევნია, რაც მინდა, ყველაფერი მაქვს: პური, ღვინო, წიგნები, სანთლები, ლამპა, შუქი, საწერი ქაღალდი და კიდევ ის სეიფი, ჩემს ცოლ-შვილს რომ გამოადგება. მე რაში მჭირდება, არაფერში, ამათთვის ვიწვალე, მხოლოდ ამათთვის. თავისივე სიტყვების არ სჯეროდა,

გამართლებას მაინც ეძებდა, ჯიუტად ეძებდა. სარდაფში ბოლთის ცემას მოჰყვა, კედელზე ჩამოკიდებული თოკი შენიშნა. არა, არა, ეს ჩემი საქმე არაა. განვედ, ეშმაკო! განვედ ჩემგან. თფუი, ეშმაკს. პირჯვარი გადაისახა. ზევიდან ჭრიალი გაისმა, ჯერ მაგიდის გაცურების ხმა, მერე ხალიჩის შრიალი, საკეტის ჩხაკუნის და კიბეზე მსუბუქი ნაბიჯი შემოესმა. ცოლი იყო, ხელში ისევ ცელოფანის პარკი ეჭირა, მეორე ხელით სამლიტრიანი ქილით ნავთი მოჰქონდა. კიბე ჩუმად ჩამოათავა, პარკი მაგიდაზე დადო, ნავთიანი ქილა და ძაბრი იატაკზე და ქმარს ჩაეხუტა. თემური ჯერ ვერაფერს გრძნობდა, მერე ტრადიციულმა ჩვევებმა თავი შეახსენა. ცოლი სარდაფში დარჩა, ტახტზე წამოწვა და ქმარს თვალი გაუშტერა.

თემური: რა ხდება ზევით?!

ცოლი: არაფერი, ჩაწყნარდნენ, მხოლოდ ერთხელ დარეკეს და მკითხეს: არ გამოჩენილათ, იქით შევუტეე, შემეშვნენ, აღარც დამმუქრებიან. აქ რაღა ხდება, ქვევით?

თემური: ხდება რაღაც, ჩვეულებრივი მეტამორფოზა. კიდევ რა ხდება ზევით?! ჩემი ძმა თუ გააფრთხილე?

ცოლი: შენი ბიძაშვილი უკვე ჩავიდოდა, გააფრთხილებს, აბა, რას იზამს.

თემური: არჩევნებამდე ცოტა დრო რჩება. ბოლომდე გავძლებ, თუმცა რა მჭირს გასაძლები, აქ მშვენივრად ვგრძნობ თავს, ეგაა, რომ ბიჭი მენატრება. იქით ხომ მშვიდობაა?!

ცოლი: ისევ დედაჩემთანაა, გარეთ ცხვირს არ აყოფინებენ. ისიც ზის ტელევიზორთან დილიდან საღამომდე. შენ გკითხულობს, ვეუბნები, რომ მივლინებაში ხარ.

თემური: ?!

ცოლი: გინდოდა რამე გეკითხა?!

თემური: რომელი საათი იქნება?!

ცოლი: არ ვიცი, შუალამეა. სამსახურში ისე დავდივარ, ცხვირ-პირი ჩამომტირის, თითქოს შენს დაკარგვას განვიცდი. ვთამაშობ, ვისწავლე არტისტობა.

თემური: მალე ყველას დავავიწყდები. ჯანდაბას მაგათი თავი. შენც დაგავიწყდები?!

ცოლი: როგორ ატყობ, დამავიწყდი?! აქ აპირებ ყოფნას პარლამენტის არჩევნებამდე?!

თემური: სხვა გამოსავალი არა მაქვს, ხელისუფლება რომ შეიცვლება, შემეშვებიან.

ცოლი: შენ გგონია, სხვები მოვლენ?! ჩაგვებარებინა ეს დავთრები და გვეცხოვრა ბედნიერად. იქ (სეიფისკენ გაიშვირა ხელი) კარგა ბლომდაა მაყუთი. ჩააბარე დავთრები და თუ გინდა საზღვარგარეთ წავიდეთ.

თემური: ასე ადვილი გგონია?! უკეთეს შემთხვევაში დამიჭერენ.

ცოლი: უარესს რას ელი?!

თემური: ?!

ცოლი: ვერ გაბედავენ. თუ გინდა, ჩემი ძმის მანქანით, ღამით, ოსეთში გაგაპარებ, იქიდან მოსკოვში ამოყავი თავი და დამელოდე. დავთრებს მე მივუტან.

თემური: არაფერი მჭირს გასაპარავი. მალე არჩევნები იქნება და ყველაფერი დამთავრდება.

ხოჭო ამოცოცდა კედელზე, ქალმა შეჰკვლა და ტახტიდან წამოხტა. ხოჭო ობობას ქსელში გაება, ობობა სწრაფად დაიდრა მსხვერპლისკენ. თემური დიდხანს უძრებდა, როგორ დააცხრა ობობა ხოჭოს. ხოჭო კარგა ხანს სხმარტალებდა, მერე თანდათან წინააღმდეგობა შეწყვიტა.

თემური: აი, იმ ხოჭოსავით მომიღებენ ბოლოს.

ცოლი: რა საზიზღრობაა!

ისევ ტახტზე ჩამოჯდა. თემურს უნდოდა ეკითხა, რამდენი დღე დარჩა არჩევნებამდეო, მაგრამ არ უკითხავს.

ცოლი: შუქი აანთე, წედან მოვიდა. ლამპაში ნავთი მაინც ჩავასხათ, ვინ იცის, როდის გამორთავენ.

ფინანსისტს საექვოდ დამშვიდებული მოეჩვენა ცოლი, დამშვიდებული თუ ბედს დამორჩილებული. შუქი აანთო, ნავთი ჩაასხა ლამპაში, მერე ხელი გადაიბანა და ისიც ტახტზე ჩამოჯდა.

ცოლი: რაღას უცდი, ჩააქრე შუქი!

თემური: შენ რა, აქ რჩები?!

ცოლი: თუ არ გინდა, წავალ. ერთი საათი მაინც ვიქნები შენთან. ჩააქრე შუქი.

თემურმა შუქი ჩააქრო და ცოლს მიუწვა, მერე მიუდგა დახარბებული, ნდომისგან ამაგმაგებული.

.....

ქალმა ძილს თავი წაართვა, წამოიზღაზნა, კაბა ჩაიცვა, ჩუსტებში ფეხი გაუყარა, რომ მოიცლი, მოვალო, დაუგდო სიტყვა ქმარს და ზევით აუყვა კიბეს. ჯერ კარი გაიღო, მერე დაიხურა, ხალიჩა გაშრივდა, მაგიდის გაჩოჩების ხმაც შემოესმა და დარჩა თვითპატიმრობაში, ძილი გაუტყდა, არ ეძინებოდა. საექვოდ გაირინდნენ ჩემი მაძებრები. საექვოდ. იქნებ აწყობთ კიდევ ჩემი გაქრობა?! ნეტა რა რიცხვია დღეს?! თუმცა რაღად მაინტერესებს. დრომ უნდა შთანთქოს ყველაფერი, მეც, ისიც, ისინიც, შვილა არა, შვილი დიდხანს უნდა იყოს, მაგრამ დრო ხომ ყველაფერს ტკეპნის, მიწასთან ასწორებს, ანადგურებს, ანგრევს და აშენებს.

ისევ წიგნები გადმოაწყო, მამის რვეულიც გაშალა, ხაზგასმულ ადგილებს კითხულობდა. მამას ჩვევად ჰქონოდა, მისთვის საინტერესო ადგილების შემოხაზვა ან სტრიქონებს ქვემოდან პარალელური ხაზების გავლება. «სულიერ ჭეშმარიტებას მათთვის არავითარი მნიშვნელობა არ გააჩნია, არსებობს მხოლოდ ილუზორული რწმენა: მთავარია გწამდეს, რისი ან ვისი გწამს სულერთია. ამგვარი ცრურწმენა ბადებს ნიჰილიზმს. როცა ამბობენ, რომ ადამიანებმა დაკარგეს რწმენაც, რომ ეკლესიამ, არსებითად, დაკარგა გავლენის სფერო, სწორედ ამ დროს მკვიდრდება ნიჰილიზმი, მაგრამ პასუხად გაისმის. რომ ეს შეხედულება რეზულტატია ცრუ კრიტიკიუმის გამოყენებისა, რომელიც ნასესხებია სამარადისო გამქრალი წარსულიდან. კულტურის კვდომის უკანასკნელ სტადიაზე დიდი ხანია საუბრობენ. ინდური კულტურის დასასრულად მიიჩნევენ ბუდიზმს, ანტიკურისას სტოიციზმს, დასავლური კულტურის აღსასრულს ხედავენ სოციალიზმში. ნიჰილისტები თვლიან, რომ ადამიანი ყოველთვის ცხოვრობდა ილუზიით. მსგავსი ილუზიების გამოგონება და სუსტი ადამიანების აყოლიება შეუძლიათ იმ პარტიებს, რომლებიც ქადაგებენ სოციალიზმს, თავის ნაირგვარი განშტოებებით, როგორც სოციალურ რელიგიას. დიახ, ამ ადამიანთა რწმენა მოწყვეტილია სულიერ ჭეშმარიტებას და მიჯაჭვულია «სოციალურ რელიგიას» – «ახალ რწმენას» – ნიჰილიზმის სათავეს, საიდანაც მოიწვევს კულტურის დამსამარებელი მეწყერი. ნიჰილისტები არაფრად დაგიდევნენ ისტორიას და ისტორიულ გამოცდილებას და თვლიან, რომ ისტორია ეს არის ილუზიათა ცვლა, მეტი არაფერი. თუმცა ილუზია მხოლოდ სუსტების ხვედრია, სუსტები კი აბსოლუტურ უმრავლესობას შეადგენენ მთელი კაცობრიობისას. მაგრამ ისტორია აღსავსეა არა მხოლოდ ილუზიათა გამუდმებული ცვლით, არამედ

ჭემმარიტებისათვის ბრძოლითაც. მაგრამ ნიჰილისტისთვის ჭემმარიტება არ არსებობს და თავისას იმეორებს თუთიყუშივით. არსებობისთვის საჭირო ილუზიას ადამიანი ქმნის თვითონ და ასე ფიქრობს: არ მწამს, მაგრამ რაიმეს რწმენა საჭიროა. არსებობს სხვა პრობლემაც: ყოველგვარ რწმენაში დაიდებნება ანალოგია რელიგიურ რწმენასთან. ჭემმარიტებაზე საკუთარი შეხედულების განსაკუთრებული მნიშვნელობა წარმოშობს ფანტაზიებს, და იგი უძლურია გაიგოს ის, რაც არსებობს მისი რწმენის ფარგლებს მიღმა. აქედან გამომდინარე, ისინი მზად არიან გაწირონ სიცოცხლე რწმენისთვის. ჩვენ გვერდს ვერ ავუვლით ახალი ადამიანების არსებობას, ისინი მუშაობენ მანქანური ტექნიკის პირობებში, მკაცრნი, თავის მოქმედებებში გამოჭედილნი, შენიღბულნი, საიმედონი, მაგრამ უპიროვნონი. თუმცა ფსიქოლოგიური თვისებები ვერ გარდაქმნიან ყოველგვარ რწმენას – რელიგიურ რწმენად. ეს მხოლოდ რელიგიის სუროგატია, სუსტი, სულსწრაფი ადამიანის ნაბჟუტურებია, თვითონვე რომ ირწმუნა, როგორც აბსოლუტური ჭემმარიტება და თვითონვე დაემონა მას. ე.ი. მან შექმნა რაღაც, მერე ირწმუნა ეს «რაღაც» და იმდენად ირწმუნა, რომ მზადაა თავი შესწიროს. მეცნიერება ბოროტად იყენებს რაციონალიზმს, არცთუ ისე იშვიათად გარდაქმნის დოგმატიზმად და ცრუიდეა – მსოფლიოს უკეთ მოწყობისა, – გადაიქცევა რწმენის გაუკუღმართებულ, დამახინჯებულ შინაარსად. სულიერ ჭემმარიტებას მათთვის მნიშვნელობა არ გააჩნია. დოგმებად ქცეული რაციონალიზმით დაავადებული ადამიანები თითქოს ახლის, უკეთესის აშენებას ცდილობენ, სინამდვილეში კი ანგრევენ ადამიანის სულს, თანდათან ამორებენ სულიერ ჭემმარიტებას და პრაგმატიზმის ჭაობში ძირავენ მას.»

ფინანსისტი დაკვირვებით კითხულობდა მამის დანიშნულ ადგილებს იმ წიგნიდან, რომლის არსებობაც წინათ არც სმენია. ცოტა გადაღალა კიდეც ამ წიგნის კითხვამ, მაგრამ ერთადერთი, რაც აღმოაჩინა საკუთარი ნიჰილიზმი იყო. რომ იგი მსხვერპლი იყო არსებული ზედაპირული რეალობისა, საიდანაც გასაღწევი მხოლოდ თავის სარდაფში იპოვა და მისი ერთადერთი მიზანი – აქ დამალვოდა მამებრებს საპარლამენტო არჩევნებამდე, ახალი მთავრობის მოსვლამდე, ეჭვს ქვეშ დააყენა. ეჭვი იმდენად გაუძლიერდა, რომ წამოდგა და ისევ ბოლთის ცემას მოჰყვა კეთილმოწყობილ ოროთახიან სარდაფში, თვალი განჯინისაკენ გააპარა და კედელში ჩამონტაჟებულ სეიფს შეავლო, როგორც ჭემმარიტ მოწმეს იმისას. რომ ისიც ისეთივე იყო, როგორც მისი მამებრები. იგი უმნიშვნელოდ სარგებლობდა არსებული ქაოსით და მცირე პროცენტებს შოულობდა, რომელიც საბოლოოდ მოზრდილ თანხად იქცა, ამის წარმოდგენამ დანაშაულის გრძნობა გაუასკეცა. არჩევნებამდე დროის გაყვანის იდეას უკვე ორჭოფულად უყურებდა. ვინ მოვა ახალი?! ალბათ ახლებიც იგივენი იქნებიან. იმის იმედით, რომ წიგნი რაღაცას კიდეც ეტყოდა, განსხვავებულსა და სწორ გზაზე დააყენებდა, მამის მოხაზული ადგილების კითხვა განაგრძო, ზოგჯერ იმასაც კითხულობდა, რაც მამას, რატომღაც არ აღენიშნა.

«ყოველივე ამას წინ აღუდგება ადამიანურ ყოფიერებაზე, ადამიანზე მარადიული სათავეების ცოდნა, რომელიც სხვადასხვა ისტორიული სამოსელით გვევლინება. არსებითად, შეუცვლელი თავისი რწმენით, ყოფიერების სიღრმეებს რომ შეერთვის. ადამიანს შეუძლია თავის თავს დაუმალოს საკუთარი არსი, თავის წარმოშობის სათავეები, განდევნოს ცნობიერებიდან ის, რაც მასში იყო, გაამრუდოს თავისი ბუნება, მაგრამ მას შეუძლია აღადგინოს კიდეც იგი. ეს ყოველთვის შესაძლებელია. სიყვარულში იკვეთება ყოფიერების ნამდვილი შინაარსი. ჩვენი შეხედულებანი, ფიქრები მარადიულზე, სიტყვები, რითაც ამას გამოვხატავთ, მუდამ იცვლება, მაგრამ თვითონ მარადიული არ იცვლება. მაგრამ იგი არავინ იცის, არავის უნახავს, მხოლოდ

განუცდიათ, შეუგრძნიათ, ამიტომაც მარადიულ რწმენაზე საუბარი, არ არის გამორიცხული, დარჩეს აბსტრაქტულ სიტყვებად და ეს აბსტრაქტული ფორმულირებები ისტორიული გარდასახვაა მარადიულ იდეათა»...

თუ ადამიანმა ადამიანურობა არ დაკარგა, ვერ დაკარგავს ტრანსცენდენტურობის შეგრძნებას. მთელი ჩვენი ცხოვრება აღსავსეა სიმბოლოებით, ამ სიმბოლოთა მეშვეობით, ამ სიმბოლოებში ვგრძნობთ ტრანსცენდენტურობის მონაწილეობას და ვეხებით მას. მერე სინამდვილის შეგრძნება ქრება, იკარგება, როგორც სიმბოლოთა რეალიზაციისას, ასევე ჩვენი არსებობის სფეროშიც, ასევე მის ეგზისტენციაში შეგრძნებათა ძაფია მხოლოდ ერთადერთი მეგზური და ისიც თვალსა და ხელშუა გვიქრება. ადამიანისადმი რწმენა, ეს არის რწმენა თავისუფლების შესაძლებლობისა. თუ იგი ვერ შეიგრძნობს, რომ მისი არსებობა, უპირველეს ყოვლისა, ღვთის მადლია. და რომ იგი პასუხისმგებელია ღვთის წინაშე, მაშინ ადამიანის ხატი არათუ არასრულია, არამედ ხატის კონტურშიც ვერ თავსდება. წარსულს მოწყვეტილი დამიანი ვერ გრძნობს იმ სიღრმეებს, დღემდე რომ უნდა აღწევდეს და მასში აღძრავდეს წინაპართა წყურვილს – ყოფილიყვნენ თავისუფალნი. ვერ შეიცნობს იმ ხატებს, რომელშიც ისინი აღმოაჩენდნენ თავისუფლებას, თავისუფლების წყურვილს. საკუთარი თავის შეცნობა ამ წარსულის ცოდნის გარეშე შეუძლებელია. ადამიანის რწმენა ეს არის რწმენა შესაძლებლობისა, რომელსაც იგი ისრუტავს თავისუფლებიდან და არა რწმენა გაღმერთებული ადამიანისა. ის, ვინც კარგავს ადამიანის მიმართ პატივისცემას, სხვის ცხოვრებას გულგრილად ჰკრეტს, ან მხოლოდ სარგებელს ხედავს მასში, იგი თანდათანობით პოტენციურ მკვლელად ყალიბდება. ეჩვენებათ, რომ სამყარო ჩაკეტილია, დახშულია, სწორედ ისინი წარმოიდგენენ სამყაროს, როგორც რაღაც მექანიზმს, რომლის შეცნობაც თითქოს ბოლომდე შეუძლიათ, ანდა სამყაროს წარმოიდგენენ გაუცნობიერებელ, ერთფეროვან ყოველდღიურობად. ამ ჯადოსნურ სამყაროში საკუთარი თავის აღმოჩენა ყოველთვის აღძრავს ტრანსცენდენტურის შეგრძნებას და ამოუწურავ შესაძლებლობებს».

ალბათ, უფრო შორს წასვლაც შეიძლება, ფიქრობდა ფინანსისტი და ამას როგორღაც ახერხებდნენ კიდევ უდიდესი რევიზიონისტები – ნიცმე და ფროიდი – ისინი აფართოებდნენ შემეცნების საზღვრებს, მაგრამ მათი წინსვლა დამანგრეველი აღმოჩნდა კაცობრიობისათვის. ის, ვინც ღმერთს აუჯანყდა, დაიღუპა, მაგრამ რევიზიონიზმი მყარ საფუძვლად ექცა კულტურის მესაფლავეებს, ათასგვარი დოგმით შეპყრობილ მანიაკებს, ღვთაებრიობის უარყოფაში თუ ხელყოფაში აღმოაჩინეს ნეგატიური რელიგია – ანუ რწმენა დამიანის უბადრუკობისა, მისი ცხოველური ინსტინქტებისა და ესეც თავისუფლებად მონათლეს, თუმცა უფრო სწორი იქნებოდა ნეგატიური რელიგიისათვის ქაოსის რწმენა გვეწოდებინა, თუ ასე გაგრძელდა, ქაოსი უფრო მოიკიდებს ფეხს ქვეყანაში, ჩვენს ყოფიერებაში და უფრო ჩაიკეტება ის მისასვლელი გზები უზენაესამდე, რომელიც ჩვენსავე ყოფაშია აღმოსაჩენი, იგი აქვეა და შეუნიშნავია მრავალთათვის, ქაოსი მათთვის ახალ «წესრიგს» ნიშნავს და ეს ახალი «წესრიგი» წარმოშობს იმ ნეგატიურ ძალებს, ახალ ადამიანებად რომ ნათლავენ, ვისთვისაც ნებისმიერი კულტურა წარულის მავნე გადმონაშთია და მეტი არაფერი. ანტიკულტურა მძიმე სულიერი კრიზისის შედეგია, უღმერთოდ დარჩენილი ადამიანის მაგვარი არსების გაუცნობიერებელი თვითმკვლელობის ცდაა. მისი შეჩერება შეუძლებელია. თუ ადამიანი მხოლოდ კვლევის საგანია, მაშინ იგი დაუსრულებლად შეიძლება იკვლიონ ფსიქოანალიტიკოსებმა, საერთოდ მეცნიერებმა და თავიანთი დასკვნებიც გააკეთონ.

მაგრამ ადამიანი გარდა იმისა, რომ კვლევის საგანია, არის თავისუფლება, ადამიანი – კვლევის საგანი – მეცნიერების კუთვნილებაა და მხოლოდ ცოდნის, შესწავლის სფეროს წარმოადგენს. ადამიანი, როგორც თავისუფლება, რწმენის უმთავრესი სახეა. რადგან მე არ ვარსებობ მხოლოდ ჩემი საშუალებით, ე.ი. მე ვარსებობს კიდევ რაღაცით და, უპირველეს ყოვლისა, თავისუფლებით და კიდევ იმით, რასაც ტრანსცენდენციას უწოდებენ.

რამდენად შეიძლება ეწოდოს თვითპატიმრობას თავისუფლება?! ეს შეკითხვა წამოსცდა ფინანსისტს და პასუხის ძებნაში გაისუსა. დავარქვათ ამას თუნდაც დროებით თავისუფლების აღკვეთა. აღმკვეთი ღონისძიება საკუთარ თავს თვითონ მივუსაჯე. თვითპატიმრობა ჩემი ნებით მოხდა. არის თუ არა ჩემი მდგომარეობა თავისუფალი ყოფა?! მაგრამ თუ ისინი დამიჭერდნენ ჩემი სიმართლისათვის (ამაში კი უკვე ეჭვი ეპარებოდა), ხომ იქნებოდა ძალადობა?! ე.ი. მე თავისუფლებას დავკარგავდი იმათი ნებით, ახლა კი ჩემს ნებას ვახორციელებ და არსებითად მაინც ვრჩები თავისუფალი, ამ კედლებში კი ვარ გამომწყვდეული, მაგრამ უფრო მეტად თავისუფალი ვარ, ვიდრე სხვა პატიმრები თავიანთ საკნებში, თუმცა მეც პატიმარი ვარ – თვითპატიმარი, მაგრამ მაინც პატიმარი – დროებით თავისუფლებაშეზღუდული, – გაამართლა საკუთარი ქმედება ფინანსისტმა.

თურმე რაზე ფიქრობდა და რა წიგნებს ჩაჰკირკიტებდა საწყალი მამაჩემი?! თურმე არ ვიცნობდი. რატომ მირჩევდა დაჟინებით ფინანსისტი გამოვსულიყავი – ალბათ იმიტომ, რომ თვითონ დუხჭირად ცხოვრობდა და არ უნდოდა, ჩვენც რომ იმავე გაჭირვებაში ამოგვეყო თავი. რა უდებურად გარდაიცვალა?! ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო, ორმოცდაათს მიტანებული, ხელი რომ ჩაიქნია მიწიერ მომავალზე და არა საერთოდ მომავალზე, სხვა მომავლისა სჯეროდა. ერთი მეგობარი ჰყავდა ფილოსოფოსი – ჭუჭყისაგან დალაქავებული შავი პიჯაკი ეცვა, ჰალსტუხს არ იკეთებდა, ხალათი ყოველთვის გაღეღილი ხქონდა, შაბათობით მოდიოდა ჩვენთან და ის და მამა ოთახში იკეტებოდნენ. გადანასახლები იყო, ჭირგამოვლილი, მამაჩემიც პოლიტიკურზე იჯდა, ოღონდ უფრო ცოტა ხანს, ახალგაზრდობაში. ეს ცოტა ხანი მისთვის ოთხი წელი გაგრძელდა. ჩამოვიდა თუ არა, ოჯახს მოეკიდა. ინსტიტუტში ჩაბერდა ლაბორანტად, დისერტაცია რამდენჯერმე ჩაუგდეს, მერე დისერტაციაზე ფიქრსაც თავი ანება, სადამოობით თავის მაგიდასთან იჯდა და ან კითხულობდა, ან წერდა. მაგიდის ლამპას აანთებდა, სათვალეს მოიმარჯვებდა და სკამზე მოკალათდებოდა, საათობით არ გამოდიოდა იქიდან. შაბათის სტუმარიც ფილოსოფოსი იყო, ისიც უხარისხო, მაგრამ როგორც მამა ამბობდა, მეტად პერსპექტიული. ორმოცს მიტანებული კაცის პერსპექტივაზე გუნებაში მეღიმებოდა, მაგრამ მამას ხომ ვერ გავუბედავდი ამის თქმას.

მამა არ მანებივრებდა, არც მსჯიდა, თუ რამეს დავაშავებდი, ვიცელებდი ან მეზობლის ფანჯარას ჩავამტვრევდი ბურთის თამაშისას, დამიბარებდა და მომხდარს დეტალურად ანალიზებდა ჩემთან ერთად. ეს კი მანამ გრძელდებოდა, ვიდრე საკუთარ დანაშაულს არ მივხვდებოდი და არ შემრცხვებოდა. ჩემს უმცროს ძმას და მე ხშირად გამოგვიძახებდა თავის ოთახში, ჩვენს სახელმძღვანელოებს ირონიული ღიმილით დასცქეროდა, მაგრამ გაკვეთილებს მაინც თვითონ იბარებდა. გაკვეთილების ჩაბარების მერე შემოგვაპარებდა ამ სახელმძღვანელოებში ბევრი სიცრუე წერია და თანდათან მე გეტყვით სინამდვილესო, სკოლაში კი თუ გაგიძახონ, ისე ჩააბარეთ, როგორც აქ წერიაო. ერთხელაც, მე მაშინ მერვე კლასში ვიქნებოდი, ჩემი ძმა კი მეექვსეში, მამას შევბედე და ვკითხე: – ძალიან გთხოვ მითხრა, რა წერია ამ წიგნში ტყუილი, თან სსრკ-ს ისტორია გავუწოდე. მამას ისტერიული სიცილი

აუვარდა: ეს წიგნი ბოროტი ტყუილების ქრესტომათიააო. მახსოვს, მაშინ დედ შემოვიდა, მამას რაღაც უჩურჩულა და ისიც გაჩერდა. გაიზრდებით და თვითონ მიხვდებით სინამდვილესო. წლები გადიოდა და სინამდვილეს თანდათან ვხვდებოდით. ამასობაში უკვე მოვასწარი მამის ბიბლიოთეკიდან რამდენიმე წიგნის დაკონსპექტება. თან მაფრთხილებდა, ამ წიგნებზე ნურავისთან ილაპარაკებ, შენთვის იცოდე, ცხოვრებაში გამოგადგებაო. ესენი, – სადღაც ძირს გაიშვირა ხელი, თითქოს მიწისქვეშეთისკენ მითითებდა, – სულ არ იქნებიან, ამათი რეჟიმი აუცილებლად ამოყირავდებაო. უნივერსიტეტი რომ დავამთავრე, ჩემს გაპარტიულებას მამა ცივი ციმილით შეხვდა, სამსახურშიც ადვილად მოვეწყვე, ქალაქის ადმინსკომის საფინანსო განყოფილების ინსპექტორი ვიყავი, მერე განყოფილების გამგე, მერე კიდევ უფრო დამაწინაურეს. ჩემს ბანკის პრეზიდენტობას მამა ვერ მოესწრო, იგი დისიდენტად გარდაიცვალა, მაგრამ ახლა მისი რვეულების კითხვა მარწმუნებს, რომ მამაჩემს სრულებით არ ვიცნობდი. იყო ვიღაც უცხო კაცი, მამა რომ ერქვა და ხანდახან მე და ჩემს ძმას გვესაუბრებოდა ჩვენთვის გაუგებარ საკითხებზე. სკოლის დამთავრების ბანკეტზე ვერ წავედი, ვერც სურათი გადავიღე თანაკლასელებთან ერთად და ეს ყველაფერი იმიტომ, რომ მამას ფული არასოდეს ჰქონდა. ხელფასს რომ აიღებდა, ნახევარს ბუკინისტებთან ტოვებდა. არ მახსოვს დედას ამის გამო საყვედური ეთქვას, დედის მშობლები გვიმართავდნენ ხელს. ფინანსისტი გამოდი, ფინანსისტიო, ირონიული ღიმილით მეტყოდა მამაჩემი და ახლავდა ვხვდები, რომ სიდუხჭირისათვის არ ვემეტებოდი. ჰოდა, მეც ავასრულე მამის თხოვნა და ფინანსისტი გამოვედი, ცხოვრება არ მიჭირდა, მაგრამ ვგრძნობდი, რომ რაღაც მაკლდა და ეს რაღაც იყო მამის ბიბლიოთეკა და ხელნაწერები, ჩემს კეთილმოწყობილ სარდაფში რომ ჩავიტანე. დროდადრო, როცა სულიერ შიმშილს განვიცდიდი, გულში გავივლებდი: უქმე დღეებში მაინც მოვიცლი, ჩავალ იქ და რაიმეს წავიკითხავ-თქო, მაგრამ ამის საშუალება მაშინ მომეცა, როცა თვითპატიმრობა გადავწყვიტე. ახლა ვზივარ აქ, მამისეულ მაგიდასთან და ვხედავ წასაკითხი იმდენია, რომ ათი საპარლამენტო არჩევნების დრო არ მეყოფა, საერთოდ, ერთი სიცოცხლე საკმარისი არ იქნება. ნამდვილი თავისუფლების ფასი ალბათ მხოლოდ მამაჩემმა იცოდა, ეს ცოდნაც თან წაიღო, ხელნაწერების სახით კი დატოვა რაღაც, რაც ჩემთვის ნაკლებად გასაგებია. ბაბუაჩემი – მამაჩემის სიმამრი, ე.ი. დედის მამა, შინსახკომის გადამდგარი პოლკოვნიკი, დღესაც ცოცხალია. პენსიაში გასვლის შემდეგ სულ სარფიან სამსახურებში მუშაობდა. მამაჩემს ხშირად აყვედრიდა – მე რომ არ მოგხმარებოდი, ციხეში ჩალპებოდი, ჩემს შტერ ქალიშვილს უნდა უმადლოდე, რომ გადაგარჩინე, ამან ამომხადა სული, თუ არ მიეშველები, თავს მოვიკლავო. ქალიშვილის ხათრით მოგეხმარე და იქიდან გაგათავისუფლე, ჩემდა საუბედუროდ, ჩემი სიმეც გახდი, მაგრამ რად გინდა, უმაქნისი ხარ, ცოლ-შვილისთვის ვერ მიგიხედია, ეგენიც ჩემი სარჩენები არიანო. სიმე, ანუ მამაჩემი, ხმას არ ამოიღებდა, მეორე ოთახში გავიდოდა და ნაპოლკოვნიკარის საუბარს არც უსმენდა. ბაბუაშენი ერთუჯრედიანიაო, უთხრა ერთხელაც თემურს, მაგან ბერიას ნაჩუქარ საათს და იარაღს მიხედოს – სახლში რომ ელოლიავებაო. თემურს არაერთხელ უნახავს, როცა ბაბუასთან აგზავნიდნენ, ნაპოლკოვნიკარი როგორ ჩამოიღებდა საათს, რომელსაც წარწერა ამშვენებდა ვიღაცის ფაქსიმილეთი, მერე როგორ ამოაცურებდა იარაღს სადღაცოდან, ისე რომ შვილიშვილს ვერ შეემჩნია საიდან და გულდასმით აპრიალებდა შალის ნაჭრით, თითქოს ეფერებო. ერთხელ შვილიშვილს ისიც უამბო, რა წვლილი ჰქონდა მიღებული – მოღალატე ერების – კერძოდ, ჩეჩენ-ინგუშეთის მოსახლეობის დეპორტაციაში. «ლამით ალყაში

მოვაქცევდით აულებს, მერე ხალხს თავს ვუყრიდით რომელიმე მთავარ შენობაში, მერე კი ჰაიდა, მანქანებით გადაგვყავდა ეშელონებამდე. ეშელონები ყაზახეთისკენ ეზიდებოდნენ ამ მოღალატეებს. მუსულმანი მესხებიც ასე გავასახლეთო, – უცბად, ელვისებურად. ამ ოპერაციებისათვის დამაჯილდოვა მთავარსარდლობამ საათით, იარაღით, მედლებით, ორდენებით. შენ არ იცი ეს ვისი წარწერაა, ახლა ლანძღავენ, ისე დიდი კაცი იყო». მამაშენს არ დაემგვანო – სულ ამას ჩამჩინებდა, დრო შეიცვალა თორემ, ეგ ახლაც დასაჭერიაო. ეგეც და მაგის ქეციანი ძმაკაციო, მამაჩემის შაბათის სტუმარს გულსხმობდა, ჩემს ლუკმას ჭამენ და ამ მთავრობას აგინებენო. თუმცა კია ეს მთავრობა საგინებელი, გაივსო მტრებით ქვეყანა, ფეხებზე ჰკიდიათ, სტალინის აშენებულს ანგრევენ და ვერ დაანგრევენ. ბაბუაჩემს, ანუ მამაჩემის სიმამრს, ანუ დედაჩემის მამას, თითქმის ყველა ოთახში სტალინის პორტრეტი ეკიდა, თავის კაბინეტში ბელადის ბიუსტი ედგა, ტუალეტში, უნიტაზის თავზე, გაზეთიდან ამოჭრილი ხრუმჩოვის სურათი მიეწებებინა კედელზე. ერთხელ თვალი მოვკარი კარადაში შემალულ ბერიას გადიდებულ სურათს. თვითონ მითხრა, ეს ჩემი უშუალო უფროსი იყო, ეს არის ლავრენტი ბერიაო. ბაბუაჩემს – ე.ი. მამაჩემის სიმამრს წერაკითხვა შინსახკომში რომ შესულა მოხალისედ, მაშინ უსწავლია. როგორც კი ფორმა ჩაიცვა და რაღაც ჩინიც მიიღო, უცებ გადიდკაცდა მეზობლების და ნათესავების თვალში. შეშინებულები, შემკრთალები შესცივინებდნენ. ერთხანს ციხეებისა და კოლონიების სამმართველოს უფროსი იყო, მანამდე სულ ჩეკაში მუშაობდა, აწინაურებდნენ და აწინაურებდნენ, პოლკოვნიკობას რომ მიაღწია, მერე ხსენებული სამმართველოს უფროსად გადაიყვანეს. სამ სახლს აშენებდა თითქმის ერთდროულად – სამივეს პატიმრები უშენებდნენ ბადრაგის მეთვალყურეობით. კაპიკი არ დახარჯვია, ბალანდა პატიმრებისთვის სპეციალური მანქანით მოჰქონდათ. ასეთი ვინმე იყო ბაბუაჩემი ფუტკარაძე, მეც სანახევროდ მისი გაზრდილი ვარ. ახლა პენსიაზეა და ზის სახლში, მაინც ვერ ისვენებს, ლუსტრაციის კანონზე რომ რაიმეს გაიგონებს ტელევიზიით, იფურთხება, იგინება, სასწრაფოდ გამორთავს ტელევიზორს და გაფითრებული ღრიალებს:

– ეს ბითურები, ბითურები, უვიცები. ესმით ახლა ამათ რამე?!

ბაბუაჩემს სიტყვა თავისუფლება სძულს, ეზიზღება, გაგონებაც არ უნდა.

– თავისუფლება სახელმწიფოში ქაოსს ამკვიდრებს! ესენი ყველანი დასაჭერები არიანო.

მამაჩემი რომ გარდაიცვალა, მისი დასამარხი შეიქნა. მეც მქონდა ცოტა რაღაც, მაგრამ რაც მქონდა, ზღვაში წვეთი იყო, ძირითადად, სიმამრმა მოიქაჩლა თავი. ძუნწი კაცი იყო, მაგრამ სიამოვნებით მარხავდა მამაჩემს, თითქოს ფული არ ენანებოდა, თვალიც არ აცრემლებია, ისიც კი ჩაიბურტყუნა: – ახლა კი დაისვენებს ჩემი შვილიო!!

როცა წამოვიზარდე, არც მაშინ მიცდია გამერკვია მამაჩემის და მისი სიმამრის ამბავი. მამა მეცოდებოდა კიდევ და მიყვარდა. თუმცა მისი სიმამრი ანუ ბაბუაჩემი ჩამჩინებდა – ეგ ხელმოცარული კაცია, მაგისგან თავი შორს დაიჭირე, შენც არ მოგწამლოსო. უკვე ვხვდებოდი, რითი შეეძლო მამაჩემს ჩემი მოწამვლა, რაღაცნაირად მართლაც ჩამოვცილდი, ჩეკისტი ბაბუის გზას არ დავდგომივარ, მაგრამ მისი გავლენა საგრძნობი იყო ჩემზე. სულ გაორებული ვიყავი, ბაბუასთან ვიზრდებოდი სანახევროდ, ფინანსურად ის მეხმარებოდა, მამაჩემთან რომ ვბრუნდებოდი – მამა ჩამილაპარაკებდა:

– ეგ ძალიან საშიში კაცია, როგორც ბაბუას პატივი ეცი, მე მაგის სიკეთეც მახსოვს, უმადური არა ვარ, მაგრამ ძალიან სახიფათო ვინმეა. ყველა ცოდვილი ვართ ღვთის წინაშე, მაგრამ ეგ ათასგზის ცოდვილია. ისე პატივი ეცი და წესიერად მოექცეო.

ისე დავამთავრე სკოლა, უნივერსიტეტი, რომ მამაჩემს ჩემთვის არაფერი უყივია, რაც არ ჰქონდა, რას მიყივია, სულ ბაბუაჩემი მაცემდა. ისე გაირბინა წლებმა, რომ მათი ურთიერთობის გარკვევა არ მიცდია. ისე კი გულისგულში მამა უფრო მეცოდებოდა, ვიდრე მიყვარდა. მხოლოდ ახლა, ამ ხელნაწერების კითხვას რომ შევუდექი, მიხვდები ნამდვილად ვინ იყო მამაჩემი, ზრდილი, განათლებული, ინტელექტუალი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით და ამიტომაც არავის და არაფერში არ სჭირდებოდა. ყველაზე საკვირველი ის იყო, რომ რაც დრო გადიოდა, მამას ვემსგავსებოდი თიზიკურად, ბაბუას აშკარად არ მოსწონდა ეს ამბავი და ჩემს მამასთან მსგავსებასაც ვერ ეგუებოდა. მახსოვს, ატამს როგორ თლიდა, კანებს აგროვებდა და შეგროვილი კანებისგანაც კომპოტს ამზადებდა, თვითონ, მარტო, ბებიას დაუხმარებლად. ვიდრე წინააღმდეგ საჭმელი ბოლომდე არ შეიჭმებოდა, ბებიას სადილის გაკეთებას უკრძალავდა. ტრამვაი რომ დადიოდა ქალაქში, მხოლოდ ტრამვაითი მგზავრობდა, ტროლეიბუსში არ ჩაჯდებოდა, მით უმეტეს ავტობუსში ან ტაქსიში, ყოველ კაპიკს ხელს უჭერდა. თავის სიძუნწეს იმით ამართლებდა, ორ ოჯახს ვარჩენ და რა ვქნაო?! მოკლედ, იყო ასეთი ამბები – მწარედ გასახსენებელი დღეები, თვეები, წლები.

ბანკის პრეზიდენტი რომ გავხდები, ბაბუაჩემის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა: ნამდვილად მამაჩემი ვიყავი – ხმელი, საშუალოზე დაბალი ტანის, ზედმეტად შავგვრემანი, თითქოს მამაჩემივით დახვეწილი და განათლებული, ინტელიგენტის მსგავსი. მამისეული რამდენიმე წიგნი თავის დროზე რომ კარგად შევისწავლე, სხვებისგან გამომარჩევდა. რაღაც უპირატესობას მანიჭებდა, ამას სხვებიც გრძნობდნენ, ვხვდებოდი. სადღეგრძელოებშიც უთქვამთ: ჭკვიანი, ნაკითხი, განათლებულიო! თუმცა პირმოთნეობა ჭარბობდა ამ სიტყვების მთქმელთა ინტონაციაში, მაგრამ სიმართლის ნატამალი მაინც ჭაჭანებდა. რა ჭკვიანი, რის ჭკვიანი, მამაჩემის მეთაური ჭკუა არ გამაჩნდა, მაგრამ ესეც საკმარისზე მეტი გამოდგა კარიერის გზის გასაკაფად. მამაჩემს ზედმეტი ჭკუა რომ ჰქონდა, იმიტომ არ დასჭირდა არავის, ლაბორანტად ჩაბერდა. მარქსიზმ-ლენინიზმის «შუქზე» მხოლოდ წყვილიანი მოჩანსო – მიმეორებდა ხშირ-ხშირად. ამ ქალაქს სხვა სახელი ჰქვია სინამდვილეში, ეს ყველამ იცის, მაგრამ არავინ ახსენებს, ახლა რასაც უწოდებენ მეტსახელიაო.

«სოლ-დო-მი» – გაჟღერდა სადღაც ზევით, სიბნელეში. ლ-ასი ისევ დაიკარგა და გამოიკვეთა ის ტოპონიმი, ნამდვილად რომ ერქვა ამ ქალაქს, ან იქნებ არც ერქვა, მაგრამ თავისი ცხოვრების წესით: ტაციობით, ჩაშვებით, პარვით, კვლით, ბოზობით – ყველა გულმოდგინედ ქმნიდა ამ სახელს, თანდათან ამგვანებდნენ ამ ქალაქს სოდომს, სადაც ოდესღაც ცხოვრობდა არქივარიუსი. ახლა უკვე სჯეროდა, რომ შემთხვევით, მხოლოდ ამნეზიის გამო არ მოხვედრილა იქ, ან როგორ მოხვდებოდა ასე უმიზეზოდ, ქვეცნობიერებაში რომ არ იყოს დაღეჭილი შორეული წარსული, სადაც ოდესღაც ცხოვრობდა, ან ეს ლოტი რად აიკვიატა – რამდენი ცხოვრება მაქვს გამოვლილი? როდის ვიყავი ლოტი და როდის არქივარიუსი?! ან ახლა რატომ მგონია, რომ სოდომის ერთ-ერთ სარდაფში ვიმყოფები, რომ მამაჩემი, ფილოსოფიის ლაბორანტი, იმ ცხოვრებაშიც ჩვენთან იყო, ჩემს გვერდით, სხვაგვარად ჩაცმული და სხვა საქმეებით დაკავებული, მაგრამ ხომ იყო?!

«სოლ-დო-მი» ისევ გაჟღერდა სადღაც ზევით, როიალის ხმა ეცნო, დიახ, ეს მათი როიალი იყო. ნეტავ ვინ არის სახლში?! ვის მოეპრიანა ისევ და ისევ იმავე ბგერების განმოვანება?! გასუსული იჯდა, ხმას არ იღებდა, კურდღელივით გაინაბა. ზევით, სახლში, ვიღაც იყო, მაგრამ ვინ, თემური ვერ შეიტყობდა. სინამდვილეში ზევით არავინ იყო, მის მეხსიერებაში ჩარჩენილი ბგერები გაჟღერდნენ, ეს მაშინ დაასკვნა, როცა მალლიდან ჩამიჩუმი აღარ შემოემდა. ერთი კი იფიქრა, ავალ და შევამოწმებო, მაგრამ შიშმა დათრგუნა, რომ გამომიჭირონ, ხომ დავიღუპეო. ცოტა ხანში კიბის თავზე არსებული კარი გაჭრიალდა, ალბათ ცოლი იყო, ჯერ ქალის ჯანმრთელი ფეხები გამოჩნდა, მერე ცელოფანის პარკი და ცალი ხელი, ცოლი მსუბუქად და ნელა ჩამოდიოდა ზედმეტად დამრეც, მოუხერხებელ კიბეზე, უცებ გამოეცხადა თემურს, თავს წამოადგა:

თემური: შენ შეეხე როიალის კლავიშებს?!

ცოლი: გაიგონე?! ჰო, მე ვიყავი, წავითამაშე!

რალა მაინცადამაინც ის სამი ბგერა აკრიფა ამანაც. რალაც ხდებოდა ისეთი, რასაც თემური სახელს ვერ არქმევდა, ან ჩვეულებრივი დამთხვევა იყო, ან ვიღაცის ნება, ასე მორჩილად რომ ასრულებდნენ «პიანისტები»: ჯერ შვილი, მერე ექიმი, ისევ ექიმი, ახლა კი ცოლი, რომელსაც საერთო არაფერი ჰქონდა მუსიკასთან.

ცოლი: მტვერი გადავწმინდე როიალზე და რალაც ბგერები შემთხვევით აჟღერდა – თითქოს ჩანაფიქრს მიუხვდა ქმარს.

თემური არაფერს ეკითხებოდა. იჯდა თავისთვის და წიგნებს ჩაჰკირკიტებდა. ვითომ არ აინტერესებდა, რა ხდებოდა მალლა, ისევ ეძებდნენ თუ არა, დღე იყო თუ ღამე, ან რამდენი დღე გავიდა, რაც თავს პატიმრობა მიუსაჯა, როგორ იყო ბავშვი და, საერთოდ, მოახერხა თუ არა მისმა ძმამ მიმალვა. ქალიც დუმდა. ცოლი მაგიდის ალაგებას შეუდგა, ნამცეცები გადაწმინდა, გასვრილი ჭურჭელი ონკანთან მიიტანა და რეცხვას შეუდგა. არ მაინტერესებს, რა ხდება ზევით, აღარავინ მახსოვს და არც მინდა მახსოვდეს – მექანიკურად იმეორებდა ამ სიტყვებს გულში, რათა არ ეღრიალა: თავი დამანებეთ ყველამ, ფეხზე მკიდია, რა ხდება ზევით, თუმცა ზევით მე ვარ, ისინი არიან ქვევით, ვინც ზევით არიან. მათ ეჩვენებათ, რომ ცხოვრობენ, ეს მე ვცხოვრობ ნამდვილი ცხოვრებით. ძალიან უნდოდა ეს სიტყვები ეღრიალა, მაგრამ ენას კბილი დააჭირა, კედელს მუშტი დაჰკრა და ამოიხვნეშა.

თემური: მეტი აღარ შემიძლია აქ ჯდომა, მე აქ ჩავკვდები, თუ არ დავწყნარდი, არჩევნებამდე ვერ გავძლებ.

ცოლი გამოვიდა სარდაფის მეორე ოთახში და ქმარს თვალეზში ჩააკვირდა.

ცოლი: ახლა კი ნამდვილად მამაშენის ორეული ხარ და რალაცით ბაბუაშენსაც წააგავხარ. არ მკითხავ, რა ხდება ზევით?!

თემური: არ მაინტერესებს, რაც უნდა ის მოხდეს, მე ჩემი სამყარო მაქვს, შემეშვას ყველა.

რალაც მემართება, არავინ და აღარაფერი მინდა, აღარავინ მიყვარს, თითქოს ყველა მძულს, უპირველეს ყოვლისა, ჩემს თავს ვერ ვიტან, ჩემს თავს რომ ვერ ვიტან, აღარც არავინ მინდა. აქ ჯდომით რას შევცვლი, მამაჩემის წიგნები და ხელნაწერები ვიკითხე და ლამის მამაჩემად ვიქეცი, იმ კაცად, რომელიც ისე მებრალებოდა, რომ მიყვარდა, მაგრამ მე რომ ლამის მამაჩემად ვიქეცი, თავი შემძულდა. ახლა დავასკვნათ, მართლა მიყვარდა მამაჩემი თუ ქვეცნობიერად მძულდა. ეს სულ ბაბუაჩემის შხამის ბრალია, ბაბუა სხვა შხამს მაწვეთებდა, მამა სხვას, მე ვარ ორი შხამის ნაყოფი, კონგლომერატი, სინთეზი, მე ვარ არარა, ვირთხასავით სარდაფში ჩამძვრალი, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ვირთხა არაა არარა. ვირთხამ იცის, რა

უნდა, სად დაიმალოს, რა მოიპაროს, რა გაღრღნას, მე არაფერი არ ვიცი. ვინ ვარ მე, არქივარიუსი თუ ბიბლიური ლოტი, თემური თუ ბაბუისა და მამის ავადმყოფი ნაყოფი?! მე ყველა ერთად აღებული ვარ და ამავე დროს არარა, სიცარიელე, დაუსაბამო სივრცე, ამასთან კონკრეტული ტიკინა, კარგად რომ იკვებება და სარდაფში ცხოვრობს მალულად, ცოლს რომ ელოდება ჩუმ-ჩუმად, როგორც საყვარელს, სხვის კუთვნილებას, მოპარულ ხილს, შვილს ვერ ვნახულობ და ნათესავეებს, საკუთარ თავში ჩავიკეტე, აქ, საკუთარ თავში არის რაღაც რისი ძიებაც შეიძლება განვაგრძო, მაგრამ რაც უფრო ღრმად ვიჭრები, მით უფრო გულს ვიცრუებ ცხოვრებაზე, სიცოცხლეზე, მიწიერი ყოფის უაზრობაში ვრწმუნდები. მე დავიღალე, გადავიღალე. ზევით რომ ამოვიდე, ისევ სოდომში უნდა დავბრუნდე, ჯერ არ აღუდგენიათ ამ ქალაქისთვის უძველესი სახელი?!

ცოლი: რა სახელი?!

ქმარი: სოდომი, სოდომი, სოდომი...

ქალი ატირდა, ცრემლებს მალავდა, ისე ტიროდა, ბოლოს ამოიღწავლა: ჩააბარე ეს წყეული დავთარი, ასლი მე დამიტოვე. თუ დაგიჭირეს, ასლს მე გამოვიყენებ და დაგიხსნი, თუ არა და ჩემი ძმა ოსეთში გაგაპარებს და მე წავიღებ დავთრებს იმათთან.

თემური ხმას არ იღებდა, მერე ისევ მაგიდასთან ჩამოჯდა, გაშლილ წიგნს ჩახედა მექანიკურად, თვალი უაზროდ გადაავლო: «შიშია ჩემი არსებობის საყდარი, შიში!»

მიწა იძრა... ბიძგი იმდენად ძლიერი იყო, რომ ქალმა შეჰკვივლა, ქმარს უნებლიეთ ჩაეხუტა, თემურს კი ისტერიული ხარხარი აუტყდა. ინგრევა, ინგრევა, ახლოვდება, მოდის, ის მოვა, მოვა. ბიძგი აღარ განმეორებულა, ქალი ცახცახებდა, აღარ იცოდა, რამ უფრო შეაშინა, მიწისძვრამ თუ ქმრის ღრიალმა.

რამდენიმე წუთი მდუმარენი ისხდნენ. ქალმა, როგორც იქნა, თავი დაიმშვიდა.

ქალი: არ გაინტერესებს რა დრო გავიდა, რაც აქ ჩაჯექი?!

ქმარი: ?!

ქალი: არჩევნები უკვე ჩატარდა, ისევ იმათ გაიმარჯვეს, პროკლეს პარტიამაც ბლომად ადგილები მიიღო. მოკლედ, არაფერი შეიცვალა. გადაწყვეტილება უნდა მიიღო. ან აქ იჯექი, ან ამოდი და ჩაბარდი ან გაგაპარებ.

ქმარი: მაშაყირებ?! ამხელა დრო როგორ გავიდოდა?!

ქალი: ჩვეულებრივად, გავიდა, აღარ არის, ყველაფერი მორჩა... რამდენჯერაც ჩამოვედი აქ, იმდენჯერ მთვრალს გემინა. არ გაღვიძებდი. ხედავ ცარიელ ბოცებს? შენ გალოთდი მგონი?!

თემურმა გაოგნებისგან პირი დააღო. ამხელა დრო სად გაქრა. თვალი დაუბნელდა და ხელი აიფარა. «დრო ყველაფრის მშთანთქმელი», გაიფიქრა და ცოლს ახლალა ჰკითხა: \_ ჩემს ძმას შეატყობინეთ?!

ქალი: ?!

ქმარი: რატომ არ მპასუხობ?!

ქალი: შენი ძმა დაიჭირეს! გუშინ დააპატიმრეს, როგორც თქვენები ამბობენ, მანქანაში ნარკოტიკი ჩაუცურეს, მე კი «იმათ» დამირეკეს და გამაფრთხილეს: თუ თავის ფეხით არ მოვა, შვილიც ვიცით სად იმალებაო.

არქივარიუსს სახე წაეშალა, ერთიანად მოეშვა, მუხლები აუკანკალდა, ტახტზე გადაგორდა და გაბმული, მგლური ყმული ამოუშვა. არქივარიუსი ყმუოდა, არ ტიროდა, არც ქვითინებდა, ყმუოდა უცხო ხმით, სხვისი ხმით, ოდესღაც რომ თვითონ ეკუთვნოდა, სწორედ იმ ხმით ყმუოდა, როგორც მაშინ, სოდომის გარეუბანში დედის საფლავი რომ გაახსენდა.

არქივარიუსმა სეიფი გახსნა, ორიგინალი დავთრისა ამოიღო, ჩანთაში უგულოდ ჩააგდო. მერე მშვიდად ჩაიკვა, ცოლს არც გამომშვიდობებია, სარდაფის ქვედა კარი ქუჩაში რომ გადიოდა პირდაპირ, გახსნა და წავიდა, წავიდა «იმათთან», არ იცოდა, როდის დაბრუნდებოდა, შვილს კიდეც ნახავდა თუ არა, არაფერი იცოდა – არაფერი, ე.ი. ყველაფერი იცოდა, რადგან ყველაფერი და არაფერი ერთსა და იმავეს ნიშნავდა მისთვის. ვიღაც მიესალმა, არქივარიუსმა მექანიკურად დაუქნია თავი, ცივად გასცილდა, ტაქსი გააჩერა და გაუჩინარდა. შუადღე იყო, ახლა შენიშნა, რომ შუადღე იყო, რიცხვი არ იცოდა, ვერ მიხვდა რატომ, მაგრამ შვებისმაგვარი რაღაც იგრძნო, შიშის გრძნობაც გაუქრა. მიხვდა, რომ ახალი სიცოცხლე უნდა დაეწყო, ან ძველისძველი გაეგრძელებინა. მისთვის უკვე სულერთი იყო. მანქანის ფანჯრიდან ნახევრად ჩამოხეული პლაკატები ისევ მოჩანდა, ზოგს თვალები ჰქონდა დათხრილი, ზოგისთვის უღვაშები მიემატებინათ, ზოგიც სანახევროდ ჩამოეფხრიწათ, მაგრამ არქივარიუსმა მათი სახეები მაინც გაარჩია. ესენი ძველი სოდომელები იყვნენ, პროკლე, ვალერიანი, ნარგიზა, მღვდელი ამბაკო (წინათ რომ ბერი იყო), აქვე იყო ცნობილი მწერალი ვახტანგ ახურებული და სხვა და სხვა. ყოველ კედელზე, ყოველ ხეზე, ყოველ ბოძზე, ყოველ ვიტრინაზე მათი სურათები გაეკრათ. ხალხს რისი ჩამოხევაც მოესწრო, უკვე ვეღარ გაარჩევდი სახეებს, თუმცა ისედაც ნათელი იყო ყველაფერი, ნათელი იყო ის, რომ არაფერი ნათელი არ იყო.

– საით, უფროსო? – ჰკითხა მძღოლმა.

– შინაგან საქმეთა სამინისტროში.

– ვა?! – აღმოხდა შოფერს და დადუმდა.

არქივარიუსმა შიდა ტელეფონით დარეკა. იქიდან რა უპასუხეს, ჩვენ ვერ გავიგებთ, მხოლოდ არქივარიუსი შეიტყობს, კარგა ხნის ლოდინის შემდეგ ნაცნობი ტიპები ჩამოაკითხავენ, გაუძღვებიან, გზაში ერთ-ერთი მათგანი სერიოზულად ჰკითხავს:

– რომელ რაიონშია სოდომი, ვანში ასეთი სოფელი არ არის?!

არქივარიუსი არ უპასუხებს, ამიყვანეთ და იქ ვიტყვი ყველაფერსო.

ლიფტის კარი ჩაიკეტა და სადღაც ზევით დაიდრნენ. ამის მერე არქივარიუსმა აღარც მის ნაცნობ მამებრებს უნახავთ. რომელიღაც კაბინეტში შევიდა და გაუჩინარდა.

ყოველ ადამიანშია ჩამალული სხვა ვიღაც, ან სულაც სხვები, რეალურისგან განსხვავებული, დროისა და ვითარების, გარემოების მიხედვით რომ ავლენენ თავს და ეს იმდენად მოულოდნელია თვითონ იმ პიროვნებისათვის, ვისი სულიდანაც თუ ეგრეთ წოდებული ქვეცნობიერიდან ამოტივტივებული არსება თავის ნებაზე ატრიალებს ყველაფერს, დაუკითხავად მოქმედებს და ნებისმიერი მოულოდნელობა ელვისებური სისწრაფით მართავს იმ ადამიანის ჭურჭელს, რომელშიც აქამდე მიმალულიყო ყოვლად შეუმჩნეველი და იმდენად უვნებელი არსება, რომ მისი გამოღვიძება ვულკანის ამოფრქვევას ჰგავს, რომლის ფერფლითა და მდუღარე ლავით იფარება და წაილეკება ის წონასწორობა, წლების მანძილზე რომ ჩაბლაუჭებოდა გარემოცვისათვის ცნობილი, მშვიდი, საქმიანი, კულტურული არსება, – აქამდე რომ ეთიკურ ნორმებს ხაზგასმით იცავდა და დისტანციას ინარჩუნებდა ახლობლებთან ურთიერთობაშიც კი. ამ სიუცხოვის თუ დისტანციის მაგვარს მისი ცოლიც წლების მანძილზე გრძნობდა, მაგრამ დროთა განმავლობაში შეეგუა იმ აზრს, რომ მასთან ბოლომდე მიახლოება, თითქოს მაშინაც არ ხერხდებოდა, როცა ცოლქმრულ მოვალეობას გულდასმით ასრულებდნენ ღამღამობით. ამკარა იყო, რომ მასში კიდეც სხვა ვიღაც ცხოვრობდა მოუხელთებელი და უხილავი შიგნიდან რომ

მართავდა არქივარიუსს, ცოლი ახლა რატომღაც უფრო არქივარიუსად თვლიდა მას, ვიდრე თემურად, რადგან, როგორც მან იხილა ქმარი ავარიის შემდგომი ამნეზიისას, კიდევ უფრო უღრმავებდა გაუცხოების ეჭვს და მისი ბედი იმდენად აინტერესებდა, რამდენადაც მისი შვილის მამა იყო და მათი ურთიერთობაც უფრო პრაგმატულ საძირკველს ეყრდნობოდა, ვიდრე სულიერ. როცა მეხსიერება აღუდგა ძლიერი შიშის წყალობით და არა იმ მოგზავნილი ექიმის «მკურნალობით», გაუცხოების განცდა მაშინაც არ ტოვებდა არქივარიუსის ცოლს, რადგანაც კარგად ახსოვდა მსგავსი შესახედაობის უცხო კაცი, როგორ დააბიჯებდა ოთახიდან ოთახში და აღარაფერი აკავშირებდა დროის იმ მონაკვეთთან, პირველი გაცნობიდან ამნეზიამდე, რაც საკმაო პერიოდს მოიცავდა და რასაც მათი თანაცხოვრება ერქვა. ავარიის მერე წამოყო თავი იმ მიმალულმა უცხომ ქმარში რომ იმალებოდა გულდასმით, ისე, რომ თვითონ ქმარმაც არ იცოდა მისი არსებობის შესახებ, ან იქნებ რაღაცას გრძნობდა ბუნდოვნად, რის გამხელასაც მუდამ ერიდებოდა და ეს მაშინ მჟღავნდებოდა, როცა ცოლი ამკარად გრძნობდა, რომ წინათაც, ქორწინების პირველ დღეებში ქმარი მის გვერდით იყო სხეულებრივად, მაგრამ სინამდვილეში სხვაგან გადახვეწილიყო, ქალი აღარც ახსოვდა და თუ ახსოვდა ზრდილობისა და მოვალეობის გამო და იმ ნორმებსა და წესებს იცავდა, საზოგადოებრივი მოვალეობა რომ ჰქვია, თუმცა იზიდავდა შინაგანად, მაინც მორჩილად მისდევდა დროის დინებას: თათბირებს ატარებდა, მთავრობისა და პარლამენტის სხდომებს ესწრებოდა, მოქალაქეთა მიღების საათებს მთელ გულისყურს აქსოვდა, თავისუფალ დროს კი შინდაბრუნებული – მოსიყვარულე მამა და მეუღლე იყო. თუმცა დროდადრო ყველაფერს ივიწყებდა და ცოლ-შვილთან მყოფი, მათ გვერდით გარინდებული სხვა სამყაროში გადადიოდა. ეს არ იყო უბრალო ჩაფიქრების ბრალი, სამსახურებრივ პრობლემებზე ყურადღების გადატანა. არა, იგი ნამდვილად იცვლიდა ფერს ქამელეონივით და მისი სხეულიდან თუ ქვეცნობიერიდან, ცოლმა ვერ შეძლო ამის ამოხსნა, უცხო არსება ამოიზრდებოდა, როგორსაც იგი არ იცნობდა და რომელიც არცთუ ისე იშვიათად დგებოდა მათ შორის. რამდენიმე წუთით გამოავლენდა თავის მალულ სიცოცხლეს, სხვა თვალთ გამოიხედავდა, მეტყველებას იცვლიდა, მზერაც უღრმავდებოდა. მოკლედ ცოლის წინ სულ სხვა კაცი იდგა, მსგავსი შესახედაობის სხვა კაცი და იმ სხვა კაცს გააჩნდა თავისი საიდუმლო წარსული, ან სულაც უწარსულობა და უმომავლობა, გამთლიანებული და აწმყოთი დატკეპნილი, რომლის ერთი ნაწილი, თუკი ეს შესაძლებელია, იმ დიდი მანქანის ღერძში იყო ჩატნეული, გამუდმებით რომ ბრუნავს და თავის თავში იხვევს არა მარტო მას, არამედ მთელ ქალაქს, ყოველ ადამიანს და ამ ნებაყოფლობით ბრუნვას, უშველებელ ჯოჯოხეთურ ბორბალში ჩაწნეხილ არსებათა გაუთავებელ ორომტრიალს ერქვა სიცოცხლე, რომელიც ბრუნავდა და არსად მიდიოდა. ამ არსადმიმავალი სიცოცხლის იქით იხედებოდა დროდადრო არქივარიუსი და თავისი ნამდვილი სამშობლოც იქ ეგულებოდა. სხვა ყველაფერი მოვალეობათა უწყვეტელი თანმიმდევრობა იყო, არსად მიმავალი თანმიმდევრობა იყო, არსად მიმავალი თანმიმდევრობა წინსვლის ილუზიას რომ უქმნის ადამიანებს და ამ ბრუნვა-ბზრიალში ისე ძირავს, დაფიქრებისათვის წუთსაც არ იმეტებს, საკუთარი თავის სიღრმეში ჩახედვის უნარს ართმევს, ტოვებს მხოლოდ სხეულით შემოსაზღვრულ გარსში და სხეულებრივი სურვილებით თუ ინსტინქტებით ზედაპირზე ატივტივებს. ამ გაუცხოებაზე ცოლი ადრეც ფიქრობდა, მაგრამ ეჭვი უფრო გაუმძაფრა ბოლო მოვლენებმა, როცა შინ მყოფ ნაავარიევ ქმარს არ ახსოვდა ვინ იყო, სად იყო, რა ერქვა და, ბუნებრივია, ვეღარც ცოლ-შვილს ცნობდა. ქმრის გამოჯანმრთელების შემდეგ ფინანსისტი უფრო გაორებული და დაბნეული ეჩვენა

ცოლს. იგი უფრო არქივარიუსი იყო, ვიდრე თემურ დვალი, თუმცა უკვე ყველაფერი ახსოვდა, მაგრამ აშკარად ნანობდა დროის იმ მონაკვეთის გახსენებას, დროებით რომ წაშლილიყო მის მეხსიერებაში. ბანკის სახაზინო დავთრის გამო ატეხილმა დავიდარაბამ ცოლს დაანახა, რომ მის წინაშე მართლაც უცხო კაცი იდგა, სრულიად უცხო, რომლის ამოტრიალებული ცხოვრება ისე გაწელილიყო რამდენიმე ათასწლოვან სიცოცხლეში, რომ თვითონაც არ იცოდა დანამდვილებით, ვინ იყო ახლა იგი – თემურ დვალი – სეიფში რომ მალავდა სახაზინო დავთრის ფოტოასლებს თუ ის, ვისაც თვალს უსწორებდა დროდადრო თავისი მეხსიერების სიღრმეში და სულ სხვა სინამდვილეში გადაჰყავდა, სადაც მარტო თვითონ იყო და კიდევ ისინი, ვინც სახეშეცვლილნი, ან იქნებ იგივენი, მოსდევდნენ ფეხდაფეხ გაურკვეველი დროის სიღრმიდან, ვისაც გაურბოდა გამუდმებით და ვისთანაც თანამშრომლობდა კიდევ ოდესღაც.

გრძნობდა, რომ ქმარს კარგავდა. არ იცოდა, დაბრუნდებოდა თუ არა იქიდან, სადაც თავისი ფეხით წავიდა და თან წაიღო ჩასაბარებლად ის სახაზინო დავთარი, რომელშიც აღბეჭდილი იყო საიდუმლო ცნობები. ხაზინის ქურდების სია თავზარს სცემდა ნარცისთა საბჭოს. ამ დავთრის ხელში ჩამგდები ადვილად გამოიყენებდა მაკომპრომეტირებელ მასალას სათავისო პოლიტიკური ბალანსის შესაქმნელად. ყველაფერი მარტივი და თანაც ნათელი იყო. მიტომ შეკრთნენ ნარცისთა საბჭოს წევრები, პარლამენტარები, ხავსის შემგროვებლები, მიტომ ეძებდნენ გამწარებულნი თემურ დვალის სახაზინო ჩანაწერებს. ეს სახაზინო დავთარი ბოლოს იმას ჩაუვარდებოდა ხელში, ვინც ყველაფერს განაგებდა, მხოლოდ იმიტომ, რომ ძალაუფლება უფრო განემტკიცებინა, მმართველობის ვადაც გაეხანგრძლივებინა, კრედიტებზე გამოჭერილი პოლიტიკოსები თავის ჭკუაზე ეტერებინა.

იცოდა, რომ ქმარს კარგავდა. გული ეწურებოდა, თანაც უცნაურ შვებას გრძნობდა, რომ ამ ჯოჯოხეთს თავს დააღწევდა, ბავშვობაც კი გაახსენდა, როცა არც თემურ დვალს იცნობდა და არც მასში ჩამალულ ვინმე არქივარიუსს, მეტადრე ლოტს, რომლისთვისაც ახსნა ვერ მოეძებნა და ბავშვობის უნებლიე შეგრძნებებს, შვებისმომტან განცდებს გაყუჩებული უთვალთვალეობა, როგორც თვალწინ ჩავლილ კადრებს, უკან რომ დააბრუნებს რამდენიმე წამით მაშინდელი შეგრძნებების თანხლებით.

პირველი, რამაც შეაკრთო, ის უნებლიე შვება იყო, ქმრის მოსალოდნელმა დაკარგვამ რომ აღძრა მასში, შვების გაქარწყლება ტკივილით ვერ შეძლო და ამან კიდევ უფრო გააოგნა.

კედელზე ხოჭო შენიშნა, ნელა, თავისთვის მილოდავდა, დროდადრო ჩერდებოდა, მერე ისევ მილოდავდა, ისევ ჩერდებოდა. ქალმა ქოში გაიძრო, სკამზე აძვრა, უნდოდა მოეკლა, მაგრამ გადაიფიქრა. კედლის დასვრას მოერიდა, სამზარეულოდან ცოცხი გამოიტანა, ისევ სკამზე აძვრა და ხოჭო იატაკზე ჩამოაგდო, მერე ფეხი დააბიჯა და გასრისა, კინაღამ გული აერია, გასრესილი ხოჭო ნაგვის ვედროში ჩააგდო, ვედროს თავი დაახურა და ხელი მექანიკურად გადაიბანა ონკანზე. რა საზიზღრობაა! გაიფიქრა ქალმა, დივანზე მოკალათდა და ჩანთიდან ვახტანგ ახურებულის წიგნი ამოაძვრინა. ეს მისი ეგზემპლარი იყო, ქმრის პარალელურად თვითონაც კითხულობდა ჩუმ-ჩუმად ამ გახმაურებულ სილულეულეს. რამდენჯერმე სცადა თავი დაენებებინა ან სულაც მოესროლა ეს წიგნი, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა. შეწყვეტდა კითხვას, მერე ისევ მიუბრუნდებოდა, როგორც კი თავისუფალ დროს იპოვიდა. რომანში აღწერილი პერსონაჟები – ჩვეულებრივი, ახალი სოდომელები ისევე ცხოვრობდნენ, როგორც ამ წიგნის მკითხველები და ამ წიგნის მკითხველებს,

ისევე როგორც არქივარიუსის ცოლს, ის გამომწვეურებული ეროტიკული სცენები ხიბლავდათ, რომლითაც თვითონაც იქცევდნენ თავს დღისით თუ ღამით, მაგრამ ვერავის უმხელდნენ. აქ კი, ამ წიგნში, ყველაფერი მარტივად და გასაგებად იყო აღწერილი «ვნების აღმძვრელადაც», გაიფიქრა ქალმა. ასეთი გაიოლებული ცხოვრება გულში ენატრებოდა კიდევ, თავისი წარსული გათხოვებამდელი ეშმაკობები ახსენებოდა, უფრო ლაღად რომ ცხოვრობდა და განსაკუთრებით იმ ღამეებს ვერ ივიწყებდა, როცა ამ წიგნის ავტორთან, რა თქმა უნდა, ამ წიგნის დაწერამდე, რომანი რომ ჰქონდა გაბმული. ახურებული, ცხადია, მისი ნამდვილი გვარი არ იყო, მაგრამ თემურის, იგივე არქივარიუსის ცოლმა, შესანიშნავად იცოდა მწერალი, მოხარშულსაც კი ვიცნობო, როგორც თვითონ იტყოდა გუნებაში. ძალაუნებურად, ყოველი ეროტიკული სცენის აღწერისას თავს ახურებულის მკლავებში წარმოიდგენდა და სულ თვლიდა, რომ თვითონაც მწერლის სასიყვარულო თამაშების რაღაც ნაწილს შეადგენდა და ცნობისწადილი უფრო უასკეცდებოდა. მაშინაც, სარდაფში დამალულ ქმარს რომ ჩააკითხა და ღამის აიძულა მასთან დაწოლილიყო, ამ წიგნის კითხვის შემდეგ იყო. რაც ქმარი თვითპატიმრობაში ჩაჯდა სარდაფში, ქალმა დრო იხელთა და ვახტანგ ახურებულის წიგნს მიუჯდა, როგორც გითხარით, თავის საკუთარ ეგზემპლარს, წარწერაც რომ ამშვენებდა «ჩემს ძვირფას «N-ს ვახტანგისაგან». ქმრის ავადმყოფობამ და საიდუმლო დავთრის ამბებმა სულ აურია თავგზა, მერე ის სულელური თვითპატიმრობაც თან დაერთო და სულ შეიშალა ქალი. შვილი მშობლებთან გადამალა, თვითონ სამსახური ნახევრად მიატოვა და ღამის იმ უზარმაზარი მანქანის ჭანჭიკად იქცა, გამუდმებით რომ ბრუნავს და საკუთარი ბრუნვის წრის იქით არავის უშვებს. ახლა კი მოულოდნელი შვება იგრძნო, ვახტანგ ახურებულებს გაახსენდა და მასთან დარეკვაც გადაწყვიტა გუნებაში, მაგრამ თვითპატიმრობიდან თავდახსნილი ქმარი ახსენებოდა და თავს რატომღაც იკავებდა, ვნახოთ, რა ამბავს მოიტანსო, თუ არ გამოუშვებს, როგორ მოვიქცეო, – გუნებაში ანგარიშობდა. როგორც იქნა, თავი დაიმშვიდა: ჩააბარებს დავთარს და გამოუშვებენო, ალბათ მოხსნას დასჯერდებიან და ამით ყველაფერი დამთავრდებაო. სარდაფის სეიფში ნაგროვები ფული და ძვირფასეულობა სიხარულს უასკეცებდა და იმ შვების შეგრძნებას უღრმავებდა, ბავშვობის გახსენებისას რომ დაეუფლა. ტკივილი ყუჩდებოდა, თანდათან ეფლობოდა უმოქმედო სიმშვიდეში. გამოუშვან ეს კაცი და მერე უფრო აქტიურ ცხოვრებას დავიწყებო. ეშმაკმა იცის, «აქტიურ ცხოვრებაში» რას გულისხმობდა. სარდაფის სეიფის გასაღები ჯიბეში ედო და ერთადერთი, რაც აწუხებდა, ბანკის პრეზიდენტის სახაზინო დავთრის ფოტოასლი იყო. ვინმეს რომ ამ ასლის შესახებ რაიმე გაეგო, ხომ სულ დაიღუპებოდნენ, თუმცა ვინ გაიგებდა, რა იმალებოდა იმ ჯურღმულში. ისინი რომ ორიგინალს ხელში ჩაიგდებენ, ასლის არსებობაზე აღარც ჩაფიქრდებიან, მოისვენებენ და დაშოშმინდებიან, თემურ დვალმა თუ არქივარიუსმა, მისმა ქმარმა თუ უცხო კაცმა, წლების მანძილზე რომ მასთან ცხოვრობდა და საერთო შვილი ჰყავთ, არ გაამხილა ასლის არსებობა. მაინც საინტერესოა, რა ამბავს შეიტყობს ქმრისგან თუ უცხო კაცისგან ანუ კაცისგან, მისი ქმარი რომ ჰქვია. ალბათ დღეს დაბრუნდება ტრაგიკული სიფათით, მომაშტერდება არქივარიუსის გაშუმებული თვალებით და მეტყვის: ყველაფერი დამთავრდაო, ან მთელი ბრძოლა ახლა დაიწყება, ადვოკატს ავიყვან, ფოტოასლებს იმას გადავაბარებ და სასამართლოს მოვიგებო. არა, ქალს სასამართლოს და ახალი აყალმაყალის თავი აღარა აქვს, მშვიდი ცხოვრება მოენატრა. ფეხზე არ ჰკიდია ამათი პოლიტიკა და ეკონომიკა, ამათი «კომპრომატები» და დეპუტატები, ნარცისთა საბჭო და ეს საზიზღარი დავთარი?!

ქალი ადგილს ვერ პოულობდა. მიხვდა, რომ ქმარს ელოდა, ქმარს თუ უცხო კაცს, თავისი შვილის მამას. ტელეფონის ზარი აწვრიალდა.

– თემური არ მოსულა?!

– არა!

– იქ არის წასული?!

– დიახ.

ქალმა ყურმილი დადო.

ტელეფონის ზარი აწვრიალდა:

– ბატონ თემურს სთხოვეთ!

– შინ არ არის!

– სად არის თუ იცით?!

– იქ, იმათთან, არ დაბრუნებულა!

– იმათთან?!

– ჰო, იმათთან!

ქალმა ყურმილი დადო.

ტელეფონი ისევ აწვრიალდა:

– გამარჯობა, ქალბატონო!

– გამარჯობა!

– თემური არ დაბრუნებულა?!

– არა!

– მოგვიანებით შეგაწუხებთ!

ქალმა ყურმილი დადო.

დუმილი დიდხანს გაგრძელდება, ძალიან დიდხანს, უფრო დიდხანს, ვიდრე დუმილს შეუძლია გაგრძელდეს სოდომის ცენტრალური ქუჩის \_ ერთ-ერთი სახლის სამოთახიან ბინაში. მაგრამ რაც მთავარია, დუმილმა მოიცვა მთელი სახლი, ქუჩა, ქალაქი, ადამიანები, მთელი ქვეყანა, ყველა \_ სულიერი თუ უსულო, ცა და მიწა, ბალახი და მწერი. დუმილი ახშობდა ხმაურს, მანქანების გუგუნს, ადამიანების ფუსფუსს, ლიფტის მოძრაობის ხმას, ყველაფერს და ყოველივეს და ქალი მიხვდა, რომ წამები, როცა იგი მოწყდა აწმყოს, საუკუნესავით გაგრძელდა, იმ დროს შეუერთდა ყველა და ყოველივე რომ გადატკეპნა, გადაუარა და გაუჩინარდა. ეს იმ წამს მოხდა, ვიდრე ბორბალი საპირისპირო მხარეს მობრუნდებოდა, როცა შეჩერდა ყოველგვარი თანმიმდევრობა დროებით, მაგრამ შეჩერდა. პირველი, რაც ქალმა გაიგონა, როგორც ნიშანი ყოვლის შთანთქმელი დუმილის დასასრულისა, ეს იყოს სროლის მოგუდული ხმა, მაყუჩიანი პისტოლეტის ლულიდან ამოვარდნილი მკვეთრი შხუილი.

საღამოს არქივარიუსის ცოლთან ორი უცნობი კაცი მოვიდა, ხანმოკლე ფსევდოცერემონიის შემდეგ ქალს აუწყეს, გამაგრდით, მეტი რა გზაა, თქვენს ქმარს ნერვებმა უმტყუნა და ჩვენს დაწესებულებაში თავი მოიკლაო. ქალი სახტად დარჩა, გაოგნებისგან პირი დააღო, შეკვივლების თავიც არ ჰქონდა, რაღაც ბგერები ამოიხვალა, გაუგებარი სიტყვის ნარჩენები ჰაერში გაითქვიფა, ხელით სკამი მოიჩოჩა და მუხლებმოცელილი დაეშვა. ვიდრე გონს მოვიდოდა, კაცები შინ აღარ იყვნენ.

ასე დასრულდა ეროვნული ბანკის პრეზიდენტის თემურ დვალის, იგივე არქივარიუსის სიცოცხლე, ძველ სოდომში რომ დაიწყო და საუკუნეთა შემდეგ ახალ სოდომში დამთავრდა. ლოტი ისევ გადარჩა, იგი დაუბრუნდა ძველი აღთქმის ფურცლებს და ახლაც თავის ჟამს ელოდება.

\* \* \*

P.S. მეორე დღეს გაზეთებში გამოქვეყნდა მოკლე ოფიციალური ცნობა ეროვნული ბანკის პრეზიდენტის თვითმკვლელობის შესახებ. ირწმუნებოდნენ, რომ თემურ დვალმა საკუთარი იარაღით თავი მოიკლაო.

ცოლის ნათქვამს თუ დავუჯერებთ, თემურ დვალს იარაღი საერთოდ არ გააჩნდა და კიდევაც რომ ჰქონოდა, შინაგან საქმეთა სამინისტროში არავინ შეატანიებდა.

თავისუფალ პრესაში გაჟონა ინფორმაციამ, რომ თემურ დვალი მოკლეს, მაგრამ ამის დამადასტურებელი საბუთი არავის ჰქონდა. ამ მკვლელობით თუ თვითმკვლელობით რამდენიმე ასეული ადამიანი გაბედნიერდა. ცოლს შურისძიებაზე არც უფიქრია, ჩემი ინფორმაციით ბანკის სახაზინო დავთრის საიდუმლო ჩანაწერების ფოტოფირები საიმედო ადგილზე გადამალა უკეთესი დროის მოლოდინში.

უკეთესი ან უარესი დრო ახალ სოდომში ოდესმე დადგებოდა.

1999 წ.